# საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 5 მარტი, 2010 წელი.

№41 (6407)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## სოლიკო ხაბეიშვილის აღზევება და ტრაგედია 5



მხოლოდ სინდისი და ინტელექტი გადაარჩენს საქართველოს!

სოლიკო ხაბეიშვილი

„შავსათვალიანი“ ოპოზიცია

გია ცაგარეიშვილი:

## ვინ არიან ის ავაზაკები, რომლებიც ჩვენი ქალაქის ქუჩებში დათარეშობდნენ დღისით-მზისით? 4





## საკაშვილისა და შუშლავას შრთიერთობები და „აბესალომის წვერო“ 2 ოპოზიციისთვის

## დოიაშვილის ოინბაზობა, 10 12 ანუ დოი-დოის „ამნეზია“

გალაკტიონოლოგია





დავით იაკობიძე:

## მე ჩემს ხმებს კი ავიღებ, მაგრამ ის მაინტერესებს, 3 რამდენ ხმას ავიღებ

## რა დააშავეს აფხაზეთიდან დევნილებმა?

აფხაზეთში რუსული პასპორტების გაცემა განახლდება!

4





## 6 ისტორიული ცალმხრივობა — არაობიექტურობის საბაბი

◎ საზღვარი

# აკი ლარსში პროვოკაცია არ მოხდებაო?

**ყაზბეგის რაიონში პროვოკაციის მცდელობები ლარსის სასაზღვრო გამშვები პუნქტის გახსნის პირველივე დღეს დაფიქსირდა. ამის შესახებ განცხადება ყაზბეგის რაიონის მცხოვრებმა ზაზა წიკლაურმა პარლამენტში ქრისტიან დემოკრატებისა და ექსპერტების შეხვედრაზე გააკეთა.**



— როგორც კი გაიხსნა სასაზღვრო პუნქტი, მაშინვე მოადგნენ ოსები საზღვარს და მოითხოვეს გადაადგილება ვიზების გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში კი მათი მხრიდან პუნქტის ჩაკეტვით დაიმუქრნენ, — განაცხადა წიკლაურმა. მისივე თქმით, ეს ფაქტი მედიის მხრიდან არ გაშუქებულა, თუმცა სწორედ ამ პრობლემის გამო სასაზღვრო პუნქტზე მიმოსვლა პირველ მარტს რეალურად ვერ აღდგა.

ამასთან, ზაზა წიკლაური დარწმუნებულია, რომ ლარსის სასაზღვრო პუნქტის გახსნა არის რუსეთის ინიციატივა და ეს მოსკოვს პროვოკაციისათვის სჭირდება.

— მოსახლეობა შიშობს, რომ იგეგმება ოსების შემოსვლა თრუსოს ხეობაში. ამასთან, ჩრდილოეთ ოსეთში კეთდება განცხადებები, თითქოს ქართველებმა გაძარცვეს მათი სახლები. ამის გამო შესაძლოა ყაზბეგის რაიონის მცხოვრებლებისა და ჩრდილოეთ ოსეთის მცხოვრებლების შორის კონფლიქტიც კი მოხდეს, — განმარტა მან.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის შოთა უტიაშვილის მტკიცებით კი, ლარსის გამშვები პუნქტის გახსნის გამო არანაირი პრობლემები არ შეიქმნება.

— შსს აკონტროლებს 200-კილომეტრიან საზღვარს და ჩემთვის გაუგებარია, რა პრობლემას წარმოადგენს 20-მეტრიანი საზღვარი, ასეთი ამბავი რომ ატყდა, — განმარტა უტიაშვილმა და იქვე დასძინა, რომ მისთვის ის არგუმენტებიც მიუღებელია, რომელიც აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით სახელდება.

**ХО-ЭОВ-ЭНО**

◎ ოპოზიცია

# ალასანიამ საარჩევნო კამპანია ოფიციალურად დაიწყო



**გუშინ, ვერის კალათბურთის სასახლეში „ქართული აკადემიის“ ინიციატივით თბილისის მერობის ერთ-ერთ კანდიდატს — ირაკლი ალასანიას საზოგადოება შეხვდა. დარბაზი ხალხით გაივსო და პოტენციურ მერს მათ კითხვებზე პასუხის გაცემა მოუწია.**

როგორც დაანონსებული იყო, თითქოს რაღაც სიურპრიზიც უნდა ყოფილიყო, თუმცა მსგავსი არაფერი მომხდარა. ეს იყო რიგითი შეხვედრა — უკვე ათასჯერ პასუხგაცემული კითხვებით, ბანალური შესავლებითა და პოლიტიკური ანალიზით. კიდევ ერთხელ ითქვა, რომ ოპოზიციის ერთიანი კანდიდატი აუცილებელია...



თუმცა ამ ყველაფერზე ვრცლად ჩვენს ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ.

**თეა მოსია**

◎ ინფორმაცია

## რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ პროკურატურაში საქმე აღძრა

**რუსეთის ფედერაციის გენერალურ პროკურატურასთან არსებულმა საგამოძიებო კომიტეტმა საქართველოს წინააღმდეგ 2008 წლის აგვისტოში, ქართული მხარის მიერ „დაქირავებულობისა“ და „ომის დროს აკრძალული მეთოდების გამოყენების“ მუხლებით სისხლის სამართლის საქმე აღძრა.**



— აღძრულია სისხლის სამართლის საქმე იმ დანაშაულის გამო, რომელიც აკრძალული მეთოდებით ომის წარმოებას, დაქირავებულობას და იმ პირებსა და დაწესებულებებზე თავდასხმას ეხება, რომლებიც საერთაშორისო დაცვით სარგებლობენ, — განაცხადა რუსეთის გენერალურ პროკურატურასთან არსებული საგამოძიებო კომიტეტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ვლადიმერ მარკინმა.

## ითხოვენ „ღია კარის“ პოლიტიკის გაგრძელებას

**ამერიკული კვლევითი ცენტრის საგარეო ურთიერთობების საბჭო საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრების საკითხის ყოველწლიურად განხილვის გაგრძელებას მოითხოვს.**

ამის შესახებ ორგანიზაციამ სპეციალური მოხსენება გამოაქვეყნა, სადაც ნატოს გაფართოებასა და საქართველო-უკრაინისთვის „ღია კარის“ პოლიტიკის გაგრძელებას ითხოვს.

ამასთან, მოხსენებაში ნათქვამია, რომ ალიანსის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ნატო-რუსეთის ურთიერთობების გაუმჯობესება უნდა იყოს, თუმცა ეს აღმოსავლეთ ქვეყნების ინტერესების ხარჯზე არ უნდა მოხდეს. ასევე, ანგარიშში რუსეთი მოხსენიებულია, როგორც არადემოკრატიული ქვეყანა. თუმცა საბჭოში მიაჩნიათ, რომ კრემლთან თანამშრომლობა რიგ საკითხებზე მაინც აუცილებელია.

**ХО-ЭОВ-ЭНО**

◎ შემობრუნება

# ნარჩემაშვილი პოლიტიკას დაუბრუნდა

**საქართველოს ყოფილი შს მინისტრი კობა ნარჩემაშვილი პოლიტიკურ საქმიანობას უბრუნდება. ნარჩემაშვილმა მემარცხენე ცენტრისტული გაერთიანება „სოციალ-დემოკრატები საქართველოს გადარჩენისათვის“ შექმნა.**



აღსანიშნავია, რომ კობა ნარჩემაშვილი მრავალი სხვა პოლიტიკოსისაგან განსხვავებით, ბოლომდე ექს-პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ერთგული დარჩა და გადადგომის შესახებ განცხადება „ვარდების რევოლუციის“ მოხდენიდან მეორე დღეს დაწერა.

აღსანიშნავია, რომ ნარჩემაშვილის მოძრაობა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას გეგმავს.

**ХО-ЭОВ-ЭНО**

◎ განსჯა

# სააკაშვილისა და უგულავას ურთიერთობები

**წინა კვირაში გაჭირვებით შეკოწიწებული ოპოზიციის ნახევრისაგან ხალხისთვის მიცემული იმედი და დაპირება, რომ მათი ერთობა უეჭველად ბოლოს მოუღებდა დღევანდელ რეჟიმს, ცუდად აშენებული ხუხულასავით დაინგრა.**

არა, იმიტომ კი არ დაინგრა, რომ ალასანია ამ ხუხულის დედაბოძი იყო და მისმა „გამოცლამ“ იმოქმედა. არც იმიტომ, რომ ბურჯანაძე მოსკოვში წავიდა და ნოღაიდელის „ფავორიტობას“ მადამ დე პომპადურივით დაემუქრა.

არა და არა, ძვირფასო მკითხველო. ხალხისა და, აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, თავად ოპოზიციონერების იმედების „დანგრევა“ იმ მარტივმა მიზეზმა გამოიწვია, რომ მათ არც მხატვრული ფილმი „გიორგი სააკაძე“ უნახავთ და არც ის იგავ-არაკი უსწავლიათ, რომელშიც მოხუცი მამა შვილებს ერთად შეკრული ისრების კონის გადატეხვას ავალებს.



არადა, რაც უნდა ამტკიცონ, ნანახიც გვაქვს და სკოლაშიც ვბეჯითობდითო, მაინც ვერავის ვეღარ დაარწმუნებენ, რადგანაც მათი საქციელიდან ნათლად ჩანს, რომ ერთად გამარჯვებას, ცალ-ცალკე დამარცხება ურჩევნიათ.

პრინციპში, თუ რიგითი ქართველი „პოლიტიკური ლიდერის“ თვალით შევხედავთ არსებულ პრობლემას, ცალკე ფაფხური სჯობს ერთად ბრძოლას.

გაინტერესებთ, რატომ?

ახლავე აგიხსნით.

1. როგორც მოგეხსენებათ, დღევანდელი ქართული პოლიტიკა, თავისი არსით უფრო ბიზნესს წარმოადგენს, ვიდრე ქვეყნისა და ხალხისათვის ზრუნვას. ქართულ ბიზნესში კი გასული წლების გამოცდილებიდან გამომდინარე, სჯობს მარტო იყო, ვიდრე პარტნიორთან ერთად (თუნდაც ეს პარტნიორი, ყველაზე ახლო მეგობარი, ნათესავი ან ნათელ-მირონი იყოსძ.

2. ვთქვათ მოხდა სასწაული და გაიმარჯვე! აქაც გასული წლების გამოცდილებიდან გამომდინარე, სულაც არ არის გამორიცხული განხეთქილება თუნდაც ისეთი უბრალო მიზეზის გამო, როგორიცაა, მაგალითად ის საკითხი, თუ ვისი პარტიის წევრი უნდა გახდეს რომელიმე „მსუქანი“ თანამდებობის მფლობელი (სხვათა შორის, ეს ძალიან „მტკივნეული“ თემაა, რადგანაც არამც თუ სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებს შორის, ერთი პარტიის შიგნითაც მუდმივად ხდება „ჩუმი“ თუ „ღია“ დაპირისპირებები, რაც ახალი ოპოზიციონერების გაჩენის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენსძ.

3. ვთქვათ მოხდა კიდევ უფრო მეტი სასწაული და გამარჯვებასთან ერთად, პორთფელების უმრავლესობაც „დაითრიე“, მერე რა უნდა აკეთო? (აუ, ახლა არ თქვათ, ქვეყანას ავაყვავებთო. გვაქვს ჩვენ ნანახი თქვენი აყვავებული ქვეყანაძ.

4. დამარცხების შემთხვევაში კი თავისუფლად შეიძლება თავის მართლება: აძ ხელისუფლებამ თავისი „სახელისუფლებო რესურსი“ გამოიყენა; ბძ გამიყალბეს; გძ ერთობა ვერ შევინარჩუნეთ (და კიდევ მრავალი „მიზეზი“, რაც არაერთხელ მოგვისმენიაძ.

მოდით, თავი დავანებოთ ამ რიტორიკას და საქმეზე გადავიდეთ.

ხელისუფლებას საკმაოდ სერიოზული და მრავალგზის აპრობირებული ტაქტიკა აქვს, რაც პირველ რიგში საკუთარი ამომრჩევლის სრულ მობილიზებას წარმოადგენს.

ცხადია, რომ ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს იმ შეღავათებსა და სხვადასხვა სახის სამუშაოებს, რომლებიც ბიუჯეტის დაფინანსებით კეთდება.

რაღა დაგიმალოთ და ეს კარგიცაა, რადგანაც არჩევნების შემდეგ არც იმ 10-ლარიან დანამატებს წაართმევენ პენსიონერებს და არც გარემონტებულ სახურავებს დაანგრევენ (ვიღაც მეტყვის, რა მნიშვნელობა აქვს იმ ათლარიან დანამატს, როდესაც ყველაფერი ძვირდებაო. თამამად ვუპასუხებ, რომ გაძვირებით მაინც გაძვირდება, ხოლო ის ათი ლარი კი იმ კაკლის ფუნქციას მაინც ასრულებს, ყვავს რომ უნდა გააგდებინოძ.

ბუნებრივია, რომ მიუხედავად სხვადასხვა „კურიერში“ გაკეთებული ომახიანი სიუჟეტებისა, რომლებიც ნაციონალური მოძრაობიდან თბილისის მერობის სავარაუდო კანდიდატს გიგი უგულავას ეძლევა, სახელისუფლებო წრეებშიც საკმაოდ მძლავრი „შიდა დინებებია“ და ჯერ კიდევ არავინ იცის რა იდეას მიაწვდიან საქართველოს პრეზიდენტს მისი დასავლეთელი მრჩევლები.

№ 41. პარასკევი, 5 მარტი, 2010 წელი.

## მერობის კანდიდატი



**თბილისის მერობის კანდიდატი დავით იაკობიძე არც თუ სასურველი რესპონდენტი შეიძლება იყოს ქართველი ჟურნალისტებისთვის, მით უფრო, რომ მაინცდამაინც თვითონაც არ წყალობს მათ, მათ შორის, ალბათ, მეც. როგორც პროფესიონალი ფინანსისტი, ჟურნალისტიკასაც მათემატიკური სიზუსტით ზომავს, მაგრამ ავიწყდება, რომ ხანდახან ჟურნალისტიკაში ბრძოლა წესების გარეშე თითქმის გამართლებულია და ინტრიგა ყველაზე მეტად ხიბლავს მკითხველს.**

**ყოფილი ფინანსთა მინისტრი მერობისთვის მშვიდად ემზადება და ზედმეტად თავდაჯერებულია. გამარჯვებისთვის იბრძოლებს, მაგრამ როგორ მოახერხებს ამას, ეს რამდენიმე თვე პასუხგაუცემელ საიდუმლოდ დარჩება.**

# დავით იაკობიძე: მე ჩემს ხმებს კი ავიღებ, მაგრამ ის მაინტერესებს, რამდენ ხმას ავიღებ

**— რატომ გადაწყვიტეთ თბილისის მერის პოსტზე თქვენი კანდიდატურის დაყენება, — ჩემს ბანალურ კითხვაზე ასევე ბანალურად პასუხობს (ალბათ, დაიღალა):**

— იმიტომ, რომ მიმაჩნია, თუ ვიქნები თბილისის მერი, შევძლებ უკეთესად მივხედო ქალაქის სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს, ვიდრე დღევანდელი მერი აკეთებს ამას.

**— რატომ გია თორთლაძის პარტიიდან? მან თავად შემოგთავაზეთ გეყარათ კენჭი?**

— დიდი ხანია ბატონ გიასთან ვთანამშრომლობ. „დემოკრატიული საქართველოს“ პარტიის წევრი ვარ, შესაბამისად სხვა კანდიდატებიდან ჩემზე შეაჩერეს არჩევანი.

**— და გჯერათ, რომ ხელისუფლება თბილისის მერის პოსტს ასე ადვილად დათმობს და გაგამარჯვებინებთ?**

— ეს დამოკიდებულია მოქალაქეებზე, ჩვენს ამომრჩევლებზე და მათ დონეზე.

**— მხოლოდ მოქალაქეებზე? არა გაქვთ პრეტენზიები საარჩევნო კანონმდებლობასთან, სიებთან დაკავშირებით?**

— ყველაფერი ეს ცუდია, არ მომწონს, მაგრამ რამდენადაც ცუდია ჩემთვის, ისეთივე ცუდია სხვა კანდიდატებისთვის.

**— მაგრამ არა უგულავასთვის?**

— არა, მე აპრიორი იმას ვერ ვიტყვი, რომ უგულავა ის კაცია, რომელიც დამახინჯებებზე წავა. მაშინ მე მისი კონკურენტი როგორღა ვიქნები?!

**— ამას გულწრფელად მეუბნებით?**

— ასპროცენტიანი.

**— ოპოზიციაში ამბობენ, რომ საპარლამენტო ოპოზიციის კანდიდატები ხმებს მხოლოდ უგულავას წაართმევენ და არა ოპოზიციის კანდიდატს, რადგან თქვენი ამომრჩევლები არიან ნაციონალების მხარდამჭერები, რომლებიც რაღაც მიზეზის გამო ამჟამად არ უჭერენ მათ მხარს?**

— ჰოდა, თუ ასეა, კიდევ უფრო წყნარად უნდა იყვნენ ჩვენთან დამოკიდებულებაში.

**— ისინი მშვიდად არიან ამ კუთხით, უბრალოდ თქვენი აზრი გვაინტერესებს.**

— მე ჩემ ხმებს ავიღებ, ასე მგონია; და ისიც მაინტერესებს, რამდენს ავიღებ.

**— რატომ გაინტერესებთ, თქვენი წარსულიდან გამომდინარე?**

— რა არის ჩემი წარსული, რა იცით ახალმა თაობამ ამის შესახებ? ჩემი ძალისხმევით საქართველოში გაკეთდა ბიუჯეტი, ყველაზე არეულ დროში, 1993-97 წლებში მოვახერხე შემექმნა ბიუჯეტი და სახელმწიფო რესურსების ხარჯვის კანონიერი მეთოდები. იმ დროს, გარდა ცოდნისა, საჭირო იყო ვაჟკაცობა და პირადი თავდადება და მე ეს გავაკეთე.

დღეს ვხედავ, რომ თბილისი ცხოვრობს არასწორად, იხარჯება ბევრად მეტი, ვიდრე მას რეალური შემოსავლები აქვს. თბილისელების შემოტანილობები არ აღემატება ქალაქის ბიუჯეტის 10 პროცენტს. დანარჩენი არის ცენტრალური ბიუჯეტის ტრანსფერები, დახმარებები.

**— რომელიც აკლდება რეგიონებს?**

— დიახ, სხვა რეგიონებს აკლდება და თბილისი იქცევა „პოტიომკინს სოფლად“, იმიტომ, რომ კეთდება ის, რაც არ უნდა კეთდებოდეს. აი, რაც დღეს გმირთა მოედანზე კეთდება. მე ყველაფერს გავაკეთებდი რაციონალურად. მაგალითად, გავაკეთებდი ნარკოტიკების მომხმარებელთა პროფილაქტორიუმს, რაც ძალიან მტკივნეული თემაა. ავიღოთ, დედათა და ბავშვთა საკითხი, ოჯახის დაგეგმარება და დამოგრაფიული პრობლემები. ამას ფული არ უნდა?

**— და, როგორც ამბობთ, თუკი თბილისის რეალური ბიუჯეტი მხოლოდ ათი პროცენტია, ამას როგორ მოახერხებდით?**

— როგორ და, არსებობს კანონმდებლობის მეთოდები, საქართველოს პარლამენტი, პრეზიდენტი, ვისთანაც უნდა იმუშაო და დაარწმუნო ისინი და ა. შ. მე ვიცი, როგორ უნდა გაკეთდეს.

**— პენსიებს რას მოუხერხებდით?**

— პენსიებთან დაკავშირებით ძალიან ცუდად იქცევა მერია, ამით ერთიან ეკონომიკურ პოლიტიკაში დისონანსი შეაქვს. მართალია, ამომრჩეველს მოისყიდის, მაგრამ რატომ უნდა იყოს თბილისსა და რეგიონებში პენსია განსხვავებული?

**— შეიძლება თუ არა პენსია იყოს საარსებო მინიმუმს გათანაბრებული?**

— გააჩნია, როგორ დათვლიან საარსებო მინიმუმს?

**— დაახლოებით 150 ლარი.**

— ჩემი აზრით, სწორად არ არის დათვლილი, რადგან ოდნავ ნაკლებია. საარსებო მინიმუმს გათანაბრებული უნდა იყოს არა პენსია, არამედ სოციალური სარგო. პენსია კი უნდა დაინიშნოს სტაჟისა და დამსახურების მიხედვით, ანუ იმის გათვალისწინებით, რაც ადამიანმა გამოიმუშავა წლების განმავლობაში.

**— დაუბრუნებთ თუ არა თბილისელებს დაკარგულ ანაბრებს?**

— პირდაპირ გეუბნებით, ვინც დაპირდა ხალხს ანაბრებს, ის ატყუებს და დამნაშავეა.

**— ზურაბ ნოღაიდელი?**

— დიახ. მან პირველმა თქვა ანაბრების გაცემაზე უარი თავის დროზე. ნოღაიდელმა კარგად იცის, რომ ჩვენი სახელმწიფო არ არის იმ 4 მილიარდის გადამხდელი.

**— ე. ი. ეს ფული დაკარგულია?**

— არ ვიცი...

აი, ვთქვათ, მივედით ერთ საერთო ოპოზიციურ კანდიდატამდე და ის ავირჩიეთ. მივეცით დავალება, რომ სააკაშვილი ჩამოაგდოს. მიგვიყვანს თუ არა ეს სამოქალაქო ომამდე, ბანკების გაკოტრებამდე, დეპოზიტების დაკარგვამდე, მერე ვინ დაგვიბრუნებს ვალებს? ასე არ მოხდა მაშინაც, სამოქალაქო დაპირისპირების დროს?

**— ვარაუდობენ, რომ სამოქალაქო ომი არა, მაგრამ თუ ოპოზიციონერი მერი ეყოლება ქალაქს, ხელისუფლება მას მაინც გამოაცლის ბერკეტებს და ხელოვნურად შეუქმნის ბარიერებს. თქვენ რისი იმედი გაქვთ?**

— მე თუ ამირჩიეს, ყველა ხერხით ვიბრძოლებ ამ ბარიერების წინააღმდეგ. თუ მექნება სიმართლე და სწორად დაგეგმილი საქმე, ვერავითარ საფრთხეს ვერ შემიქმნიან.

**— რას იტყვით თქვენს ოპონენტებზე?**

— მე გამარჯვებას ვცდილობ, რომ ხალხმა ხმა მომცეს და არა ჩემი ოპონენტების დამარცხებას.

**— ბრძოლის წესები ასეთი გაქვთ?**

— დიახ!

ესაუბრა
**თეა მოსია**

## ინფორმაცია

### იაკობაშვილი ვიზიტის შედეგებს აჯამებს

**რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი თემურ იაკობაშვილის აშშ-ში ვიზიტს აჯამებს.**

**როგორც სახელმწიფო მინისტრის აპარატიდან იტყობინებიან, შეერთებულ შტატებში ერთკვირიანი ვიზიტის მიზანი საქართველოს მთავრობის სახელმწიფო სტრატეგიის: „ჩართულობა თანამშრომლობის გზით“ წარდგენა იყო.**

**თემურ იაკობაშვილმა შეხვდრები გაეროს განვითარების პროგრამის დირექტორის მოადგილე რებეკა გრინსპანთან, ევროკავშირის, აფრიკის კავშირის და ლათინური ამერიკის ქვეყნების ჯგუფებთან გამართა.**

**— ელჩები მიესალმნენ საქართველოს სწრაფვას ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობისკენ მიმართულ სამოქმედო გეგმის შემუშავებას და განხორციელებას, აგრეთვე მყარი მხარდაჭერა გამოხატეს არაღიარების პოლიტიკისადმი, — ნათქვამია იაკობაშვილის აპარატის განცხადებაში.**

**გარდა ამისა, ვაშინგტონში თემურ იაკობაშვილმა სტრატეგია განიხილა პრეზიდენტ ობამას თანაშემწესა და ევროპის საკითხებში ეროვნული უშიშროების საბჭოს უფროს დირექტორ ელიზაბეტ შერვუდთან, ასევე პოლიტიკურ საკითხებში სახელმწიფო მდივნის მოადგილე ვილიამ ბერნსთან.**

**თემურ იაკობაშვილი შეერთებულ შტატებში 20-27 თებერვალს იმყოფებოდა.**

### გარდაიცვალა ვლადისლავ არძინბა

**4 მარტს აფხაზ სეპარატისტთა ლიდერის სერგეი ბაღაფშის დაბადების დღეს სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. პირველი პრეზიდენტი ვლადისლავ არძინბა გარდაიცვალა.**

**მძიმედ ავადმყოფი ვლადისლავ არძინბა მოსკოვის ერთ-ერთ კლინიკაში 26 თებერვალს გადაიყვანეს. ვლადისლავ არძინბა 64 წლის იყო.**

ХО-ЭОВ-ЭБО

## განსჯა

# და „აბესალომის წეზო“ ოპოზიციისთვის

არავინ იცის, რა მოხდება საბოლოოდ, არა იმიტომ, რომ ბატონი მიხეილი, ასე ვთქვათ, არაადეკვატურია, არამედ იმიტომ, რომ თბილისის მერად არჩეული გიგი უგულავა, რბილად რომ ვთქვა, არც გეგა მგალობლიშვილია და არც დავით ბაქრაძე.

აქედან გამომდინარე, თუ მოულოდნელად, ნაციონალური მოძრაობის კანდიდატად არა გიგი უგულავა, არამედ ვინმე სხვა „მოგვევლინა“, ეს მიხეილ სააკაშვილის მიერ საკუთარი ხელისუფლების განმტკიცებისთვის გადადგმული ყველაზე უფრო ადეკვატური ნაბიჯი იქნება.

აქ ისმის კითხვა: კი მაგრამ, ასეთ შემთხვევაში, ხომ მოსალოდნელია უგულავას ოპოზიციაში გადასვლა?

პასუხი, როგორც ყოველთვის, ძალიან მარტივია.

ის არსად, უფრო სწორად რომ ვთქვა, ვერსად ვერ „გადავა“.

ჯერ ერთი იმიტომ, რომ არავინ არ მიიღებს, რადგანაც ეს ნაბიჯი მიმღები პოლიტიკური ძალის სრული დისკრედიტაცია იქნება.

ბურჯანაძის, ოქრუაშვილის და ნოღაიდელის მსგავსი ვარიანტიც გამორიცხულია (ანუ ნაციონალური მოძრაობიდან — „საკუთარ პარტიაში“ გადაბარგება). გამორიცხულია, რადგანაც მას არ ჰყავს ისეთი ძლიერი თანამოაზრეები, როგორიც ბურჯანაძეს, არ გადადგამს ისეთ ნაბიჯებს, როგორებიც გადადგეს ოქრუაშვილმა (ალიარებაძ და ნოღაიდელმა (რუსეთი). არც ამერიკელები დაინტერესდებიან მისით, რადგანაც ჯერ ერთი არჩევნები უკვე ჩავლილი იქნება და მეორეც, ამერიკული ნიშა ალასანიას საკმაოდ მყარად აქვს დაკავებული.

უგულავა ფაქტობრივად ორ ცეცხლს შორისაა მოქცეული, რადგანაც ერთის მხრივ საარჩევნო კამპანია მან უკვე დაიწყო და მთელს თავის ძალებს ამ კამპანიაში დებს. მეორეს მხრივ კი არ იცის ნაციონალურ მოძრაობაში „მოერევიან“, თუ არა მისი მომხრეები მის მოწინააღმდეგეებს. დაბოლოს, არ იცის, თუ რა ნაბიჯს გადადგამს პრეზიდენტი.

სწორედ ამ მიზეზების გამო, უგულავა თავგადაკლული ზრუნავს ქალაქისთვის და მიუხედავად „მრავალი ცოდვებისა“, მან ნამდვილად დაიმსახურა კარგი მერის სახელი.

თავად სააკაშვილიც საკმაოდ გაურკვეველ სიტუაციაშია. ასეთ შემთხვევაში, მისთვის ყველაზე კარგი გამოსავალი, უგულავას პრემიერ-მინისტრად დანიშვნა იქნებოდა. მით უმეტეს, რომ პრემიერების ხშირმა ცვლილებამ, ამ პოსტს საკმაოდ შეულახა რეპუტაცია და გავლენა, მაგრამ ეს ნაბიჯი აშკარად დაანახებს ყველას პრეზიდენტის შიშს უგულავას მიმართ.

დიახ შიშს, რადგანაც ნორმალური კვლევების შედეგად, ნათლად ჩანს, რომ დღესდღეობით თბილისის მასშტაბით, ქალაქის მერის რეიტინგი თუ არ აღემატება, არც არაფრით ჩამოუვარდება პრეზიდენტის რეიტინგს (იმ განცხადებაზე, კი უგულავამ „ნიუსვიკთან“ ინტერვიუში რომ გააკეთა, დაკარგული ტერიტორიების სანაცვლოდ, ნატოში ინტეგრაციაზე უარის თქმასთან დაკავშირებით, აღარაფერს ვამბობ).



არის მოსაზრებები, რომ სააკაშვილმა შეიძლება „ქრისტიან-დემოკრატების“ კანდიდატს გია ჭანტურიას „აუნთოს მწვანე შუქი“. მიუხედავად იმისა, რომ ამ „იდეაში“ ჭეშმარიტების გარკვეული მარცვალი არსებობს, ეს ვარიანტი სააკაშვილისთვის ყოვლად მიუღებელია.

არა, იმიტომ კი არ არის მიუღებელი, რომ პრეზიდენტი თარგამაძეს ან ჭანტურიას არ ენდობა (თარგამაძეს და ჭანტურიას კი არა, ხომ ხედავთ, უგულავასაც აღარ ენდობა), არამედ იმ მარტივი მიზეზების გამო, რომ არც სააკაშვილი და არც მისი ამერიკელი ხელმძღვანელები არ დაუშვებენ საქართველოში, თუნდაც თავიანთი კონტროლის ქვეშ და თუნდაც ადგილობრივი არჩევნების დონეზე, „კიევურ“ კოლაფსს და მეორეც: ამ შემთხვევაში თავად უგულავა იბრძოლებს გაყალბების წინააღმდეგ. ხოლო გაყალბების გარეშე ქრისტიან-დემოკრატები ვერაფერს ვერ მიაღწევენ.

რაც შეეხება ოპოზიციას, რომელიც ამ ქარტეხილში ისე ირხევა, „ვითარცა ლერწამი ქართაგან ძლიერთა“, პირდაპირ ვეტყვი: რა გააწყალეთ გული ამ პრაიმერზე თუ სოციოლოგიურ გამოკითხვაზე გაუთავებელი „ბჭობით“.

ვისაც გინდათ ჩაატარეთ, ვისაც არ გინდათ არ ჩაატაროთ!

ვისაც გინდათ, მიიღეთ მონაწილეობა არჩევნებში, ვისაც არ გინდათ, არ მიიღოთ!

და მოკლედ რომ ვთქვა, რაც გინდათ ის ქენით...

ბიჭოს!

ბისმარკი წერდა, „საკუთარ შეცდომებზე, მხოლოდ იდიოტები სწავლობენ. მე პირადად სხვის შეცდომებზე მირჩევნია სწავლაო“.

იმისათვის, რომ ქართული პოლიტიკური სივრცე გაჯანსაღდეს, ან „აბესალომის წეზო“ უნდა ვიშოვოთ სადმე და ეს ჩვენი ნაწილ-ნაწილ დაშლილი ოპოზიცია შევაწებოთ, ან ისეთი პოლიტიკური ძალის გამოჩენას დაველოდოთ, რომელიც დღევანდელი ოპოზიციის შეცდომებს აღარ გაიმეორებს და ღირსეულ ოპონირებას გაუწევს დღევანდელ ხელისუფლებას.

**გია გაბრიჭიძე**

◎ „შავსათვალიანი“ ოპოზიცია

# ვინ არიან ის ავაზაკები, რომლებიც ჩვენი ქალაქის ქუჩებში დათარეშობდნენ დღისით-მზისით?

## პარლამენტარ გია ცაგარეიშვილის გამოსვლა პარლამენტში 2010 წლის 26 თებერვალს



მივესალმები შეკრებილ საზოგადოებას, მივესალმები ბატონ მიხეილ სააკაშვილს. მე ახლა რამდენიმე გვარს წაგიკითხავთ აქ. იქნებ ამ გვარებმა თქვენ რამე გაგახსენებთ, ბატონო მიხეილ და შეკრებილო საზოგადოებავ და შემდეგ გავაგრძელებ ჩემს სიტყვას: ამირან იობაშვილი, მამუკა კვარაცხელია, გიორგი თავდგირიძე, ნონა სალარეიშვილი, გიორგი შერვაშიძე, ვახტანგ ლაღიძე, დავით უჯმაჯურიძე და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ამ სიის გაგრძელება, მე მგონი, უსასრულობამდე შეიძლება. ეს ის ადამიანები არიან, ბატონო მიხეილ, რომლებიც ერთი წლის წინათ ან მოიტაცეს, ან საშინლად სცემეს, დააბეს ხეებზე, გადააგდეს ხრამში, უკიდურესად აწამეს, შეურაცხყოფა მიაყენეს. ამასთან დაკავშირებით უამრავი წერილი მაქვს გაგზავნილი მთავარი პროკურორის სახელზე, შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე, იუსტიციის მინისტრის სახელზე, თქვენს სახელზე, სხვათა შორის, 2 წერილი გავაგზავნე თქვენი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სახელზე. არც ერთი პასუხი არც ერთი უწყებიდან არ მოსულა. მე აქ მაქვს სია ამ ადამიანებისა, რომლებიც გასულ წელს მასობრივი გამოსვლების დროს საშინლად შეურცხყვეს, სცემეს, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა უმძიმეს მდგომარეობაში იყო. უბრალოდ, ამ ადამიანებს ბედმა გაუღიმა, რომ ისინი დღეს ცოცხლები არიან. ეს შეეხება იმას, რასაც თქვენ ამბობდით გამოსვლის დროს, რომ ჩვენ ისე გავიარეთ ეს მასობრივი მიტინგები და მანიფესტაციები, რომ ხალხისთვის შეურაცხყოფა არ მიგვიყენებია, მათი ჯანმრთელობა არ შეგვირყევია, არავინ არ გვიცემიაო. ფაქტები საწინააღმდეგოს მეტყველებს და როგორ მოხდა ეს ერთ პატარა ქალაქში, ცენტრალურ უბნებში, სხვათა შორის, იმ ქალაქში, იმ ქვეყანაში რომლის პრეზიდენტიც და რომლის შინაგან საქმეთა მინისტრიც მაცხოვრობს, როცა მაფიოზთა სამყარო ალაგმულია, კრიმინალი დამარცხებულია, ვინ აკეთებდა ამას ყველაფერს, იქნებ მითხრას ვინმემ და ამისსნას, ვინ არიან ის ავაზაკები, რომლებიც ჩემი ქალაქის და თქვენი ქალაქის ქუჩებში დათარეშობდნენ დღისით-მზისით, ჭავჭავაძის გამზირიდან, რუსთაველის გამზირიდან, მიმდებარე ქუჩებიდან იტაცებდნენ ადამიანებს, ბიზნესმენებს, ყოფილ დეპუტატებს, რომლებსაც საგურამოს ტყეში ხეებზე აბამდნენ და შემდეგ მათ დამწვარ-განადგურებულ ავტოტრანსპორტს პოულობდნენ ხან გაჩიანში და ხან იმის იქით.

ვინ იყვნენ ეს ადამიანები, ვინ აკეთებდა ამას? მე ვსარგებლობ იმით, რომ მართლაც უნიკალური შესაძლებლობა მაქვს, დღეს თქვენ გიხილეთ აქ მობრძანებული, და ამ სიას ნამდვილად გადმოგცემთ. მოცალეობის ჟამს თვალი გადაავლეთ მას, ვინ არიან ეს ადამიანები, აქ 100-ზე მეტი ადამიანია, 100-ზე მეტი ჯანმრთელობაშერყეული ადამიანი, რომელთა უმრავლესობა დღესაც მკურნალობს.

აქ იყო წარმოდგენილი უამრავი სტუმარი, ეს ძალიან კარგია. მე ერთ ოჯახზე ვისაუბრებ დღეს, ეს არის მონასელიძეების ოჯახი, რომელსაც 2006 წლიდან ქალაქის ცენტრში უძრავ ქონებას ართმევენ. 4 წელია მიმდინარეობს ამ ოჯახთან ბრძოლა, ჭილ-ყვავებივით არიან შესეული ამ ოჯახის საკუთრებაზე სხვადასხვა რანგის ჩინოვნიკები, დაწყებული ქალაქის ზედამხედველობის ინსპექციით, დამთავრებული ერთ-ერთი მოსამართლით, რომელმაც ძალიან ცუდი თანამონაწილეობა მიიღო ამ საქმეში, ძალიან ცუდი. ჩემი აზრით, სწორედ მონასელიძეებისნაირები მოიყვანენ ხვალინდელ დღეს, თავისუფალ დღეს ამ ქვეყანაში. ეს ობიექტი, სხვათა შორის, აქედან ერთ კილომეტრში მდებარეობს, ჩვენ შეგვიძლია ახლავე წავიდეთ და ვნახოთ დალუქული ობიექტი, ამ ობიექტის მეპატრონეს 4 წელია ატერორებენ დილიდან საღამომდე: იბარებენ ინსპექციებში, შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში და ა.შ და ა.შ. კარგი იქნებოდა ის ოჯახიც რომ აქ ყოფილიყო და იმ ოჯახის წევრთა თვალებშიც ჩაგვეხედა და გვეთქვა, რატომ წავართვით იმ ადამიანებს ლუკმაპური. იცით რატომ? იმიტომ, რომ ის ობიექტი, უბრალოდ, რაღაცა მშენებლობის გვერდით აღმოჩნდა. აი, რატომ ატერორებენ იმ ოჯახს დილიდან საღამომდე. გინდათ დაგაკავშირებთ იმ ადამიანებთან. მოვლენ, ჩვენებებსაც მისცემენ მთავარ პროკურატურას, უკან არ დაიხევენ.

ასევე მინდა მოგწოდოთ: იქნებ თქვენი საპრეზიდენტო ფონდი ხილული გახდეს საჯარო მოსახლეობისთვის. თქვენ ამ 6 წლის მანძილზე 160 მილიონი ლარი დახარჯეთ. 6 თვეა, ვცდილობ, როგორმე მივაკვლიო საჯარო ინფორმაციას, ამის უფლება მე კანონით მაქვს და არა მარტო მე, აქვს ამ ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს. 6 თვეა, ვცდილობ, მათ შორის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დახმარებით, მაგრამ ვერ მოვიპოვე ვერც ერთი ინფორმაცია, რომელიც თქვენი ფონდის საქმიანობას გამოააშკარავებს საზოგადოებისთვის. ნათელი გახადეთ ხარჯები,რომელიც გაწეულია ამ ფონდიდან და ნათელი გახადეთ ასევე, ის სამართლებრივი აქტები, რომლითაც პირდაპირი წესით არის თქვენს მიერ მიყიდული ქონება მრავალ ადამიანზე, თუ ჩვენ მხოლოდ ერთი აგარაკი გვახსენდება 1 ლარად ნაბოძები ვიღაც-ვიღაცეებისთვის, სხვებიც არის, ბატონო მიხეილ, და ამაში დარწმუნებული ვარ იმიტომ, რომ არ დარჩა უწყება, სადაც არ გამეგზავნოს პეტიცია და შესაბამისი მიმართვა. ერთი პასუხიც კი, ფაქტობრივად, არ შემომსვლია. მიმითითებენ, ინტერნეტზე არის დაკიდებულიო, ინტერნეტში ბევრი რამეა, სხვა რაღაცეებიც არის დაკიდებული. მაგრამ მე ვარ სახელმწიფო მოხელე. მე ვარ საქართველოს პარლამენტის წევრი და ის აღმასრულებელი ხელისუფლება ვალდებულია, მათ შორის, ჩემს წინაშეც და მე ვალდებული ვარ ჩემი ამომრჩევლის წინაშე. მე გუნდრუკის საკმევლად არ ავურჩევივარ ადამიანებს. კი, ბატონო.

◎ SIC!



# რა დააშავეს აფხაზეთიდან დევნილებმა?

## აფხაზეთში რუსული პასპორტების გაცემა განახლდება!

**სამეგრელო-აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის გადალახვა მხოლოდ მდინარე ენგურის ცენტრალური ხიდით არის შესაძლებელი და ისიც იმ შემთხვევაში, თუ პიროვნებას აქვს ე. წ. აფხაზური პასპორტი.**

რამდენიმე წლის წინათ აფხაზეთში იძლეოდნენ რუსეთის ფედერაციის, ანუ რუსეთის მოქალაქეობის დამადასტურებელ პასპორტებს, რომლითაც ამ პასპორტის მფლობელს შეეძლო გადაადგილება დსთ-ს სივრცეში. ახლა ასეთი პასპორტების გაცემა შეწყვეტილია და ნებადართულია მოძრაობა მხოლოდ აფხაზეთის ტერიტორიაზე.

ბოლო ხანს გავრცელებული ვერსიით აპრილიდან შესაძლოა ისევ განახლდეს რუსული პასპორტების გაცემა.

გალის რაიონში არავითარი იძულება არ არის აფხაზურ-რუსული ხელისუფლებიდან აფხაზური პასპორტების აღებისა. პირიქით, გალის მცხოვრებნი უსიამოვნების თავიდან აცილების მიზნით, აფხაზურ პასპორტებს ითხოვენ. მაგრამ იმდენად ბევრია მსურველი, ყველა მოთხოვნა ვერ კმაყოფილდება. „ყოველდღიურად გალის საპასპორტო განყოფილებასთან უამრავი ხალხი ირევა. მათი სურვილია, აიღონ აფხაზური პასპორტი, მაგრამ ბევრ მათგანს უარით ისტუმრებენ და ეუბნებიან, რომ ცოტა კიდევ დაიცადონ – თქვა ერთ-ერთმა გალელმა (ვინაობის გამხელა არ ისურვაძ.

ზუგდიდში დროებით მცხოვრებ დევნილთა უმრავლესობას, ქართულ პასპორტებთან ერთად, აფხაზური პასპორტებიც აქვთ, აფხაზები ამის უფლებას იძლევიან. დევნილები ამას არც მალავენ, და მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, აფხაზური პასპორტების აღებით დევნილები გალის რაიონს უნარჩუნებენ ქართულ სულს და ქართულ ცნობიერებას და ამასთანავე, ენგურის გაღმა-გამოღმა მოძრაობით სარჩო-საბადებელსაც შოულობენ. სხვაგვარად ვერც იარსებებენ, რადგანაც ხელისუფლებისგან არანაირი ყურადღება არ ექცევათ და რაც დრო გადის, უფრო და უფრო უქრებათ მშობლიურ მიწა-წყალზე დაბრუნების იმედი. ისინი საქართველოს ხელისუფლებას, პრეზიდენტს ბრალს სდებენ დევნილთა მიკერძოებაში: „რატომ ყველაფერი ცხინვალის რეგიონის დევნილებს, რატომ ექცევათ მათ გაცილებით მეტი ყურადღება, ვიდრე ჩვენ“? – აცხადებენ ზუგდიდელი დევნილები.

**ლადო ქირია,**
ზუგდიდი

◎ ინფორმაცია

### რათა პოლონეთს უფრო დავუახლოვდეთ

**სასტუმრო „ქორთიარდ-მარიოტში“ საქართველო-პოლონეთის ერთობლივი ეკონომიკური თანამშრომლობის სამთავრობოთაშორისო კომისიის პირველი შეხვედრა გაიმართა.**

მხარეები საქართველო-პოლონეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობების საკითხებზე, კერძოდ ენერგეტიკის, რეგიონალური პოლიტიკის, ტრანსპორტის, ტურიზმის, სოფლის მეურნეობის და სხვა სფეროებში თანამშრომლობაზე ისაუბრებენ.



შეხვედრა ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში მიმდინარეობს.

როგორც შეხვედრაზე გაცხადდა, არ არის გამორიცხული პირდაპირი და საჰაერო სატრანსპორტო მიმოსვლის შემდეგ, ქვეყნებს შორის უახლოეს მომავალში ხელშეკრულება საზღვაო სატრანსპორტო მიმოსვლასთან დაკავშირებითაც გაფორმდეს.

### ედავებიან „თელასს“

**შესაბამისი** საჩივარი პარტიის ლიდერმა გიორგი ლაღიძემ გუშინ ქალაქის მთავარ პროკურატურაში შეიტანა.

ლაღიძე „თელასს“ დევნილთა კორპუსებში ინდივიდუალური მრიცხველების არარსებობის გამო ედავება და აცხადებს, რომ კომპანია ვალდებული იყო ინდივიდუალური გამრიცხველიანება მოეხდინა.

— დევნილებს ელექტროენერგიაზე გაცილებით მეტი საფასურის გადახდა უწევთ, ვიდრე ისინი მას მოიხმარენ. „თელასი“ ამ ადამიანებს ფულს სძალავს, მაშინ როცა, ვალდებული იყო დევნილთა საცხოვრებელი კორპუსების ინდივიდუალური გამრიცხველიანება მოეხდინა, — განაცხადა ლაღიძემ.

ჯი-ეიჩ-ენი

◉ სულით უტეხი კაცი

# სოლიკო ხაზეიშვილის აღზევება და ტრაგედია


სოლიკო ხაზეიშვილი მთაში. გურამ თიკანაძის ფოტო

**მხოლოდ სინდისი და ინტელექტი გადაარჩენს საქართველოს! სოლიკო ხაზეიშვილი**

**სოლიკო ხაზეიშვილის ტრაგედია ერთი ვრცელი დეტექტიური მოთხრობის თემაა. დღეს მხოლოდ იმაში გვინდა დავარწმუნოთ მკითხველი, რომ ამ ტრაგედიამდე სხვათა ბოროტებამ, შურმა და ღვარძლმა მიიყვანა ეს მრავალმხრივ საინტერესო კაცი (არ მომწონს სიტყვა საინტერესო! ასეთი სხვაც ბევრი იყო, იყო და არის)...** სოლიკო ხაზეიშვილი ბავშვობიდანვე პოეზიის ისეთი ღვთიური ნიჭით იყო დაჯილდოებული, რომ ჩვენს საყოველთაოდ აღიარებულ კოლორიტს – პოეტსა და მთარგმნელს ვახუშტი კოტეტიშვილს ეჯიბრებოდა ლექსთთხზვასა და სიჭაბუკის „გიჟურ რომანტიკაში". ჯერ კიდევ თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ლიტერატურულ წრეში ყოფნისას, ამ ორ ყმაწვილს იმდენი ქართული და რუსული ლექსი სცოდნია ზეპირად, ველარ გაერკვიათ, რომელს ეკუთვნოდა პირველობა. როცა „ჟიური" ერთხმად აღიარებდა, ორივენი ერთი ერთმანეთზე უკეთესები ხართო, ბიჭები თითებს გაიჭრიდნენ და ფიცვერცხლნაჭამი ძმობის სისხლით დათხაპნიდნენ ლექსებით სავსე იმ ფურცლებს, რომლებსაც საგულდაგულოდ ინახავდნენ სხვათათვის ვერმისაგნებ კუთხე-კუნჭულებში. თბილისის პირველ საშუალო სკოლაშივე გამოვლენილა სოლიკო ხაზეიშვილის არტისტული ნიჭიც. ერთმანეთის მიყოლებით მას ბრწყინვალედ განუსახიერებია ანდუყაფარი (გ. ერისთავის „გაყრაში") და გოროდნიჩი (ნ. გოგოლის „რევიზორში")... როცა ყველას ეგონა, რომ ოქროს მედალზე სკოლადამთავრებული სოლიკო ფილოლოგიურზე ან თეატრალურზე ჩააბარებდა, მაშინდელი ბიჭებისთვის საოცნებო „გეპეის" სამთო-გეოლოგიის ფაკულტეტზე ჩარიცხულა და იქაც მალე გამხდარა ჯერ ფაკულტეტის, შემდეგ – ინსტიტუტის და, ბოლოს თბილისელი ახალგაზრდობის ერთ-ერთი ლიდერი. მაშინ კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოზე სულით და ხორცით ჯანსაღ, ყველაზე განათლებულ ახალგაზრდებს ეძებდნენ... სოლიკოც დაითანხმეს, რომ კომკავშირიდან კარიერას უფრო ადვილად გაიკეთებდა და ისიც აუყვა ცხოვრების აღმართს... ოღონდ არა ოდენ ბარში, ასფალტზე, კომკავშირისა და პარტიის ცენტრალურ კომიტეტში... რომანტიკოსი და მუხლმაგარი, უშიშარი და პოეზიის მადლით ანთებული ჭაბუკი ალპინისტი, შესანიშნავი მთამსვლელი გახდა, მაშინდელ ალპინისტთა საძმოს ჯ. მეძმარიაშვილს, თ. კუხიანიძეს, ა. აბაშიძეს, ო. ხაზარაძეს, გ. თიკანაძეს და სხვებს მაშველ თოკში ჩაება და კავკასიონზე, ტიანშანზე, ფუძიამასა თუ ალპებში საკუთარი წერაყინის და წრიაპების კვალი დატოვა...

აქ მოვლენებს ოდნავ გავუსწროთ და იმის დასამტკიცებლად, თუ როგორ უყვარდა სოლიკო ხაზეიშვილს მთა, მისი ბოლო მწვერვალის დაპყრობის შესახებაც გეტყვით ორიოდ სიტყვას:

1985 წლის 28 ივლისიდან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი სოლიკო ხაზეიშვილი მორიგ შვებულებაში უნდა წასულიყო. მეორე დღეს, ალპინისტ მეგობრებთან ერთად, ყაზბეგის რაიონში, ჭიუხებზე და გურამ რჩეულიშვილის სახელობის მწვერვალზე მიემგზავრებოდა. შაბათ დილას გაირკვა, რომ ცეკას პირველი მდივანი მას ორშაბათს „ხევსურეთის აღორძინების გეგმის შესათანხმებლად" ცეკაში მისვლას უბრძანებს... რა გაეწყობა, სოლიკო მეგობრებს სალაშქროდ გამგზავრების გადავადებას სთხოვს... მეგობრები ორშაბათს საღამოს ეხმიანებიან ბინაზე... ყურმილს სოლიკოს მეუღლე გიული ურუშაძე-ხაზეიშვილი იღებს და თვალცრემლიანი ამბობს: **სოლიკო დღეს ცეკას ბიუროს სხდომაზე თანამდებობიდან მოხსნეს და ტელეფონთან ვერ მოვა, ჰიპერტონული კრიზი აქვს, ექიმები ახლაც თავზე ადგანანო...**

მეგობრები უმალ მიხვდნენ, **აი, თურმე რატომ უნდა შეევლო სოლიკოს ცეკაში!**

მთამსვლელი აგი აბაშიძე მერე მოიგონებს: „სოლიკოსთან რომ მივედით, ექიმები უკვე წასულები დაგვხვდნენ. ის იწვა დაღლილი, ნატანჯი სახით. დღესაც ჩაგვეშალაო წასვლა, ალბათ ვერც ხვალ შევძლებო, ზეგ კი უკეთ ვიქნები და აუცილებლად წავიდეთო მთაში, ხომ მომიცდით ზეგამდეო? – გვეხვეწებოდა"...

ექიმებისა და მეუღლის პროტესტის მიუხედავად, სოლიკო მესამე დღეს მართლაც წამოდგა, **„მთაში უთუოდ კარგად გავხდები, მთა არ მიღალატებსო!"**, და 1985 წლის 1 აგვისტოს სოლიკო ხაზეიშვილი უკანასკნელად შეუყვა მწვერვალისკენ მიმავალ გზას... მეგობრებთან ერთად მას შვილი, ახალბედა კარდიოლოგი გიგიც ახლდა... სოლიკო იმანაც გაახალისა, რომ შვილიც მუხლმაგარი ბიჭი გამოდგა, მთაში არაფერი შეშლია.

გიგი დღეს თბილისში აღიარებული კარდიოლოგია.

ბარში დარჩენილმა ქვებუდანებმა თბილისში ჭორი გაავრცელეს: ხაზეიშვილმა მთებში უამრავი ოქრო-ვერცხლი გადამალაო. მერე თვითონვე „დაიჯერეს" ეს ჭორი და სოლიკოს ყაზბეგელი ძმაკაცის შალვა ქირიკაშვილის „დამუშავება" დაიწყეს – „გვასწავლე, სად ინახება ხაზეიშვილის აუწონავი განძიო"... სოლიკოს მეგობრები გაოცებულნი იყვნენ, – ამ კრისტალური პატიოსნების კაცს საიდან ექნებოდა მთებში დასამალი ოქრო-ვერცხლი? როგორც მოსალოდნელი იყო, ჭიუხებში ვერაფერი იპოვეს და „სამართალდამცავები" კუდამოძუებულნი გამობრუნდნენ უკან. მაშინ (რა თქმა უნდა, ახლაც!) სისხლის სამართლის საქმის შეთითხვნას რა უნდოდა და... რამდენიმე დღეში სოლიკო ხაზეიშვილი „მძიმე ბრალდებებით" დააპატიმრეს!..


სოლიკო ხაზეიშვილი და ლეგენდარული კარდიოქირურგი ვლადიმერ ბურაკოვსკი

მანამდე კი იყო ამ **ენერგიული, მუდამ ახალი იდეებით ანთებული, გამორჩეულად აქტიური კაცის შესანატრ ინტელექტზე დამყნობილი „პარტიულ-პოლიტიკური" იმპროვიზაციები. კომკავშირულ და პარტიულ ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობის დროს სოლიკომ მოახერხა გუდაურის საკურორტო კომპლექსის დაფუძნება-აღორძინება** (გუდაური მისი უპირველესი სიყვარული იყო), **ქუთაისის სამხატვრო გალერეის, რესპუბლიკური ლიტერატურული ჟურნალის „განთიადის", აგრეთვე, ქუთაისის სიმფონიური ორკესტრისა და გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" ფილიალის დაარსება.**

**სოლიკო ხაზეიშვილი ერთ-ერთი მოთავე იყო ფოთის ცნობილი ექსპერიმენტისა. სხვადასხვა დროს მან სული შთაბერა ასპინძის სოფლებში აჭარლების გადმოსახლებას, ხევსურეთში ხევსურთა დაბრუნებას.** „ბევრია ასეთი, მე არასდროს არ მიფიქრია, რომ ყოველივე ეს, ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება დაივიწყონ... მაგრამ განა ამას აქვს მნიშვნელობა? თუ მე ჩავბერე მათ ჩემი სული – ხაზგასმით ამბობდა სოლიკო, მეც ვარსებობ იქ, სხვასავით მიხარია და მტკივა, მაწუხებს და მახარებს... ესაა სულის უკვდავება და სხვა არაფერი. ესაა შენი დარჩენა დედამიწაზე"...

სოლიკო ხაზეიშვილმა პატიმრობაში ყოფნის დროს იმდენი მოახერხა, რომ რუსთავის კოლონიაში ტაძრის მშენებლობა დაიწყო. მართალია, მალე ის, როგორც სრულიად უდანაშაულო, ვადაზე ადრე გაათავისუფლეს ციხიდან და ტაძრის მშენებლობა მერე დამთავრდა, მაგრამ მისი სულის საცხონებლად ახლაც ანთია ტაძარში კანდელი...

ვადამდე განთავისუფლება ვახსენეთ: **1995 წლის 26 სექტემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მაშინდელმა თავმჯდომარემ მინდია უგრეხელიძემ გამოსცა რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს დადგენილება: „გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1987 წლის 9 თებერვლის განაჩენი და ყოფილი სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს 1990 წლის 21 აგვისტოს განჩინება სოლიკო ევტიხის ძე ხაზეიშვილის მიმართ და საქმე წარმოებით შეწყდეს დანაშაულის შემთხვევის არ არსებობის გამო".**

ღმერთო, რას არ მოესწრება კაცი: 15 წელიწადი ჰქონდა მისჯილი აბსოლუტურად უდანაშაულო პიროვნებას, რომელიც იმ თაობაში, ხელისუფლებასა თუ საძმო-სამეგობროში თავისი ცოდნით, ვაჟკაცობით, მამულიშვილობით, პიროვნული ხიბლით, გამოირჩეოდა.

**„არავინ იფიქროს, თითქოს სკამისთვის ბრძოლას შეეწირა ხაზეიშვილი. ესეც სიცრუეა. განსხვავებით ზოგიერთისგან, მე ჩემი ყოველი „სკამი" უმძიმეს ტვირთად მიმაჩნდა და ვოცნებობდი მხოლოდ ერთზე, მეზიდა იგი ღირსეულად. აქ საქმე სხვა რამეში იყო და ამ ოთხი წლის განმავლობაში ეს საიდუმლო აქ, საპყრობილეში ავხსენი, ავხსენი ფაქტებით. ესეც სხვა თემაა, საინტერესო და შემაძრწუნებელი... მე მოვალედ ვთვლი ჩემს თავს მთელი ჩემი სიცოცხლე შევწირო სამართლიანობის აღდგენის საქმეს, რადგანაც ეს სჭირდება საზოგადოებას"...**

სოლიკო ხაზეიშვილმა სიმართლე დაამტკიცა! ამის თაობაზე უკვე გითხარით... თანაც ციხეში ისეთი ლექსები და ჩანაწერები – როგორც ვახუშტი კოტეტიშვილი აფასებდა, **ბრძნული და ტკივილიანი** ჩანაწერები შექმნა, სულით ხორცამდე გაგაჟრჟოლებს კაცს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს ლექსები და ჩანაწერები სრულიად ახალი სიტყვაა ქართულ მწერლობაში (სხვათა შორის, სოლიკოს წიგნი „ციხის რვეული" 30 000-იანი ტირაჟით დაიბეჭდა და კარგა ხანია ბესტსელერად იქცა). აი, რამდენიმე ნიმუში:

**მე უცდომელად გატარებულ
ცხოვრების რა ვთქვი,
სიცოცხლეს ძვირფასს სალაღობოდ
ვერ გავიმეტებ,
სული ზეიმობს, როცა ოფლის
გადაგდის ხვითქი,
და როცა გიჭირს სხვათა იმედად...**

* * *

**უსუსურია ჭეშმარიტება!..
მიწაც კი იძვრის სიჭარბით წყალთა,
სიმძიმით თოვლთა ინგრევა მთები, –
სიცრუეს ჩვენი მზრუნველი კალთა
ფარავს – და მისი ალერსით ვთვრებით...**

* * *

**მე ყოველ დილას ვიწყებ ვედრებით:
არ გააღვიძო დღე გარდასული...
ამაოდ, – თურმე როცა ბერდები,
წინ მოუძღვება დილას წარსული.**

* * *

**როს მივიცვლები წყნარად,
ერთი პატივი დამდე:
გალაკტიონი, ანა,
სერვანტესი და დანტე,
მე გამატანე თანა,
ნუ გეშინია, მანდე!..**

ვერ მიიცვალა წყნარად ამ ლამაზი სტრიქონების ავტორი. 1995 წლის 20 ივნისს, საკუთარი ბინიდან გამოსული საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის საერთაშორისო ფონდის პრეზიდენტი სოლიკო ხაზეიშვილი ის-ის იყო სამსახურებრივ მანქანაში უნდა ჩამჯდარიყო, რომ რამდენიმე ნიღბიანმა, დაქირავებულმა მკვლელმა ზურგიდან მიპარვით, დამიზნებით ესროლა... მძღოლმა, კაკო დალაქიშვილმა ყვირილი ატეხა, რას სჩადიხართ, ვის კლავთო და... ისიც თავის მეგობართან ერთად წამში გამოასალმეს სიცოცხლეს!..

შეკვეთილი მკვლელობის მიზეზების განსჯა სხვა დროისთვის გადავდოთ.

* * *

**„როცა სათქმელს ვერ ასწრებ, სიკვდილი კიდევ უფრო ძნელია, მარტო სიცოცხლესთან განშორება არაა",** – წერდა ციხეში სოლიკო ხაზეიშვილი. ჩვენდა სამწუხაროდ, მან ბევრის თქმა ვერ მოასწრო, რადგანაც ეს მრავალჭირგადანახადი, სულით უტეხი კაცი მაშინ მხოლოდ 60 წლისა იყო.

**6 მარტს 75-ისა გახდებოდა.
ღმერთმა ნათელში ამყოფოს...**

**სპარტაკ ქოზულია.**

გლობუსი

# ისტორიული ცალმხრივობა — არაობიექტურობის საბაბი

**ორი თვეც და მსოფლიოს საზოგადოებრიობა აღნიშნავს ფაშიზმზე გამარჯვების 65-ე წლისთავს. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით განსაკუთრებული მზადებაა მეზობელ რუსეთში.** მისი ტელეარხების ინფორმაციით მოსალოდნელია გრანდიოზული სამხედრო აღლუმი, რომელშიც ომისდროინდელი მოკავშირეების სამხედროებიც მიიღებენ მონაწილეობას. განსაკუთრებული აქტიურობაა მასმედიაში, სადაც თავს გვახსენებენ არა მარტო ომის ვეტერანები, არამედ სამხედრო ექსპერტები, მეცნიერი-მკვლევარები, პოლიტიკოსები. უხვადაა ომის ამსახველი დოკუმენტური კადრები. ერთი სიტყვით, დიდი მზადებაა გახურებული, რაც არ არის გასაკვირი, განსაკუთრებით რუსეთისგან, ვინაიდან სწორედ ის არის ყველაზე მეტად დაინტერესებული ამ თარიღის გრანდიოზულად აღნიშვნაში, სწორედ მას სურს მსოფლიოს კიდევ ერთხელ დაანახოს საკუთარი სამხედრო ძლიერება, სტაბილური სახელმწიფოს სახე. საბჭოთა კავშირის მემკვიდრე ცდილობს სამყაროს შეუქმნას უძლეველი სუპერ სახელმწიფოს შთაბეჭდილება.

**მეორე მსოფლიო ომს, დიდი სამეულის მოლაპარაკებას, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მსოფლიოს შემდგომი ისტორიისათვის. 1943-45 წლებში გამართულმა სამმა კონფერენციამ — 1943 წლის 28 ნოემბერ-1 დეკემბერს თეირანის, 1945 წლის 4-11 თებერვლის, იალტის და 1945 წლის 17 ივლის-2 აგვისტოს პოცდამისამ ევროპისა და მსოფლიოს ახალი საზღვრები ჩამოაყალიბა, განსაზღვრა სამეულის გავლენის სფეროები, შეიქმნა ახალი მსოფლიო ორგანო გაერო და სხვა.** მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლოს შეიცვალა ევროპის საზღვრები. გაჩნდა ახალი დამოუკიდებელი ქვეყნები, მაგრამ დიდი სამეულის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მნიშვნელოვანი ნაწილი ურყევი დარჩა, თუმცა შეიცვალა მათდამი განწყობა და დამოკიდებულება. რუსული ტელეარხებისთვის თვალის შევლებაც საკმარისია იმ სულისკვეთების დასადგენად, რასაც იქ აქვს ადგილი — ომში გამარჯვება მხოლოდ საბჭოთა ხალხის დამსახურებაა, ხელმძღვანელობა არაფერ შუაშია. **დასავლეთის მიერ დაპურებულ-თავზეხელგადასმული რუსი ლიბერალები გამუდმებით ამტკიცებენ თუ როგორ ივაჟკაცა ხალხმა და რომ არა უსუსური მხედართმთავრობა, გაცილებით ნაკლები დანაკარგი იქნებოდა. წამდაუწუმ ასახელებენ ხრუშჩოვის მიერ მოტანილ, ომში დაღუპულთა ციფრს — 23 მილიონი. ტელეეკრანებზე იშვიათად თუ გამოაჩენენ პირს, ვინც სიმართლეს იტყვის, თუნდაც ისეთს, ამას წინათ ტელეკომპანია RTVI-ს ეთერში რომ განაცხადა — არსებული საარქივო მონაცემებით ომში დაღუპულთა რაოდენობა 7 მილიონს არ აღემატებოდაო, მაგრამ ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს, მით უმეტეს, როდესაც ქორების გუნდი მიზანმიმართულად საწინააღმდეგოს ამტკიცებს.**

მასმედიაში სტალინის თემა არახალია. არახალია თანამედროვე პირობებში იმჟამინდელი მსოფლიო ვითარების გაუთვალისწინებლად, ობიექტური შესწავლა-შეფასების გარეშე, ისტორიული წარსულის შეფასებაც, მაგრამ რა გაეწყობა, როდესაც სახეზეა პოლიტიკური შეკვეთა — სრულიად შესაძლებელია ხანგრძლივ ომში უმეთაურო გამარჯვებაც, 23 მილიონი ადამიანის დაღუპვაც, და სხვა. განსაკუთრებული განსჯის, ცხადია ნეგატიურის, საგანია ხალხთა გადასახლების თემა. დასავლურ პროპაგანდას აყოლილი რუსი ლიბერალები გულმოდგინედ ჭრიან იმ ბერმუხას, რომელსაც სახელმწიფოებრიობა ეფუძნება. მხოლოდ სტალინის სახის გამოაშკარავება თუ მოუტანს თანამედროვე რუსეთს შვებასო, გაიძახიან ისინი. სტალინიზმს მკაცრად გმობს უმაღლესი სახელისუფლებო ტანდემიც, მეტწილად დასავლელთა თვალში ნდობის მოსაპოვებლად. მაინც რა შორს არის რუსეთი ჩინეთისგან. ერთპარტიულმა, კომუნისტურმა ჩინეთმა, მაო ძედუნის ლანძღვაზე დროს ფუჭად კარგვის ნაცვლად, პრაგმატულად შეაფასა ვითარება, ეკონომიკურ-სოციალური რეფორმებიც ჩაატარა, კონტროლირებული კაპიტალიზმიც დანერგა და საერთოდ ეროვნული პროდუქტის წარმოებით მსოფლიოში მეორე ადგილიც დაიკავა. რომაელი ფილოსოფოსის ლუციი სენეკას არ იყოს — ძნელია რაიმე გააწყო, როდესაც კაცმა არ იცის რომელი ნაპირისკენ აიღოს გეზი. ასეთისათვის არც ერთი ქარი არ იქნება ზურგის. რუსულ მედიაში ატეხილი სჯა-ბაასი ზუსტად ემთხვევა გებელსის კრედოს — რაც მეტია ტყუილი, დაჯერების მეტი შანსია. მაგრამ შეძლებენ სტალინის ამოძირკვას? დიდად საეჭვოა.

სტალინის გარდაცვალებიდან თითქმის 60 წელი გავიდა — ამოძირკვის, მოთხრის, გაშავების მცდელობის 60 წელი, თუმცა უშედეგოდ. მსოფლიოში გამოცემული წიგნები, გადაღებული ფილმები აშკარად მიანიშნებენ საწინააღმდეგოზე. მეორე მსოფლიო ომი და მასში გამარჯვება შესისხლხორცებულია სტალინის, რუზველტის, ჩერჩილის სახელებთან. ძნელი წარმოსადგენია მათი არარსებობის შემთხვევაში ხალხს მიეღწია წარმატებისათვის, ხალხს წარემართა კონფერენციები.

ზოგიერთი ისტორიკოსის და პოლიტიკოსის მიხედვით სტალინის ერთ-ერთ დანაშაულად მიიჩნევა ჩეჩნების, ინგუშების, ყირიმელი თათრების, „თურქი-მესხების“ გადასახლება. ამასთან დაკავშირებით ბევრი დაიწერა და ითქვა, ცხადია მთავარი დამნაშავის გაკიცხვით, იმჟამინდელი საერთაშორისო თუ შიდა ვითარების ანალიზის გარეშე. **ნაკლებად ისმის იმათი ხმა, ვინც სვამს კითხვას — რამ მიიყვანა საბჭოთა ხელმძღვანელობა, სტალინი ამ მკაცრ გადაწყვეტილებამდე? მით უმეტეს ის ლიდერი, რომელიც 1943 წლის თეირანის კონფერენციაზე დაბეჯითებით ეწინააღმდეგებოდა ამერიკა-ინგლისის ხელისუფალთა მოსაზრებას გერმანიის არათუ დაქუცმაცებასთან, არამედ გერმანელთა გადასახლებასთან დაკავშირებით. რუზველტ-ჩერჩილის აზრით განსაკუთრებით უნდა შეჭროდა ფრთები პრუსიას — გერმანიის რეიხის ყველაზე აგრესიულ ნაწილს. აღნიშნულის წინააღმდეგ სტალინმა გამოთქვა ავტორიტეტული მოსაზრება — „ბრძოლის ველზე პრუსიელები ისე, როგორც ბავარიელები, საქსონიელები, სხვები ერთნაირი გააფთრებით იბრძოდნენ. გერმანიის პრობლემების მოწესრიგებას არ უნდა ვეძებდეთ გერმანიის სახელმწიფოს განადგურებაში, ისე, როგორც რუსეთის, არამედ მის დემილიტარიზაციასა და დემოკრატიაში, ფაშიზმის ლიკვიდაციაში“. გერმანელთა აფრიკაში გადასახლების თემას ეხებოდა ბურჟუაზიული პრესის სახელგანთქმული კაპიტნის, ამერიკელი ჟურნალისტის უოლტერ ლიპმანის განცხადებაც: „ვაშინგტონში მოარული აზრები, გერმანელთა შორეულ ქვეყნებში, ვთქვათ აფრიკაში გადასახლების თაობაზე, არარეალურია. გერმანელები უნდა დარჩნენ გერმანიაში და მასთან ისე, როგორც იტალიასთან, რაღაც პრინციპებზე უნდა ჩამოყალიბდეს ურთიერთობა“.** აღნიშნულიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ დაიბადოს კითხვა — რით იყო გამოწვეული მოსისხლე მტრის, გერმანიის მიმართ სტალინის ლმობიერება ან ერთი წლის შემდეგ ხალხთა გადასახლების გადაწყვეტილების მიღება? თუ ღრმად ჩავხედავთ იმ პერიოდის ისტორიას, თვალში გვეცემა მესამე რეიხის ჭარბი აქტიურობა ახლო აღმოსავლეთის მუსლიმანთა მიმართ და არანაკლები აქტიურობა მათი მხრიდან ფაშიზმთან ჩახუტებისათვის.



ისლამისადმი მესამე რეიხის ინტერესი გასული საუკუნის 30-წლების დასაწყისიდან ღვივდება. მაშინ ახლო აღმოსავლეთის მუსლიმანურმა ორგანიზაციებმა ღიად მოუწოდეს მოსახლეობას ინგლისის, კომუნისტების და ებრაელების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. ნაცისტთა განსაკუთრებული ყურადღება ირანისადმი იყო მიპყრობილი, ანუ ერან-ვეჯისადმი (არიელთა ქვეყანაძ. შაჰ რეზა ფეჰლევის დროს, 1934 წელს მოხდა ისტორიული სახელის — სპარსეთის ირანზე შეცვლა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის თეირანში გერმანიის დიპლომატიურ მისიას. იმავდროულად გერმანიამ ირანელები აღიარა „წმინდასისხლიან არიელებად“ და გერმანელებს ირანელებზე ქორწინების ნება დართო. შიიზმი გამოცხადდა „ჭეშმარიტ არიულ“ რელიგიად, ხოლო არაბული სუნიზმი — სემიტურად. მესამე რეიხის პროპაგანდისტულმა მანქანამ შიიტებში გაავრცელა ხმა, რომ ჰიტლერი წელზე მწვანე ნიშნით დაიბადა, ანუ მუსლიმანი წმინდანისთვის დამახასიათებლით. აქედან გამომდინარე ითქვა ისიც, რომ ჰიტლერი არის მეთორმეტე იმამი, მაჰდი, სწორედ ის, ვისაც საუკუნეობით ელოდნენ შიიტები. გერმანული პროპაგანდის მტკიცებით, ჰიტლერმა მიიღო ისლამი და სახელიც გადაირქვა ჰეიდარზე. მაგრამ როგორც ჩანს, ამან ვერ იმოქმედა შაჰზე. ის მაინც დარჩა ნეიტრალიტეტის მტკიცე მიმდევარი და არ ჩაება ომში ჰიტლერის მხარეზე. შაჰის სიჯიუტე საბოლოოდ ტახტის დაკარგვით დასრულდა. მესამე რეიხის მეცადინეობით ირანის ტერიტორიაზე ამოქმედდა გერმანიის მომხრე მუსლიმანთა სამხედრო საწვრთნელი ბაზები. ჩამოყალიბდა კავშირები მათსა და ჩრდილო კავკასიაში მებრძოლ გერმანიის არმიას შორის. **გეგმის მიხედვით ამ არმიის ამიერკავკასიაში შემოჭრასთან ერთად უნდა განხორციელებულიყო იერიში სამხრეთიდან. აღსანიშნავია ისიც, რომ რეიხმა შეიცვალა დამოკიდებულება არაბებთან. ჰიტლერმა განაცხადა, რომ ახლო აღმოსავლეთში არაბთა განმანთავისუფლებელი მოძრაობა არის გერმანიის ბუნებრივი მოკავშირე ინგლისელთა წინააღმდეგ ომში. არაბები გამოცხადდნენ გერმანელთა მონათესავე ხალხად. იერუსალიმის მუფტი ჰაჯი მუჰამედ ამინ ალ-ჰუსეინი პირადად მიიღო ჰიტლერმა, რის შემდეგაც აქტიურად ჩაება გერმანელთა ოკუპირებულ ტერიტორიაზე ფართო პროპაგანდასა და ანტისაბჭოთა სამხედრო ბრიგადების ჩამოყალიბებაში.** გერმანელთა დავალებით მოლები ჰიტლერის მხარეს იბირებდნენ საბჭოთა კავშირის მუსლიმანურ მოსახლეობას. 1942 წელს ყაბარდო-ბალყარეთში გავრცელდა მოწოდება ყველა მუსლიმანის მიმართ: „ყოვლისშემძლე ალაჰმა დიდი გერმანელი ხალხის ფიურერის ჰიტლერის სახით გამოგვიგზავნა მხსნელი, რომელმაც გადაარჩინა თავისუფლების მოყვარული ყაბარდო-ბალყარელი ხალხი მონობის ბორკილებისგან. შევევედროთ ყოვლისშემძლე ალაჰს წუთისოფლის უწმინდურთაგან განთავისუფლებისთვის, ბოლშევიზმის საბოლოო დამარცხების, ჩვენი ფიურერის ადოლფ ჰიტლერისათვის“.

**ჩრდილოკავკასიის რესპუბლიკების ლეგიონერებისათვის, გერმანელთა ხელშეწყობით, გამოიცემოდა გაზეთი „გაზავათი“ ლოზუნგით — „ალაჰი ჩვენს ზემოთ არის. ჰიტლერი ჩვენთანაა“. ოკუპირებულ ყირიმში გამოდიოდა გაზეთი „აზათ ყირიმი“ (თავისუფალი ყირიმი) სტავროპოლის მუსლიმანური კომიტეტის ბეჭდვითი ორგანო. ეს გაზეთი 1942 წლის 10 მარტის ნომერში წერდა: „მუსლიმანთა კომიტეტის კრებაზე, მუსლიმანებმა გამოხატეს მადლობა ადოლფ ჰიტლერ ეფენდის მიმართ, მუსლიმანი ხალხის თავისუფლების მინიჭებისათვის, რის შემდეგ ილოცეს ადოლფ ჰიტლერ ეფენდის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის“. მოგვიანებით გაზეთი წერდა, რომ სოფელ კოკზის 2000 მცხოვრებმა გერმანელი ჯარისკაცებისთვის ილოცა. „თათარი ხალხი ყოველწუთიერად ევედრება ალაჰს მთელს მსოფლიოზე გერმანელთა გამარჯვებისთვის. ყოვლისშემძლე ღმერთო, გულითადად გევედრებით თათრები და სიტყვას გაძლევთ, რომ ვიბრძოლებთ ებრაელთა და ბოლშევიკთა ნახირის წინააღმდეგ გერმანელ ჯარისკაცებთან ერთად. აღმოსავლეთიელის თავის განმანთავისუფლებელს არა მატყუარა და აფერისტი დემოკრატებისგან, არამედ ნაციონალ-სოციალისტური პარტიისგან, ჩვენი მხსნელი ჰიტლერისგან. ჩვენ ფიცი დავდეთ შევეწიროთ ამ სამართლიან და ბრწყინვალე ამოცანას“. ჰიტლერისადმი ჩრდილო კავკასიელ მუსლიმანთა დამოკიდებულება გამორჩეული და მეტად გამაღიზიანებელი იყო მოსკოვისთვის, თუნდაც ის ფაქტი რად ღირს — ჩეჩნების მიერ ჰიტლერისადმი საჩუქრად გამზადებული თეთრი ცხენი, ძვირფასი ქვებით მოჭედილი უნაგირით.**

**ზემოთ მოყვანილი მცირე მაგალითებიდან გამომდინარე სტალინს ჰქონდა საბაბი გამოეხატა თავისი აღშფოთება და გადაედგა ის ნაბიჯი, რაც გადადგა, მით უმეტეს მაშინ, როდესაც დიდ ცოდვად არ განიხილებოდა მოღალატეთა გადასახლება.**

მიზანი ამ სტატიისა სულაც არ არის სტალინის სხვაგვარად წარმოჩენა, რამეთუ მას მსოფლიო ისტორია ისედაც მიუჩენს შესაფერის ადგილს. მიზანი არის ჩადენილთან ერთად გამომწვევი მიზეზების გახსენებაც.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი

ინფორმაცია

## ითხოვენ მომხდარი აფეთქების გამოძიებას

**საქართველოს პროფკავშირები ტყიბულის მაღაროში მომხდარი აფეთქების საგამოძიებო ჯგუფში ჩართვას ითხოვს. როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე პროფკავშირების თავმჯდომარემ ირაკლი პეტრიაშვილმა განაცხადა, ბოლო დროს უბედური შემთხვევების გაზრდამ ნათლად აჩვენა, რომ აუცილებელია უსაფრთხოების კუთხით საკანონმდებლო ნორმების შემუშავება. შეგახსენებთ, რომ სამშაბათს, გვიან ღამით ტყიბულის მაღაროში ძლიერი აფეთქება მოხდა. ინციდენტის შედეგად ოთხი ადამიანი დაიღუპა და ერთი მძიმედ დაშავდა. გარდაცვლილების ხსოვნის საპატივსაცემოდ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ბრძანებით გუშინდელი დღე საქართველოში გლოვის დღე გამოცხადდა. გარდაცვლილების დაკრძალვის და დაზარალებულის მკურნალობის ხარჯებს მთლიანად სახელმწიფო დაფარავს.**

## სიახლეები სამოქალაქო რეესტრში

**მოქალაქეები ყალბი მონაცემების გასწორებისთვის საფასურს აღარ გადაიხდიან. პირადობის მოწმობაში, პასპორტში და სხვა დოკუმენტებში ყალბი საიდენტიფიკაციო მონაცემებით გაცემული დოკუმენტების შესწორებისთვის დადგენილი 150-ლარიანი საფასური გაუქმდა. აღნიშნულ სიახლესთან დაკავშირებით, იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი ვაშაძემ პრესკონფერენცია გამართა.**

**როგორც ვაშაძემ განაცხადა, აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება არის სახელმწიფოს მხრიდან მოქალაქეებისთვის გაწვდილი ხელი, იმისთვის, რომ უფრო მეტი მოტივაცია ჰქონდეს ადამიანს საკუთარი ყალბი მონაცემების დროულად გასწორებისთვის. მისი თქმით, ამნისტიით ამ დროისთვის ათასამდე ადამიანმა ისარგებლა.**

**შეგახსენებთ, რომ იმ პირებისთვის, რომლებიც გააყალბეს მათი პირადი მონაცემები, ამნისტია გასული წლის ივლისში გამოცხადდა.**

**— ამნისტია ეხება მოქალაქეებს, რომლებიც 2010 წლის 1 ივნისამდე იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში ნებაყოფლობით გამოცხადდებიან, დოკუმენტის გაყალბების შესახებ თავად განაცხადებენ და მათი საიდენტიფიკაციო მონაცემები გასწორდება. ამ შემთხვევაში მოქალაქეები სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდებიან, — განაცხადა გიორგი ვაშაძემ.**

**ვაშაძემ სხვა სიახლეზეც ისაუბრა - სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში დაინერგა ფოტოსაძიებო სისტემა, რის საფუძველზეც ნებისმიერი ადამიანის ფოტოსურათით იდენტიფიცირება ხდება. აღნიშნული სისტემის საფუძველზე ამა თუ იმ საიდენტიფიკაციო დოკუმენტის გაყალბების ფაქტების პრაქტიკულად სრულად გამოვლენა მოხდება.**

ხო-ეიბ-ენი

ალმოჩენა



# ახალი სიტყვა მეცნიერებაში

**_სმეა-ს აკადემიური საბჭოს სხდომაზე აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძეს მორიგ ჯერზე მოუწია სასიამოვნო მისიის შესრულება — ფრიად პრესტიჟული ჯილდოს გადაცემა. ადრესატი გახლდათ ჩვენი გამოჩენილი მეტალურგი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი გურამ ქაშაკაშვილი. ჯილდოზე — ცოტა ქვემოთ._**

**_„ინფორმაცია განსჯისთვის“: ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი წევრი, რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის (რსმა) ნამდვილი წევრი, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის (უმა) წევრი, ორგზის საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, რსმა-ს პრემიის ლაურეატი, უმა-ს პრემიის ლაურეატი და პლატონის ოქროს მედლის კავალერი — ასეთია ბატონი გურამის წარჩინების ნიშნების არასრული ნუსხა._**

დღევანდელ ჯილდოს რაც შეეხება, ეს არის მეცნიერულ აღმოჩენათა და გამოგონებათა ავტორების საერთაშორისო აკადემიისა და მეცნიერულ აღმოჩენათა ავტორების საერთაშორისო ასოციაციის (მოსკოვში შტაბბინით) მიერ გაცემული საალმოჩენო დიპლომი № 390. თვით აღმოჩენის სახელდება შემდეგია: **„ბუნებრივი აირითა და ჰაერის ნარევით თხევადი ფოლადის გაქრევისას ლითონის გახურების ტემპერატურისგან დამოკიდებულებით ნახშირბადის შემცველობის ცვლილებათა კანონზომიერება“**. დიპლომში ვკითხულობთ: **„აღმოჩენის ავტორი გურამ ქაშაკაშვილი. ექსპერიმენტულად დადგენილია ადრე უცნობი კანონზომიერება, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ გამდნარ ფოლადში ტემპერატურის გადიდებისას (ცელსიუსის 1500-1590 გრადუსამდე) ნახშირბადის შემცველობა იზრდება და უცვლელი რჩება, შემდგომი გახურებით კი (ცელსიუსის 1560-1600 გრადუსამდე და ზემოთაც) ნახშირბადის შემცველობა ნადნობში ექსცენსიურად მცირდება“.**

შემდეგ მოდის აღმოჩენის პრიორიტეტის ფიქსირება: **„რსმა-ს წესდების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობით დადგენილი დებულებების საფუძველზე გაცემულია დიპლომი № 390 2010 წლის 6 თებერვალს აღმოჩენისთვის (განმეორებულია აღმოჩენის დასახელება) გურამ ქაშაკაშვილის სახელზე“**. აღმოჩენის ავტორს დიპლომთან ერთად გადაეცა ნობელის პრემიის ლაურეატის კაპიცას სახელობის მედალი.

**— ჩვენს აღმოჩენას დიდი პერსპექტივა აქვს. ის უახლოეს მომავალში საფუძველს დაუდებს ფოლადის გამოდნობის, გამოშვების, განჟანგვის, რაფინირებით ხარისხის გაზრდის, ენერგოდამზოგი, ეკოლოგიურად ჯანსაღი სრულიად ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, — გვითხრა სახელგანსმენილმა მეტალურგმკვლევარმა.**

**რსმა-ს იმავე წესდების თანახმად, საალმოჩენო დიპლომი ეკუთვნის სამეცნიერო ორგანიზაციასაც, სადაც კვლევები ჩატარდა. დაჯილდოვების ეს სასიამოვნო მისია შეასრულა სმეა-ს პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ, რომელმაც საქართველოსათვის რიგით მეექვსე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის კი პირველი სამეცნიერო აღმოჩენის დიპლომი გადასცა უნივერსიტეტის რექტორს, სმეა-ს წევრს არჩილ ფრანგიშვილს.**

**თამაზ ეზანოიძე**


Российская академия естественных наук
Международная академия авторов научных открытий и изобретений
Международная ассоциация авторов научных открытий

СВИДЕТЕЛЬСТВО
на открытие

«ЗАКОНОМЕРНОСТЬ ИЗМЕНЕНИЯ СОДЕРЖАНИЯ УГЛЕРОДА В ЖИДКОЙ СТАЛИ ОТ ТЕМПЕРАТУРЫ НАГРЕВА ПРИ ЕЕ ПРОДУВКЕ ГАЗОВОЗДУШНОЙ СМЕСЬЮ»

Формула открытия

Экспериментально установлена неизвестная ранее закономерность изменения содержания углерода в жидкой стали от температуры нагрева при ее продувке газовоздушной смесью, заключающаяся в том, что в расплавленной стали с увеличением температуры (до 1500-1530°C) содержание углерода возрастает и остается постоянным, а при дальнейшем нагреве (до 1560-1600°C и выше) содержание углерода в расплаве уменьшается.

Приоритет открытия

27 октября 1977 г. - по дате записи результатов выплавки стали в Паспорте плавки № 1897 Руставского металлургического завода.

На основании установленных в соответствии с действующим законодательством правовых положений Устава Международная академия авторов научных открытий и изобретений выдала настоящий диплом на открытие *«Закономерность изменения содержания углерода в жидкой стали от температуры нагрева при ее продувке газовоздушной смесью»*

КАШАКАШВИЛИ ГУРАМУ БЕНЕДИКТОВИЧУ

Президент Российской академии естественных наук — О.Л. Кузнецов

Президент Международной академии авторов научных открытий и изобретений — В.В. Потоцкий

« 9 » февраля 2010 г.

г. Москва. Регистрационный № 490



თაობა

# საკუთარი თავის ძიება სამშობლოსგან მოშორებით

**_რუსთაველი რუსუდან წერეთლისა და მისი თაობის ბავშვობა, სამწუხაროდ, გასული საუკუნის ბოლო ოცწლეულში, პოლიტიკურად ქაოტურ, სოციალურად გაჭირვებულ, კულტურულ-ზნეობრივად ფასეულობებდაკარგულ საქართველოს ისტორიას დაემთხვა. მიტინგებისა და აქციების ქვეყანაში ყველაზე მეტად განათლების სისტემა მოიშალა. შეირყა მოსწავლეთა რწმენა, პასუხისმგებლობა. რუსუდან წერეთელი კი, რომელიც თავისი სერიოზულობითა და მიზანსწრაფულობით მუდამ სრულასაკოვან პიროვნებას უფრო ჰგავდა, ვიდრე ჩვეულებრივ ბავშვს, წარმატებით სწავლობდა სკოლაში, თავისუფალ დროს ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებში ატარებდა, მონდომებით ეუფლებოდა ინგლისურს, საქალაქო ღონისძიებებზე თეატრში კითხულობდა შანდორ პეტეფის ლექსებს და შექსპირის პიესების ფრაგმენტებს ადამიანის ყოფნა-არყოფნის ფილოსოფიის შესახებ._**

ოჯახში სვეტლანა მიქელაშვილი, რუსული ენისა და ლიტერატურის ენციკლოპედიური განათლების პედაგოგი, ერთდროულად დედაც იყო და მასწავლებელიც რუსუდანისათვის, ხოლო ბებია მედეა დარჩიაშვილი — მისი სულიერების მოძღვარი.

პროფესიული ორიენტაცია წერეთელთა გამოჩენილი და ცნობილი გვარისათვის დამახასიათებელი მოზღვავებული ნიჭიერებით და შემოქმედებითი აზროვნებით რუსუდანმა სკოლაშივე გამოამჟღავნა. მან, ჯერ კიდევ IX-X-კლასიდან დაიწყო ფრიად საინტერესო ნაწერების გამოქვეყნება საქალაქო გაზეთში ისეთი თემებით, როგორიც არის მოსახლეობისა და ცალკეული მოქალაქეების პრობლემების კვლევა-ანალიზი, კრიტიკა სამსახურების ხელმძღვანელებისა დემოკრატიისათვის ბრძოლის იმ ფონზე მთელს საქართველოში რომ მიმდინარეობდა.

1997 წელს მან წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი და რუსთავში პირველმა დააარსა დამოუკიდებელი, დემოკრატიული პათოსის გაზეთი „რუსთავი-ინფო“, რომელიც მოსახლეობის პრობლემებს იძიებდა. პარალელურად დაიწყო ჟურნალისტური ძიება ცნობილი ქართველი მეცენატის დავით ციციშვილის დაკარგული ძვირადღირებული ფერწერული ტილოების კოლექციისა და კიდეც შეძლო რამოდენიმეს აღმოჩენა. ამ ძიების შემდეგ რუსთავში დააარსა დავით ციციშვილის სახელობის სამხატვრო გალერეა და შექმნა ჟურნალისტური სკოლა მოსწავლეებისათვის, სადაც X-XI-კლასელები დღესაც ეუფლებიან თანამედროვე დასავლური ჟურნალისტური კვლევის პრინციპებს. ასეთი სკოლა პირველი პრეცედენტი იყო საქართველოში.



2002 წელს რუსუდან წერეთელი მაგისტრის ხარისხს იღებს კავკასიის ჟურნალისტური მედიამენეჯმენტის სკოლიდან. 2005-2006 წლებში სწავლობდა ჰარვარდის უნივერსიტეტში, როგორც ნეიმენის სახელობის სტიპენდიატი. იგი, კავკასიის რეგიონიდან ამ სტიპენდიის პირველი მფლობელი იყო ჰარვარდის უნივერსიტეტში. არაერთხელ მონაწილეობდა სხვადასხვა საერთაშორისო ჟურნალისტურ პროექტებსა და კონკურსებში. 2006 წელს მიიღო სტიპენდია აშშ-ის მსოფლიო პრესის ინსტიტუტიდან. არის მთარგმნელი და გამომცემელი ჟურნალისტური წიგნისა „სამაგიდო ჟურნალისტიკა“, რომლის თარგმანსა და გამოცემაზე საავტორო უფლება მოიპოვა მსოფლიო პრესის კომიტეტისაგან. დღეს ეს წიგნი მნიშვნელოვანი სახელმძღვანელოა ქართველი ჟურნალისტებისა და სტუდენტებისათვის. ახალგაზრდა მეცნიერი პროფესორის სტატუსით ლექციებს კითხულობდა საქართველოს უნივერსიტეტში კრიზისული კომუნიკაციის მართვისა და საჯარო გამოსვლის სტრატეგიის შესახებ.

ამჟამად რუსუდან წერეთელი ამერიკაში იმყოფება, სადაც მუშაობს ახალ ჟურნალისტურ პროექტზე, კერძოდ, რეპორტაჟების გადაცემის ფერწერულ საშუალებებზე, რაც თანამედროვე ჟურნალისტიკაში სრულიად ახალი სიტყვა იქნება და ერთდროულად პასუხიც მსოფლიო საზოგადოების დღევანდელ მოთხოვნაზე, მიიღოს მხოლოდ ზუსტი და უტყუარი ინფორმაცია მედიასაშუალებებიდან.

XXI საუკუნეს ინფორმაციის მიღება-გავრცელების ტრადიციული მეთოდების ნაცვლად, ახალი ტექნოლოგიები ესაჭიროება, ასე მიაჩნია მკვლევარს და მის მეცნიერულ შემოქმედებით ჯგუფს ამერიკაში. საქმედ ქცეული პროექტი რევოლუციური ფაქტი იქნება ჟურნალისტიკის ისტორიაში.

და ისევ რუსთავი... ამ ახალგაზრდა, მართალი ადამიანებით დასახლებულ მშვენიერ ქალაქში რუსუდან წერეთლისნაირი პიროვნებები თავისთავდ ხდებიან ცნობილნი არა ზოგადად, არამედ კონკრეტული საქმეებით. რუსთაველებს ბევრ რამესთან ერთად დღესაც ახსოვთ მის მიერ მომზადებული კრიტიკული ტელეშოუ „ტელესკოპი“, რომელიც პოლიტიკური და სოციალური უსამართლობით შეჭირვებულთა, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ნორმებიდან გადახვევას, უფლებაშელახულ მოქალაქეთა პრობლემებს ეხებოდა და ხმამაღლა ეუბნებოდა სათქმელს ქვეყნის ხელისუფალთ და რომელშიც, მთავარ სათქმელს თვით რუსთაველები ამბობდნენ. ეს პირუთვნელი გადაცემა ქვემო ქართლის ტელევიზიაში იყო ის, რაც დროს უსწრებდა და თავისუფლების ნიშნით იყო აღბეჭდილი მედიასაშუალებათა იმ მასშტაბურ სივრცეში, მთელს საქართველოში რომ არსებობდა.

ისე რომ, რუსუდან წერეთლის ბავშვობა და ახალგაზრდობა თუმც ჯერ კიდევ ბოლომდე დაუმშვიდებელი საქართველოს ისტორიას დაემთხვა, მან ცხოვრების მიზანი მაინც მოძებნა საკუთარი შესაძლებლობების განჩხრეკით მთელ მსოფლიოსა და თავის ბედკრულ სამშობლოში სიტყვის თავისუფლებისათვის. ახალგაზრდა ასაკს ზღვარგადაცილებული, კვლავ ფიქრიანი და ტკივილიანი, სწორედ კვლევის ამ გზით მიდის დღესაც.

მას აქვს მშვენიერი ოჯახი. ჰყავს მეუღლე და ვაჟიშვილი, ვისთვისაც ნამდვილად უნდა ბედნიერი, მშვიდი, ახალი და ჭეშმარიტად თავისუფალი საქართველო.

საკუთარი თავის სამშობლოდან მოშორებით ძიება, ხშირად რისკითაც კი, ალბათ ღირს.

**ლია მარტაშვილი**

ინფორმაცია

# აქცია უკანონო პატიმრების მხარდასაჭერად

**მეტროსადგურ „ახმეტელის თეატრთან“ უკანონო პატიმრების მხარდამჭერი მორიგი აქცია გაიმართა.**

**აქციის ორგანიზატორები „კონსერვატიული პარტია“ „ხალხის პარტია“ და „მოძრაობა სამართლიანი საქართველო“ იყვნენ.**

**პარტიების ლიდერების განცხადებით, აქციებს პერმანენტული ხასიათი ექნება და გაგრძელდება მანამ, სანამ ერთი უკანონო პატიმარი მაინც იჯდება ციხეში.**

**— ჩვენი მიზანია არამარტო პოლიტპატიმრების, არამედ ყველა უკანონო პატიმრის გათავისუფლება, — განაცხადა ზვიად ძიძიგურმა.**

**კახა კუკავას თქმით კი, აქციები ყოველკვირეული იქნება და ის ხუთშაბათობით, თბილისის სხვადასხვა უბანში ჩატარდება. აქციაზე ოპოზიციურმა ლიდერებმა ნინო ბურჯანაძის რუსეთში წასვლასთან დაკავშირებითაც გააკეთეს განცხადება. მათ ერთხმად დაუჭირეს მხარი ბურჯანაძის ამ გადაწყვეტილებას.**

**— ეს ბურჯანაძის მხრიდან გაბედული ნაბიჯია. მივესალმებით, ვინც ეროვნულ ინტერესებს ემსახურება. ნინო ბურჯანაძის ეს ნაბიჯი წაადგება ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების დარეგულირებას, — განაცხადა კობა დავითაშვილმა.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველო რუსეთის წინააღმდეგ: გრძნობათა გაღიზიანება



**საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მსოფლიო ელოდებოდა, რომ დადგებოდა მშვიდობისა და განიარაღების ახალი ეპოქა. მაგრამ რა მოხდა სინამდვილეში? იმის ნაცვლად, რომ შემცირებულიყო ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს ყოფნა მთელს ევროპაში, სპარსეთის ყურეში, ავღანეთსა და ცენტრალურ აზიაში – იგი კიდევ უფრო გაფართოვდა, და მსოფლიო განიცდიდა ომებს ერთი მეორის მიყოლებით – კავკასიაში, იუგოსლავიაში, ერაყსა და ავღანეთში. თითოეული მათგანი წინანდელზე უარესი იყო. და ამ სიმკაცრეს ბოლო არ უჩანდა**

თუმცა, მთელი გასული ათასი წლის განმავლობაში სამხრეთი კავკასია რჩებოდა მიყრუებულ ადგილად, დღეს იგი გადაიქცა ბრძოლის მნიშვნელოვან ველად, „სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სტრატეგიულ გზაჯვარედინად XXI საუკუნის გეოპოლიტიკაში“, როგორც ანალიტიკოსი რიკ როზოფი წერს, ენერგორესურსების ტრანზიტის ამბიციური პროექტების ცენტრად და სამხედრო დერეფნად, რომელიც დასავლეთ ევროპიდან აღმოსავლეთ აზიისკენ მიდის და რომელსაც უკვე აკონტროლებენ ვაშინგტონი და ბრიუსელი.

რასაკვირველია, მსოფლიოს ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან რეგიონში პირველ ამოცანად – როგორც რუსეთისთვის, ისე დასავლეთისთვის – უნდა დაისახოს მშვიდობა, თუმცა თითოეულ ამ მხარეს აქვს ამაზე თავისი საკუთარი მიზნები. რუსეთისთვის მშვიდობა ამ რეგიონში მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ კულტურულ-ეკონომიკური კავშირები კავკასიასთან მეტად მნიშვნელოვანია თავად რუსეთის კეთილდღეობისთვის. ამერიკის შეერთებულ შტატებს მშვიდობამ სამხრეთ კავკასიაში შეიძლება მოუტანოს ეკონომიკური უპირატესობანი, ვინაიდან საყოველთაო მშვიდობა ხელსაყრელია ეკონომიკური კეთილდღეობისთვის და მან უნდა აკურთხოს ნებისმიერი სამშვიდობო პროცესი.

მაგრამ ამ ლოგიკამ ვერ გაამართლა – განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა წააქეზა საქართველო თავის კატასტროფულ ომზე რუსეთის წინააღმდეგ 2008 წელს, ნაკლებად ცხადია ამერიკის შეერთებული შტატების ფარული ჩარევა ჩეჩნეთისა და მისი მეზობლების საქმეში, აგრეთვე სომხეთ-აზერბაიჯანის დაპირისპირების შემთხვევაში მთიან ყარაბახთან დაკავშირებით.

უკანასკნელ ხანებში ამ სიის სათავეში აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი იმყოფებიან, რომელთა გამოც საქართველოს პრეზიდენტი-წამქეზებელი მიხეილ სააკაშვილი იმუქრება და წარმოთქვამს აღფრთოვანებულ სიტყვებს, ისწრაფვის ნატოსკენ, ხელგაშლილი ეგებება ამერიკის შეერთებული შტატების მრავალრიცხოვან სამხედრო წარგზავნილებს მაშინ, როდესაც მუშტებით ემუქრება თავის წყეულ ჩრდილოელ მტერს, თან იძლევა პირობას, რომ საქართველო დაიბრუნებს დაკარგულ ტერიტორიებს, რომლებიც დღეს სრულუფლებიანი დამოუკიდებელი რესპუბლიკები არიან. ეს კონფლიქტი ერთმანეთს უპირისპირებს იმ ქვეყნებს, რომლებიც არ არიან ნატოს მეგობრები და მიუხედავად იმისა, რომ ნატო მკაფიოდ კრძალავს ნებისმიერი ქვეყნის წევრობას სადავო საზღვრიანი ტერიტორიებით, იგი კვლავ აგრძელებს დაპირებას, რომ საქართველო მალე გახდება მისი სრულუფლებიანი წევრი, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი პროექტი მხოლოდ ერთს ნიშნავს – ომს რუსეთთან.

სააკაშვილის წახალისება რუსეთთან ომზე ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან იყო, რბილად რომ ვთქვათ, დამცირება თავად ამერიკის შეერთებული შტატებისთვის და ეს უნდა გამხდარიყო გაფრთხილება იმის შესახებ, რომ საჭიროა ზრდილობიანად ჩამოშორდე და შეწყვიტო საქართველოს განუჭვრეტელი პრეზიდენტის სახიფათო მმფარველობა. მიუხედავად იმის ალბათობისა, რომ სააკაშვილის ზედმეტად პროდასავლური პოლიტიკა შეიცვლება მომავალი ხელისუფლების დროს, სწორედ ამ მოტივით ამერიკის შეერთებული შტატების ფლოტი საქართველოსთან ერთად აწყობს ერთობლივ სამხედრო სწავლებას შავ ზღვაზე, პენტაგონი ემზადება აგრეთვე ააშენოს საქართველოში სამი სამხედრო ბაზა და 2015 წლისთვის გაგზავნოს იქ 25 ათასამდე სამხედრო მოსამსახურე. როგორც ჩანს, დამცირება გახდა აგრეთვე „შესაძლებლობათა სარკმელი“, იმის შანსი, რომ გადაიდგას ნაბიჯები, რომელთა გაუქმებაც ძალიან გაუჭირდება ნებისმიერ მომავალ მთავრობას.

საქართველო გემრიელი ლუკმაა სხვა მიზეზების გამოც. მარტო გასულ კვირას ავღანეთსა და პაკისტანში ამერიკის შეერთებული შტატების სპეციალური ელჩი რიჩარდ ხონბრუკი ჩავიდა საქართველოში, რათა გაემართა მოლაპარაკება შეიარაღების ტრანზიტის შესახებ ავღანეთში საქართველოს გავლით. სააკაშვილმა შესთავაზა მას საქართველოს შავი ზღვის ნავსადგურები ბათუმი და ფოთი, როგორც დოკები სამხედრო-სატრანსპორტო გემებისთვის, აგრეთვე ქვეყნის აეროპორტები, როგორც სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავების საწვავით აღჭურვის წერტილები. „მარშრუტი ავღანეთში ისედაც ფართოდ გამოიყენება, ვინაიდან ტვირთების თითქმის 80 პროცენტი, რომლებიც არ მიდიან პაკისტანის გავლით, მიდიან საქართველოს გავლით, და მხოლოდ 20 პროცენტი – რუსეთის გავლით“, – ტრაბახოს ალექსანდრე რონდელი, საქართველოს სტრატეგიული და საერთაშორისო გამოკვლევების ფონდის პრეზიდენტი.

სააკაშვილი აწარმოებს პროპაგანდისტულ კამპანიას, რომლის მიზანიცაა რეგიონის დესტაბილიზაცია რუსეთის პირდაპირი და ირიბი პროვოკაციებით და ტერორისტების წახალისებით ვაშინგტონისა და ბრიუსელის მდუმარე მხარდაჭერით. მან აამოქმედა რუსულენოვანი ტელეარხი „პირველი კავკასიური“, რომელიც ტრანსლირებას აწარმოებს სამხრეთ ოსეთზე და რომელიც ძალიან გვაგონებს 1985 წელს კუბელებისთვის რეიგანის მიერ შექმნილ ტელეარხს „ტევე მარტი“. მან აგრეთვე მიმართა აფხაზებსა და ოსებს დაამხონ თავიანთი მოქმედი მთავრობები და შეუერთდნენ საქართველოს.

სტრატეგიული კულტურის ფონდის ანალიტიკოსის ნიკოლაი დიმლევიჩის სიტყვებით, იდეა მიზნად ისახავს არასტაბილურობის გაღვივებას მთელს კავკასიაში, რათა შემდეგ კონფლიქტის ყველა ზონის დასაცავად მოუხმონ გაეროს, ევროსაბჭოს ან ნატოს, ვინაიდან დამტკიცდება, რომ მოსკოვს არ შეუძლია უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოება. ამ სცენარით ამერიკის შეერთებული შტატები და ნატო „ღებულობენ მოგებას“ რეგიონში ომისგან, ვინაიდან იგი იძლევა საშუალებას დაასუსტოს რუსეთი და გააძლიეროს რეგიონზე კონტროლი. საშინელი იდეაა, მაგრამ, სამწუხაროდ, სრულიად „რაციონალური“.

წაგებულმა ომმა რუსეთის წინააღმდეგ ასევე სარისკო მდგომარეობაში ჩააყენა სააკაშვილი საკუთარ თბილისში, სადაც ფართოვდება ოპოზიცია თავისი განუჭვრეტელი პოლიტიკური გამბიტებით. იმ დროს, როდესაც სააკაშვილი ფახაფუხობს, ქართული ოპოზიციის საკვანძო ფიგურები მიფრინავენ მოსკოვში, რათა დაშორდნენ თავისი პრეზიდენტის გეგმებს. „ჩვენ მზად ვართ მივიღოთ ისინი, ვინც მოდის არა ბრძოლისა და სიცრუისთვის, არამედ ვითარების შეცვლისთვის“, – განაცხადა ამას წინათ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა, როდესაც ჟენევაში ჟურნალისტების წინაშე გამოდიოდა. კარასინმა მოიყვანა საქართველოს პარლამენტის ყოფილი სპიკერისა და დემოკრატიული მოძრაობა „ერთიანი საქართველოს“ ამჟამინდელი ლიდერის ნინო ბურჯანაძის ციტატა: „როდესაც მიხეილ სააკაშვილმა 2008 წელს მიიღო გადაწყვეტილება ომის შესახებ, მომყავს ციტატა: მას სურდა გაერთულებინა მოსკოვთან ურთიერთობა და რუსეთი დაეჩოქებინა, მაგრამ სააკაშვილმა წააგო ომი და ქვეყანა ტრაგიკულ მდგომარეობაში ჩააყენა. ჩვენ გვინდა ღია და კეთილი ურთიერთობანი საქართველოსთან“.

საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი დეკემბერში მიიღო რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა და ეს იყო რუსეთის ლიდერის პირველი ოფიციალური შეხვედრა ქართული ოპოზიციის ლიდერთან. ნოღაიდელი აშკარად გამოდის თანამშრომლობისთვის თავის მოძრაობასა და პარტია „ერთიან რუსეთს“ შორის და აქვს მჭიდრო კავშირ-ურთიერთობანი რუსეთში ქართველთა კავშირთან. ნოღაიდელი აგრეთვე არაერთგზის აცხადებდა, რომ საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ პრიორიტეტებში რადიკალური ცვლილებების გარეშე, „ქვეყნის დამცირება გაგრძელდება“, და აცხადებს, რომ „არსებობს საქართველოს შემდგომი დანაწევრების საფრთხე“, თუ თბილისი გააგრძელებს თავის ამჟამინდელ კურსს.

„სააკაშვილმა იცის, რომ მისი მმართველობა საფრთხის ქვეშაა და ამიტომ მზად არის ჩაითრიოს ქვეყანა ახალ ომში. მას ურჩევნია იყოს საქართველოდან რუსეთის მიერ განდევნილი პრეზიდენტი, ვიდრე იყოს განდევნილი საკუთარი ხალხის მიერ“, – თქვა ბურჯანაძემ, როდესაც აკრიტიკებდა ტელეარხს, რომელიც ეწევა ტრანსლაციას ოსეთზე და რომლის პროგრამებშიც არის თოქ-შოუ, რომელიც მიჰყავს ჩეჩენი მეამბოხეების დაღუპული ლიდერის ჯოხარ დუდაევის ქვრივს. მინისტრთა კაბინეტის ყოფილი წევრი და ოპოზიციის ერთ-ერთი მოქმედი ლიდერი გიორგი ხაინდრავა ამბობს, რომ თუ ტელეარხი გააშუქებს მეამბოხეების საქმიანობას რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიაში, პუტინს ეს შეუძლია გამოაცხადოს ტერიტორიულ საფრთხედ და გამოიყენოს ძალა, რათა შეწყვიტოს მისი მაუწყებლობა. ეს ახირებულებაა, ეს შეიძლება მოხდეს“.

ამ განცხადებას მხარს უჭერს ქართველი პოლიტიკოსების მთელ სპექტრი. კონსერვატიული პარტიის ლიდერი კახა კუკავა ამბობს: „დღეს რუსეთს არ აქვს არავითარი სტრატეგიული გეგმა საქართველოსთან დაკავშირებით. სააკაშვილს აინტერესებს მოახდინოს რუსეთის პროვოცირება და მიიპყროს საერთაშორისო ყურადღება, რათა მიიღოს მხარდაჭერა“. „ზოგიერთს, პრეზიდენტ სააკაშვილის ახლობელ ადამიანს შეუძლია ამას დაეთანხმოს, მაგრამ ამის თქმა მათ არ შეუძლიათ აშკარად, ვინაიდან მისი ეშინიათ“, – ამტკიცებს ნოღაიდელი.

შეიძლება სააკაშვილის მხრიდან დაშინება – ეს უბრალოდ ტრაბახი იყოს. მაგრამ სამხედრო სწავლებანი, რასაც აპირებს ამერიკის შეერთებული შტატები – ეს რეალობაა. როგორც ის, რომ სამხრეთი კავკასია გადაიქცა ევროპასა და რუსეთში ნარკოტიკების სატრანზიტო მარშრუტად. ნარკოტიკების ბრუნვაზე კონტროლის ფედერალური სამსახურის ხელმძღვანელმა ვიქტორ ივანოვმა გასულ კვირას განაცხადა, რომ „ბათუმისა და ფოთის ნავსადგურები გახდნენ ძირითადი ნარკოტრაფიკში, საქართველოს ქალაქი ქობულეთი ავღანური ჰეროინის ტრაფიკის ერთ-ერთი საკვანძო პუნქტი გახდა.

სააკაშვილი, ეტყობა, ერთადერთია, ვისაც სწამს საქართველოსთან ორი გამოყოფილი რეგიონის სწრაფი მიერთებისა. რაც უნდა მოხდეს, აფხაზეთი უკვე მტკიცედ არის დაკავშირებული რუსეთთან, რაც დამტკიცდა გასულ თვეს პრეზიდენტ სერგეი ბაღაფშის ვიზიტის დროს მოსკოვში აფხაზეთის რუსეთის იმპერიასთან შეერთების 200 წლისთავის დღესასწაულზე. მართალია 2004 წლის არჩევნებში ბაღაფში არ იყო მოსკოვის ფავორიტი, მან ნება დართო დააწესოს ერთობლივი შეიარაღებული ძალები მომავალი 49 წლის განმავლობაში და მოახდინოს გუდაუთაში რუსეთის ბაზის მოდერნიზაცია, სადაც დღეს განლაგებულია 1700 რუსი მოსამსახურე. მან აგრეთვე შესთავაზე, რომ აფხაზეთი მიუერთონ რუსეთის, ბელორუსისა და ყაზახეთის საბაჟო კავშირს, მიუხედავად იმისა, რომ არც მინსკს, არც ასტანას არ უღიარებიათ აფხაზეთის სუვერენიტეტი. ანალიტიკოსი სერგეი მარკედონოვი ამაში გარკვეულ ირონიას ხედავს, ვინაიდან ნახევარმა დუჟინმა ევროპულმა ქვეყანამაც რომ აღიაროს აფხაზეთი, „ბაღაფშს მაინც ევროპასთან ინტეგრაცია ურჩევნია“. მოსკოვის კარნეგი-ცენტრის ანალიტიკოსს ალექსეი მალაშენკოს ეჭვი ეპარება, რომ თურქეთმა დაიწყოს მოქმედებანი. „თურქეთი მზად არის დაამყაროს განსაკუთრებული ურთიერთობა აფხაზეთთან“.

თავგვის დამარცხება 2008 წელს ასევე მნიშვნელოვანი სტიმული გახდა უკრაინელებისთვის, უარი ეთქვათ თავის „ნარინჯისფერ“ რევოლუციონერებზე. უკრაინის ახლადარჩეული პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო მხოლოდ თავისი ხალხის ნებას გამოხატავს, როდესაც უარს ამბობს ნებისმიერ ნაბიჯზე ნატოსკენ და არბილებს ანტირუსულ რიტორიკას. როდესაც სააკაშვილი, ბოლოს და ბოლოს, წავა, ასეთსავე ნაბიჯს, ალბათ, გადადგამენ საქართველოშიც, როდესაც მომავალი პრეზიდენტი შეეცდება რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას, აგრეთვე ამავე დროს, როგორც პენტაგონს აქვს იმედი, ხელი არ ახლოს იქ იმ დროისთვის არსებულ სამხედრო ბაზებს.


# შეტყობინება

**სააქციო საზოგადოების მორიგი საერთო კრების მოწვევისა და საერთო კრების სააღრიცხვო თარიღის დადგენის შესახებ**

სს „იბერია უძრავი ქონება”-ს სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორი იწვევენ აქციონერებს საზოგადოების მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2010 წლის 25 მარტს 11:00 საათზე ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ.№49ა-ში მდებარე სააქციო საზოგადოების ოფისში.

სამეთვალყურეო საბჭო ადგენს საერთო კრების სააღრიცხვო დღეს, რომელიც იქნება 2009 წლის 18 მარტს, რომლის სამუშაო დროის დასრულების მდგომარეობით განისაზღვრება კრებაში მონაწილეობის უფლებამოსილ აქციონერთა სია.

**დღის წესრიგი**

1. საზოგადოების წესდებაში ცვლილების შეტანა

დღის წესრიგის საკითხების გამო დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სსის დირექტორთან. დღის წესრიგის თითოეულ საკითხთან დაკავშირებით აქციონერებს შეუძლიათ განმარტებების მოთხოვნა დირექტორისგან როგორც ზეპირად, ასევე წერილობით. თუ ამგვარი წერილობითი მოთხოვნა წარდგენილი იქნა დირექტორთან 2009 წლის 15 მარტამდე, მასზე იქნება გაცემული პასუხი ან საკითხი შევა დღის წესრიგის დამატებით პუნქტად.

საზოგადოების დირექტორთა საბჭო და სამეთვალყურეო საბჭო რეკომენდაციას იძლევა, რომ
1. მხარი დაუჭირონ საზოგადოების წესდებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანას, რათა სამეთვალყურეო საბჭოს წევრს, მათ შორის თავმჯდომარეს, უფლება ჰქონდეს იმავდროულად იყოს საზოგადოების დირექტორი.

საზოგადოების დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭო თვლის, რომ ზემოთ აღნიშნული ცვლილებები საშუალებას მისცემს საზოგადოებას ახალი და პერსპექტიული გეგმების განსავითარებლად.

პატივისცემით,

**რამაზ მოსაშვილი,**
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე;
**ლევან ჩაჩხიანი,**
დირექტორი

**დიდი ტერორი?**

ალექსანდრ ელისეევი

# 1937 წლის გამოცანის ამოხსნა

## „საუკუნის დანაშაული“ თუ ქვეყნის გადარჩენა?

ერთი სიტყვით, როგორც ზემოთ აღინიშნა, ბუხარინის პროგრამა სავსებით მისაღები იქნებოდა რუსეთისთვის, ის რომ სადღაც მთვარეზე ყოფილიყო და არ ყოფილიყო ჩვენი მისამართით აგრესიის საფრთხე. 20-იანი წლების ბოლოს პარტია რომ ბუხარინს გაჰყოლოდა, რომელიღაც ყოჩაღი აგრესორი სულ უბრალოდ გაგვთელავდა. ის ხომ ცდას არ დაიწყებდა.

სტალინი ამ საკითხს, ბუხარინისგან განსხვავებით, უდგებოდა, როგორც პატრიოტი და პრაგმატიკოსი. მან გაიგო, რომ საჭიროა სასწრაფოდ შეიქმნას საწარმოო კოოპერატივები (კოლმეურნეობებიძ და მოხდეს ინდუსტრიის ფორსირებული განვითარება. სხვა საქმეა, რომ ქვეყნის წინაშე დასახულ სწორ მიზნებს ის აღწევდა მეტად მკაცრი საშუალებებით. თუმცა, ყურადღებას კვლავ მივაპყრობ იმას, რომ პასუხისმგებლობა ამისთვის ეკისრება არა მხოლოდ სტალინს.

გორკის, როგორც ეს უკვე გასაგებია, ბუხარინზე ძალიან დიდი წარმოდგენა ჰქონდა. მათ ძალიან თბილი ურთიერთობა ჰქონდათ, რომელიც ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ 1922 წელს — მაშინ ბუხარინი გერმანიაში მკურნალობდა. სწორედ ბუხარინი შეხვდა გორკის, როდესაც ის საზღვარგარეთიდან დაბრუნდა. გორკი ყოველ ხელსაყრელ მომენტში პროტექციას უწევდა „ბუხარჩიკს“. „მემარჯვენე გადახრის“ ლიდერების დამარცხების შემდეგ გორკი ცდილობდა დაერწმუნებინა სტალინი, დაებრუნებინა იგი ძველ პოსტებზე. ამისთვის მან საკმაოდ ეშმაკური ტაქტიკა აირჩია, როდესაც თავის ბინაზე თითქოსდა შემთხვევით, აწყობდა სტალინისა და „მემარჯვენეების“ შეხვედრას. ასე უნდოდა მას გენერალური მდივნის მოლბობა.

გორკი დაჟინებით ითხოვდა, რომ ბუხარინს წარმოედგინა სსრ კავშირი 1932 წელს საერთაშორისო ანტიფაშისტურ კონგრესზე. ორი წლით გვიან გორკი ეხვეწებოდა პოლიტბიუროს — დაავალოს ბუხარინს, რომ იგი მიესალმოს მწერალთა ყრილობას პარტიის სახელით.

საერთოდ გორკი ძალიან დიდი აზრისა იყო ოპოზიციის ლიდერებზე. „იზვესტიის“ ყოფილ რედაქტორს ი.მ.გრონსკის თავის მოგონებებში მოჰყავს „ქარიშხალას“ ასეთი სიტყვები: „...მიმაჩნია,რომ კამენევი, ბუხარინი, რიკოვი და ოპოზიციის სხვა წარმომადგენლები უფრო განათლებული ხალხია, თეორიულად უფრო მომზადებული, უფრო განსწავლული, უფრო კულტურულია, აქვს დიდი ცოდნა“. სტალინისადმი კი მისი დამოკიდებულება სკეპტიკური იყო: „...პრაქტიკოსი, ორგანიზატორი, ნებისყოფიანი კაცია, მაგრამ მას არ გააჩნია ისეთი არც ცოდნა, არც თეორიული მომზადება, როგორიც მათ (ოპოზიციის ლიდერებს — ა.ე.ძ აქვთ, არც ისეთი კულტურა, რომელიც მათ აქვთ“. „გორკი... ამბობდა, — იგონებს გრონსკი, — რომ სტალინი, ალბათ, ძალიან ბევრს კითხულობს ლენინს, მაგრამ არა მჯერა, რომ ის კითხულობდეს სხვა რამეს, სწავლობდეს რაიმეს საფუძვლიანად...“

კარგი ურთიერთობა ჰქონდა ხანდაზმულ „ქარიშხალას“ „რკინის სახალხო კომისართან“ იაგოდასთანაც (ისინი დამეგობრდნენ ჯერ კიდევ რევოლუციამდე ნიჟნი ნოვგოროდშიძ. საინტერესოა მათი მიმოწერის წაკითხვა, რომელშიც მთავარი ჩეკისტი ცდილობს ამაღლდეს პოეტური პათოსის მწვერვალებამდე, გორკი კი მას ყოველმხრივ თანაუგრძნობს. მშვენიერების ორ მოტრფიალეს უყვარდა გორკის მოსკოვის ბინაზე კუთხის ოთახში განმარტოება, სადაც საუბრობდნენ ხოლმე. რაზე? ლიტერატურაზე? იქნებ, არა მხოლოდ მასზე?

გორკიმ და იაგოდამ დატოვეს ვრცელი მიმოწერა. იქიდან ირკვევა, რომ ურთიერთობას მათ შორის შეიძლება მეგობრული უწოდო. გორკისა და საბჭოთა ხელისუფლებას შორის ურთიერთობათა მკვლევარი ა.ვაკსბერგი იაგდოას მისადმი გაგზავნილ წერილებს ასე აფასებს: „... ის გულს უხსნიდა ისეთი გამონათქვამებით, რომლებიც მხოლოდ ჭეშმარიტ მეგობარს შეიძლება უთხრა“ („ქარიშხალას დაღუპვა“ძ. „დიდი პროლეტარული მწერლის“ წერილებიც „რკინის სახალხო კომისრისადმი“ ამ აზრზე მიგვითითებს. აი, ნაწყვეტი გორკის ერთ-ერთი ასეთი წერილიდან, რომელსაც აზის თარიღი 1932 წლის 20 ნოემბერი: „მეც დიდი სიამოვნებით ვისაუბრებდი თქვენთან, ჩემო ძვირფასო თანამემამულევ, დავჯდებოდი ერთი ორი საათი კუთხის ოთახში ნიკიტსკის ქუჩაზე. კომპლიმენტის თქმას არ ვაპირებ, რაიმეს კი ვიტყოდი გულითადად: მართალია, თქვენ ზოგჯერ ამოიოხრავთ ხოლმე: „ეჰ, დავიღალეო!“.. სინამდვილეში თქვენ იმათზე ნაკლებად ხართ დაღლილი, ვიდრე ბევრი სხვა, და თქვენი დაუოკებელი ენერგია — გასაოცარია, თქვენ გრანდიოზულ საქმეს აკეთებთ“.

1934 წელს გორკიმ იაგდოას მოუწყო გრანდიოზული, დღევანდელი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, პიარი. მან ორგანიზაცია გაუკეთა მწერლური ჯგროს გასვლას ბელომორ-ბალტიის არხზე. იქ იაგოდას ყოველმხრივ აქებდნენ, ადიდებდნენ ათეულობით ათასი პატიმრის ხელახლა გამოჭედვის გამო. ისტორიული „გასეირნების“ შემდეგ გორკიმ და მისმა თანამშრომლებმა გამოუშვეს ლამაზად გაფორმებული ალბომი, სადაც მთავარი ჩეკისტის ფოტოსურათი უმალვე სტალინის სურათს მოსდევდა. ამით „ზუსტად“ მიუთითებდნენ იმაზე, თუ ვინ უნდა ყოფილიყო სახლში მთავარი. „გასეირნების“ შედეგების შესახებ გამოვიდა წიგნიც, რომელშიც გორკი წერდა: „წიგნის ნაკლოვანებას, ალბათ, მიეწერება ის ფაქტიც, რომ მასში ძალიან ცოტაა საუბარი 37 ჩეკისტისა და ჰენრიხ იაგოდას მუშაობის შესახებ“.

გარკვეული თვალსაზრისით, გორკი და იაგოდა ნათესავებიც იყვნენ. მაქსიმ გორკის აყვანილი შვილი ზინოვი პეშკოვი იყო კიდევ ერთი დიდი „ჰუმანისტის“ — სვერდლოვის ძმა, ვისი ძმისწულიც იაგოდას ცოლი იყო. თუმცა, თავისი გამოჩენილი მეფის მკვლელი ძმის კვალზე იგი არ წასულა, ის კოლჩაკის მთავრობის მრჩეველი გახდა. მოგვიანებით ზინოვი იყო საფრანგეთის უცხოეთის ლეგიონის ოფიცერი და შევიდა მასონურ ლოჟაში. აი, ასეთი საინტერესო კავშირურთიერთობანი იყო...




სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას, იაგოდაც თავის დროზე ცდილობდა ფსონს სამწერლო ორგანიზაციაზე ჩასულიყო. მაგალითად, ის მეტად აქტიურად უჭერდა მხარს რუსეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციას, რომელსაც სათავეში ედგა მისი ნათესავი, თავგამოდებული მემარცხენე, „ლიტერატურული განგსტერი“ ლ.ავერბუხი. საინტერესოა, რომ გორკი ცდილობდა ამ ორგანიზაციის დაცვას, როდესაც სტალინი მას შლიდა. საკმაოდ უცნაურია. სტალინი ხომ მაშინ ამით თითქოსდა ადგილს ასუფთავებდა თავად გორკისთვის და ახალი ორგანიზაციისთვის — მწერალთა კავშირისთვის, რომელიც აშკარად „ქარიშხალასთვის“ იქმნებოდა. ცხადია, გორკის ეშინოდა, რომ კავშირში მას ჩამოაშორებდნენ რეალურ ხელმძღვანელობას და დატოვებდნენ, როგორც დეკორატიულ ფიგურას. პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია კი, რომელსაც პატრონობდა იაგოდას საყვარელი მეგობარი და „თანამემამულე“, ყველაზე საიმედო რეზერვი იყო. ავერბუხთან და მის მემარცხენეებთან უფრო მეტი იმედი გააკავშირებდა, ვიდრე ა.ა.ფადეევის ტიპის სტალინისტ-მესახელმწიფოებთან.

საინტერესო დამთხვევაა, ხომ? ბუხარინიც და იაგოდაც ტრიალებენ სამამულო ინტელიგენციის პატრიარქის, სოციალისტური რეალიზმის მეხოტბის გარშემო. ის კი მათ ყოველმხრივ ეხმარება, თანაც პოლიტიკურად ეხმარება. აი კიდევ ერთი ძაფი, რომელიც საშუალებას იძლევა, რომ ეს ორი მგზნებარე რევოლუციონერი „მიეკეროს“ „მემარჯვენე“ ანტისტალინურ ბლოკს, რომლის საზღვრებიც გადაშლილია შინსახკომიდან მწერალთა კავშირამდე. ცხადია, ბევრ შემოქმედ პიროვნებას, ვის წრეშიც, სხვათა შორის, ძალიან უყვარდა ტრიალი იაგოდას, იგებმებოდა იმ როლის მიღება, რომელსაც ასრულებდნენ მათი კოლეგები „პრაღის გაზაფხულისა“ და გორბაჩოვის ექვსეულის მოვლენებში.

მაგრამ, რასაკვირველია, მთავარ ფსონს სოციალ-დემოკრატები ჩადიოდნენ „მეორე პარტიაზე“, რომელსაც უნდა გაეერთიანებინა ინტელიგენტები. არსებითად მისი საფუძველი უკვე შექმნილი იყო. აქ მხედველობაშია ისტორიკოსებისთვის ნაკლებად ცნობილი, მაგრამ სავსებით ლეგალური მეცნიერებისა და ტექნიკის მუშაკთა სოციალისტური მშენებლობის ხელშემწყობი სრულიად საკავშირო ასოციაცია. ამ სავსებით ინტელიგენტურ ორგანიზაციას მფარველობდა გორკი. ის გახდებოდა კიდეც „მემარჯვენეებისთვის“ ასე სასურველი მეორე პარტია. განზრახული იყო მის სათავეში ჩაეყენებინათ თავად „ქარიშხალა“ და აკადემიკოსი ნ.ი.პავლოვი. განზრახული იყო აგრეთვე ხელმძღვანელობაში შეეყვანათ ცნობილი მეცნიერი და ფილოსოფოსი ვ.ი.ვერნადსკი, რომელიც ოდესღაც კადეტების პარტიის ყოფილი ცენტრალური კომიტეტის წევრი იყო.

ვერნადსკის საიდუმლო დღიურები, რომლებიც გამოქვეყნდა მხოლოდ გარდაქმნის პერიოდში, მოწმობენ იმის შესახებ, რომ ის სტალინის აშკარა მოწინააღმდეგე იყო და იცოდა იაგოდას ოპოზიციური საქმიანობის შესახებ. დღიურებში ნახსენებია რაღაც „ხელისუფლების ხელში ჩაგდების შემთხვევითი წარუმატებლობა მთავარი პოლიტიკური სამმართველოს ხალხის — იაგოდას მიერ“. კვლავ დამთხვევაა! რა საინტერესოა...

საბედნიეროდ, სტალინი, რომელსაც კარგად ესმოდა სოციალ-დემოკრატიის დამღუპველობა, არ დაეთანხმა მეორე პარტიის შექმნის გეგმებს.

1936 წელს „მემარჯვენე“ დაჯგუფება არსებითად დასუსტდა. ივნისში გორკი გარდაიცვალა, აგვისტოში თავი მოიკლა ტომსკიმ. სექტემბერში კი პარტიულ- სახელმწიფო ხელმძღვანელობა შინსახკომის პოსტიდან ხსნის ძლევამოსილ იაგოდას. თუმცა, მას უკავია კავშირგაბმულობის სახალხო კომისრის პოსტი (სახალხო კომისარიატი თავდაცვის სახალხო კომისარიატთან იყო გათანაბრებულიძ. მაგრამ წინა სახალხო კომისარი იყო იაგოდას თანამოაზრე — რიკოვი, რომელიც უსაქმოდ დარჩა. ამიერიდან მემარჯვენეები ყველაზე სუსტ დაჯგუფებად გადაიქცა.ყველა ფრაქციიდან, ვინც სტალინთან წააგო, ის პირველი დაიწვა „დიდი ტერორის“ გამცამტვერებელ ცეცხლში.

## თავი 6
## მილიტარისტები პარტიის წინააღმდეგ

### უბადრუკი მხედართმთავარი

30-იან წლებში სკპ (ბძ-ში იყო კიდევ ერთი მეტად სპეციფიკური დაჯგუფება, რომელსაც „მემარცხენე მილიტარისტები“ შეიძლება ვუწოდოთ. მასში შედიოდა თავდაცვის სახალხო კომისრის მარშალ მ.ნ.ტუხაჩევსკის უახლოესი გარემოცვა. ჩამოვთვალოთ მისი ძირითადი მონაწილეები: მოსკოვის სამხედრო ოლქის სარდალი ა.ი.კორკი, კიევის სამხედრო ოლქის სარდალი ი.გ.იაკირი, ბელორუსიის სამხედრო ოლქის სარდალი ი.პ.უბორევიჩი, მუშურ-გლეხური წითელი არმიის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი ი.ბ.გამარნიკი, მუშურ-გლეხური წითელი არმიის ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი ბ.მ.ფელდმანი. ყველა მონაწილე რეპრესირებული იყო 1937 წელს ბრალდებით „სამხედრო-ფაშისტურ შეთქმულებაში“ მონაწილეობისთვის. მათ აგრეთვე მიაწერდნენ ჯაშუშობას ნაცისტური გერმანიის სასარგებლოდ. ალბათ, ბრალდების სწორედ ამ ფორმულირებებმა უზრუნველყვეს ის სიიოლე, რომელშიც მოხდა დაზარალებულების რეაბილიტაცია ხრუშჩოვის დროს. თუმცა, იგივე შეიძლება ითქვას ყველა დანარჩენი რეპრესირებული მოღვაწის შესახებაც. ბრალდება ფაშიზმში და ჯაშუშობაში ფაშისტური ქვეყნების სასარგებლოდ მართლაც აბსურდულად გამოიყურება — ამ ბრალდებებს ხომ უყენებდნენ მტკიცე კომუნისტებსა და ინტერნაციონალისტებს.

მაგრამ საქმეს შევხედოთ ცოტა სხვა მხრიდან. წარმოვიდგინოთ, რომ შეთქმულებებს სტალინის წინააღმდეგ მართლაც შეიძლებოდა ჰქონოდა ადგილი. ზემოთ ამის სასარგებლოდ უკვე მომყავდა რაღაც ფაქტები, მოვიყვან მათ შემდეგაც. მაგრამ მოდით ახლა უბრალოდ დაშვება გავაკეთოთ. დავუშვათ, შეთქმულება იყო. დავუშვათ აგრეთვე, რომ სტალინს სჭირდებოდა წარმოეჩინა შეთქმულები სწორედ დასავლეთის ქვეყნების აგენტებად. მაშინ ოფიციალურად პოტენციურ მოწინააღმდეგედ ითვლებოდა ფაშისტური გერმანია. დასავლეთის დემოკრატიის ისეთ ქვეყნებთან, როგორებიც იყვნენ ინგლისი და საფრანგეთი, სსრ კავშირი ცდილობდა დაედო სამხედრო კავშირი, ამერიკის შეერთებულ შტატებთან კი ცუდი ურთიერთობა არ ჰქონია. ცხადია, ეს ქვეყნები ოპოზიციის პატრონებად და სპონსორებად ვერ გამოდგებოდნენ. ფაშიზმი კი საკმაოდ დემონიზირებული იყო, ამიტომ მასში ბრალდება სავსებით „ეწერებოდა“ დიპლომატიური თვალსაზრისით. მაშინაც კი, თუ ოპოზიციონერები მუშაობდნენ, მოდით ასე ვთქვათ, აბისინიაზე. სტალინისთვის მაინც უფრო ხელსაყრელი იყო მათი ფაშისტებში ჩაწერა. ასეთია იდეოკრატიის დანახარჯები.

ამიტომ არ უნდა მივაქციოთ ყურადღება იმ წლების იარლიყებს. თუმცა მათ უკან დგას რაღაც რეალობა. სტალინისდროინდელი ბრალდებანი საერთოდ იყო ერთგვარი ამალგამა, ესე იგი სიმართლისა და მონაგონის შენაერთი. და საკითხი შეეხება იმას, რომ ერთი განვასხვავოთ მეორისგან.

მაშ, იყო შეთქმულება? ნუ ვიჩქარებთ. ჯერ ვისაუბროთ ტუხაჩევსკისა და მის მეგობრებზე, როგორც ჯგუფზე, რომელსაც ჰქონდა თავისი პოლიტიკური პლატფორმა. ის, რომ თავად ჯგუფი არსებობდა, არავის ეჭვს არ იწვევს. თუმცა, ანტისტალინელ ისტორიკოსებს უყვართ საუბარი სამხედრო პროფესიონალების რაღაც გაერთიანებაზე, რომლებიც უპირისპირდებოდნენ „კავალერისტებს- — ვოროშილოვსა და ს.მ.ბუდიონის. პირველები თითქოს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მომხრეები იყვნენ, მეორენი „ცხენებს“ არჩევდნენ. სტალინმა უგუნურად მხარი დაუჭირა „კავალერისტებს“ და მოახდინა „მოტორისტების“ რეპრესია, რამაც საშინელ დამარცხებამდე მიგვიყვანა ომის პირველ დღეებში.

ეს სქემა ძალიან ძველია და სრულიად არასწორი, ის წარმოიშვა ხრუშჩოვური იდეოლოგების „ბრძენ“ თავებში, რომლებსაც ძალიან უნდოდათ კომუნისტური სისტემის ყველა ნაკლოვანება მიეწერათ სწორედ „უკულმართი“ სტალინისთვის, თუმცა უფრო სწორი იქნებოდა საპირისპიროდ მოქცეულიყვნენ. ასე წარმოიშვა მითი დიდ მხედართმთავარ ტუხაჩევსკიზე.

დღეს, სამაგიეროდ, საკმაოდ ბევრი სერიოზული, არგუმენტირებული ნაშრომია გამოქვეყნებული, რომლებიც ამ მითს ანადგურებენ. ყველაზე მკაცრად ტუხაჩევსკისა და მის „ბრწყინვალე გუნდს“ თავის წიგნში „განწმენდა“ გადაუარა ვ.სუვოროვმა (რეზუნმაძ. მარტო მარშლის მის მიერ აღმოჩენილი ფრაზა პირველი მსოფლიო ომის ასეული კილომეტრის სიგრძის ფრონტების შესახებ რად ღირს! მაგრამ მას ყველა ფაქტი როდი მოუყვანია, რომლებიც ნათელს ჰფენენ ამ „გენიალური სტრატეგის“ გაუნათლებლობას. პრინციპულად, მარტო მათი ჩამონათვალი დაიკავებს საშუალო ზომის მონოგრაფიის მოცულობას. ამიტომ შემოვიფარგლები იმით, რომ გამოვყოფ მათგან ზოგიერთ, ყველაზე მნიშვნელოვანს.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 14-40.

# დოიაშვილის ანუ დოი-დოის

**ამა წლის 19 თებერვალს ჟურნალმა „ჩვენი მწერლობა“ შემოგვთავაზა „თეიმურაზ დოიაშვილი გალაქტიონზე“.**

**თ. დოიაშვილისგან ღირებულს არაფერს ველოდი, მაგრამ მაინც დავიწყე კითხვა. გალაქტიონის შესახებ ბევრი აბსურდული აზრი წამიკითხავს, არანაკლები მომისმენია, მაგრამ ახლა ამაზე მსჯელობას არ ვაპირებ. ამჯერად მხოლოდ თ. დოიაშვილის, ანუ როგორც მას მოიხსენიებენ, დოის ამ ბოლოდროინდელ „შედევრზე“ მინდა გესაუბროთ და განგაშის ზარიც შემოვკრა!**

გალაქტიონი რომ მაღლიდან გადმოეშვა და ყველას დასანახავად მიწას დაენარცხა, ამის მიზეზი თუ არა, შედეგი ხომ მაინც ნამდვილად ისიც იყო, რაც გაცხადდა: პოეტის მტრობა უმართებულო იყო. გალაქტიონმა გაიმარჯვა!

მას შემდეგ ნახევარი საუკუნე გავიდა. ისევ ხომ არ მტრობენ გალაქტიონს? თუ პოეტური სტრიქონით ვერავინ ეპაექრება, მისი შემოქმედების საკუთარ ქონად გადაქცევა და ყურის ისე მოზმა, როგორც მოეპრიანებათ, განა ნაკლები მტრობაა პოეტისა, ან პატარა დანაშაულია მომავალი თაობების წინაშე? **გალაქტიონი ცოცხალი აღარ არის, რომ თავად შემოკრას ზარი.** მთავარია, საზოგადოება იყოს თავის სიმაღლეზე, თორემ დოიაშვილის მსგავსმა „ჩიჩქნიამ“, რამდენიც უნდა იმდენი წეროს. მიუხედავად აკაკის შეგონებისა, წერას მაინც ვეღარ ისწავლის.

სტატია ასე იწყებოდა: *„გალაქტიონ ტაბიძის ნოვატორული მხატვრული აზროვნება, მისი ურთულესი ტროპები იმთავითვე იქცევდა მკვლევართა ყურადღებას, მაგრამ პოეტის „ნისლით შემოზურვილი“ მეტაფორებისა და სიმბოლოების შეცნობა-შეუცნობლობისა და გაშიფვრის პრობლემა მთელი სიმწვავით მიხეილ კვესელავას „პოეტური ინტეგრალების“ (თბ., 1977) გამოსვლის შემდეგ დაისვა.“*

მ. კვესელავას ნაღვაწით აღფრთოვანება გაგრძელდა: *„თავის ვრცელ გამოკვლევაში, სადაც გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედება განხილულია XX საუკუნის პოეზიის გლობალურ კონტექსტში, მ. კვესელავამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მესამე სახეობას – ინტეგრალურ სახე-მეტაფორებსა და ფრაზებს და ისინი სრულიად ახალ მოვლენად მიიჩნია მხატვრულ აზროვნებაში... ასეთ ამოუცნობ, გაუშიფრავ, იდუმალ ინტეგრალებად მან გალაქტიონის ათეულობით ტროპი გამოაცხადა, მათ შორის – „ოცნება, ნახაზი საგანთა უარით“... ამრიგად, მ. კვესელავას თვალსაზრისით, გალაქტიონის პოეზიაში არის თვისებრივად ახალი – გაუშიფრავი ინტეგრალური სახეები და სტრიქონები, იგივე „პოეტური სფინქსები“, რომელთა წინაშე უძლური აღმოჩნდებოდა თვით მითოლოგიური ოიდიპოსიც, პოეზიის პროფესიონალი მკვლევარი რომ ყოფილიყო.“*

ამ სიტყვების წაკითხვამ, სიმართლე გითხრათ, ამაღელვა, რადგან დიდი ხანია მიხეილ კვესელავა ასე არავის უქია. თუმც, პირველ სისულელეში თ. დოიაშვილი პირველივე გვერდზე უკვე დავიჭირე მისთვის ჩვეულ სამარცხვინო ალოგიზმში: ჯერ ხომ თქვა, მეტაფორებისა და სიმბოლოების გაშიფვრის პრობლემა მ. კვესელავას წიგნის გამოსვლის შემდეგ დაისვაო. მერე იქვე თქვა: წიგნის სიახლე ის იყო, რომ მ. კვესელავამ „მიიჩნია, ... მათი შინაარსის ამოცნობა არ ხერხდება და არც არის საჭირო.“

სიმართლე გითხრათ, კითხვა შევწყვიტე, მაგრამ არა ამ სიბეცის გამო. ჩავფიქრდი, ამ წერილის ავტორი თ. დოიაშვილის შვილიშვილი ხომ არ არის-მეთქი. რატომ ვიფიქრე ასე? ამას დიდი ისტორია უძღვის წინ, რაც თბილისში კარგად ახსოვთ.

მ. კვესელავას წიგნი „პოეტური ინტეგრალები“ 1977 წელს გამოიცა. წიგნის გამოსვლისთანავე, თ. დოიაშვილმა ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე დაიწყო უსამართლო და შეურაცხმყოფელი კამპანია მ. კვესელავას წინააღმდეგ. ამ კამპანიის დაწყებიდან ორიოდე წელიწადში მ. კვესელავა გარდაიცვალა. ამბობდნენ, სიკვდილის მიზეზი ეს დევნა გახდაო.

**ახლა სწორედ იმდროინდელი დოიაშვილისეული მსჯელობა უნდა წარმოგიდგინოთ:** *„მიხეილ კვესელავამ ამ 666-გვერდიან წიგნში არსებითად ვერაფერი გვითხრა ახალი ვერც გალაქტიონის შემოქმედებაზე და ვერც თანამედროვე პოეზიაზე საერთოდ. ხოლო ის წინააღმდეგობანი, შეუსაბამობანი, გულუბრყვილო მსჯელობები და კურიოზები, რომელთა ერთი ნაწილი ამ წერილში განვიხილეთ, უფლებას გვაძლევს განვაცხადოთ, რომ წიგნი „პოეტური ინტეგრალები“ ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რაც ამგვარ ნაშრომს შეიძლება წავუყენოთ“* (ინტეგრალური პოეზიის „საიდუმლოება“, „კრიტიკა“, 1978, №4, გვ. 87).

თ. დოიაშვილი მ. კვესელავას რამდენიმე უზუსტობითა და ლაფსუსით შემოიფარგლა და ვეება შრომა საკუთარი მომცრო სტატიებით ნაცარტუტად უქცია. თან გამოაცხადა: *„ინტეგრალური პოეზიის მაგალითებად მოყვანილი ყველა სტრიქონის გასარჩევად არც ადგილი გვეყოფა და არც ხალისიო“* („კრიტიკა“, №4, 1978, გვ. 76). ხალისი მაინც რატომ არ ეყო? გალაქტიონი ხომ შეუძახებდა: *„სიცოცხლე ნუ გეზარება, გქონდეს მეტი მგზნებარება“.* საინტერესოა, იმისი ხალისი საიდან ეძლეოდა, რომ სხვის ნაშრომში პატარ-პატარა ხეები დაეთვალა და ტყე ვერ დაენახა?

იყო დიდი მითქმა-მოთქმა. უკვირდათ, როგორ აკადრეს ნიურნბერგის პროცესის მონაწილეს, ისტორიული, ფილოსოფიური თუ ლიტერატურული ტომების ავტორს, უცხო ენათა ინსტიტუტის ყოფილ რექტორს, უნივერსიტეტში საზღვარგარეთის ლიტერატურის თვალსაჩინო პროფესორს ესოდენ დამამცირებელი კამპანიაო. იმასაც ამბობდნენ, მ. კვესელავას რომ დაუძინებელი მტერი ჰყავს, თავისი უშუალო კოლეგა, ის აქეზებს „დამწყებ“ კრიტიკოსებსო. ხოლო იმ კოლეგაზე ამბობდნენ, ზევით მფარველობენო და ა. შ. და ა. შ.

დამეთანხმებით, ერთი კაცის მისამართით ამდენი ქებაც და აუგიც ერთი პირის დაწერილი არ უნდა იყოს. ამიტომაც ვიფიქრე, შვილიშვილმა ხომ არ დაწერა ეს ახალი წერილი, რათა პაპის დანაშაული გამოისყიდოს-თქო? მაგრამ ცოცხალი დოიაშვილი ამის უფლებას ხომ არ მისცემდა? ვარლამი და „მონანიება“ გამახსენდა. შევეცადე სასწრაფოდ დამედგინა, თ. დოიაშვილი ცოცხალი იყო, თუ არა.

ასე და ამგვარად, გავარკვიე, რომ დოიაშვილი „ძველი“ უდრის დოიაშვილ „ახალს“. გამოდის, დოის დაავიწყდა წარსული და მ. კვესელავა ახლებურად წაიკითხა! ამას მედიცინაში **რეტროგრადული ამნეზია** ჰქვია. ჩავიკითხე სტატიის კიდევ ერთი გვერდი და იქ ახლა უკვე საკუთარი სახელი და გვარი აღმოვაჩინე: დოი ამჯერად თურმე მე მერჩის, ჩემთან გადაუწყვეტია შებრძოლება...

მაგრამ ფარად მისი დევნის ძველ ობიექტს რატომ იყენებს? იმიტომ, რომ კვლევის პრო-



ცესში მე შევეცადე მეცნიერულად ამეხსნა ის, რაც თავის დროზე მ. კვესელავამ შეუძლებლად მიიჩნია.

თ. დოიაშვილი მხოლოდ მ. კვესელავასა და ი. მერაბიშვილს როდი იწუნებს. ის გაცილებით შორს წავიდა. იხილეთ „გალაქტიონოლოგია III“ (2004, გვ. 52), სადაც შავით თეთრზე აცხადებს: ლექსში „ქებათა ქება ნიკორწმინდას“ *„გალაქტიონს უხეში ესთეტიკური ლაფსუსი მოუვიდაო (!)“.* ეს ძახილის ნიშანიც მისი დასმულია. გვაგებინებს, ნახეთ რა მაგარი ვარ, რომ თავად გალაქტიონსაც ვუწუნებ ესთეტიკასო!

მივყვეთ მოვლენათა თანამიმდევრობას.

თებერვლის დასაწყისში, ზუსტად ორი კვირით ადრე, ვიდრე დოის წერილი გამოქვეყნდებოდა, „ჩვენმა მწერლობამ“ (4. 02. 2010) ჩემთან საუბარი გამოაქვეყნა (საუბარს უძღვებოდა ჟურნალისტი რიტა ბაინდურაშვილი). ჟურნალისტმა წინ წამოსწია გალაქტიონის ჩემეული ინგლისური თარგმანებისა და მონოგრაფიების ღირებულება, მათ შორის „გალაქტიონის ენიგმებისა“ (2003), რომელიც უჩვეულო, ქარაგმული სტრიქონების გახსნას მიეძღვნა. აღინიშნა მეცნიერული კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგია, რამაც გზა გაუხსნა გალაქტიონის აქამდე აუხსნელი სტრიქონების ინტერპრეტაციას, რისთვისაც დავწერე კიდეც ეს წიგნი.

**არის მკითხველი**
**მშვენიერ წიგნის**
**და არის მხოლოდ**
**გადამკითხველი...**
**ის ფურცლავს, ნიშნავს,**
**ადარებს, ჩიჩქნის,**
**მაგრამ ვინაა**
**აქ გამკითხველი?**

**გალაქტიონი**

წერილს რ. ბაინდურაშვილი ასე იწყებდა: „იცით, რას ნიშნავს „ოცნება ნახაზი საგანთა უარით“, ანდა „სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს“?.. მიხეილ კვესელავა წერდა: „მთელი მსოფლიოს მთარგმნელები რომ მიესიონ ამ ორად ორ სტრიქონს, პწკარედსაც ვერ გააკეთებენო“... ინესა მერაბიშვილისთვის ეს დიდ გამოწვევად იქცა.“

აი, თურმე სადაა ძაღლის თავი დამარხული! შურმა და შიშმა ააფორიაქა თ. დოიაშვილი, თორემ „გალაქტიონის ენიგმები“ 2003 წელს გამოვაქვეყნე და იმავე წელს საკუთარი ხელით გადავეცი თ. დოიაშვილს „გალაქტიონოლოგია II“-ის პრეზენტაციაზე. ამ ტომში ჩემი სტატია „ბაირონიდან გალაქტიონამდე“ შევიდა მისივე თხოვნით. მას შემდეგ ხომ შვიდი წელი გავიდა. არც წიგნი გახსენებია და არც სტატია.

დღეს კი თ. დოიაშვილის სტატიის მიზანია, „გააკრიტიკოს“ წიგნი „გალაქტიონის ენიგმები“, მაგრამ თავად ენიგმებზე არ ლაპარაკობს. **თუ თ. დოიაშვილი ჩემს ახსნილ ენიგმას, თუნდაც ერთს, არ ეთანხმება, სამგვერდიან წერილში თავისი აზრი ერთხელ მაინც რატომ არ წარმოადგინა?**

იკითხავთ, ალბათ, მაშ რაღას გერჩითო? წაიკითხეთ მისი უმეცრებითა და უტიფრობით აღსავსე წერილი და ნახავთ, რასაც მედავება. მისი „არგუმენტები“ ოთხ ძირითად პუნქტად ჩამოყალიბდა. ამის მიხედვით გავცემ პასუხს. მართალია, წერილს მკითხველისთვის ვწერ, რათა თ. დოიაშვილმა ვინმე შეცდომაში არ შეიყვანოს ჩემს კვლევასთან მიმართებაში, მაგრამ პირველ ყოვლისა, მოვალეობად მიმაჩნია, ვამხილო თ. დოიაშვილი.

I) კვესელავას აქებ და თან იმას აკეთებ, რაც მას შეუძლებლად მიაჩნდა.

II) რატომ ბედავს ი. მერაბიშვილი „მეცნიერულად ახსნას და შემეცნებადი გახადოს გალაქტიონის დღემდე აუხსნელ-ამოუცნობი ენიგმები და სტრიქონები, ე. ი. გააკეთოს ის, რაც მ. კვესელავას შეუძლებლად მიაჩნდა“.

III) „მაინც რას ნიშნავს ეს განცხადება – გრძნობდა, განიცდიდა და ვერ ამტკიცებდა?!“, – მედავება დოი, როდესაც მე ვმსჯელობ მ. კვესელავას დამოკიდებულებაზე ენიგმების მიმართ.

IV) ი. ლევინთან დაკავშირებული დავა, სადაც თ. დოიაშვილი ძირითადად საკუთარ თავს ედავება.

**I.** დავიწყოთ პირველით. მ. კვესელავას დიდი დამსახურება ის იყო, რომ მან პირველმა, ჯერჯერობით ერთადერთმა, გალაქტიონი მსოფლიო ლიტერატურასთან მიმართებაში განიხილა და ქართველი პოეტის უნიკალურობასთან ერთად მისი მასშტაბურობაც გამოავლინა.

მ. კვესელავა აგრეთვე იყო პირველი, ვინც გამოყო გალაქტიონის შემოქმედებაში სამი სახის ლექსი: ლოგიკო-სემანტიკური, როდესაც კლასიკური წესებია დაცული; მეორე, როდესაც ლოგიკო-სემანტიკური კავშირი შესუსტებულია; და მესამე, როდესაც სემანტიკური სისტემა თითქმის მთლიანად დარღვეულია. ასეთ ლექსებს ინტეგრალური უწოდა, მაგრამ მათი ახსნა შეუძლებლად მიიჩნია.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ ამ ინტეგრალურ ლექსებში სემანტიკური სისტემა დარღვეული კი არ არის, როგორც კვესელავა თვლიდა, არამედ სახეშეცვლილია. ამის ცოდნა, უკვე ლინგვისტიკის საქმე იყო და ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ.

თუ მეცნიერი რაიმეს ვერ ხსნის, იმას არ ნიშნავს, რომ ეს მომავალშიც ვერ აიხსნება. *„მეცნიერული შრომის ბედი დიდად განსხვავდება მხატვრული შემოქმედების ბედისაგან... ხელოვნების სრულყოფილი ნაწარმოები ყოველთვის სწორუპოვარი იქნება და არასოდეს დაბერდება. ამის საპირისპიროდ ყოველმა ჩვენგანმა იცის, რომ მეცნიერების სფეროში მის მიერ გაკეთებული საქმე 10, 20 ან 40 წლის შემდეგ მოძველდება. ასეთია ბედი, უფრო მეტიც, ასეთია აზრი მეცნიერული შრომისა“* (მაქს ვებერი).

ეს ციტატა მე საგანგებოდ მოვიყვანე „გალაქტიონის ენიგმებში“ (გვ. 50-51), მაგრამ დოიმ, როგორც ქვემოთ უკეთ გაირკვევა, ამ წიგნის მხოლოდ 50-მდე გვერდი გადაფურცლა. თუ ეს ასე არ არის, თქვას, რომ ვებერსაც არ ეთანხმება.

**იმედია, მაპატიებთ იუმორით შეფერილ ტონს, რადგან უმეცრებასთან ურთიერთობა მხოლოდ აკადემიური ტონით არ ხერხდება.**

მსაყვედურობს, მ. კვესელავას აქებს, მაგრამ ერთგან მაინც ხომ შეაპარა, რომ ის არ ფლობდა სათანადო მეთოდსო, თან წიგნის გვერდსაც (39) პატიოსანი კაცივით მიუთითებს. „გადაგეფურცლა“ მაინც წიგნი ბოლომდე და ნახავდი სხვაგანაც (თუნდაც გვ. 87), როგორ შევეპასუხე დიდ მასწავლებელს დიდი გალაქტიონის გამო.

ამჯერად უკვე სიცრუეში დავიჭირეთ: 300-გვერდიანი წიგნიდან მხოლოდ 50 გვერდი ძლივს გადაფურცლა და სურს მკითხველი შეცდომაში შეიყვანოს! ვიცით, რომ კვესელავასაც ასე წაუკითხავად აკრიტიკებდა!

იმის გამო, რომ მ. კვესელავას წიგნი და ლექციები შევაქე, დოი ამბობს, რომ ვარ „ცბიერი, ფარისეველი და პირმოთნე“, რასაც ი. გრიშაშვილის „ქალაქურ ლექსიკონში“ „თითლიბაზობა“ ჰქვიაო.

დოი! რომელი თბილისელი ბოჭემა შენა ხარ, რომ გრიშაშვილისა თუ არა, სხვა ლექსიკონს აღარ ენდობი. ამ წერილს რომ ბოლომდე წაიკითხავ, მერე იკეკლუცე და თქვი, პირმოთნე ვარ, თუ პირში მართლის მთქმელი?

ვიდრე მკითხველისათვის მეორე პუნქტზე განმარტებებს გავაკეთებ, ჯერ შენ მოგმართავ, დოი!

გაიაზრე, რა თქვი, როდესაც გამოაცხადე, რატომ ბედავს ი. მერაბიშვილი, გააკეთოს ის, რაც კვესელავას შეუძლებლად მიაჩნდაო?

აღიარებ, რომ მ. კვესელავა ძალიან დიდია? თუ მე გგონივარ ძალიან პატარა? შენ ვინა ხარ, რომ მე შემომყეფო? ზნეობისადმი შენი პირადი დამოკიდებულება რომ ვიცით, რამ გაგაბედინა ჩემთან გათანასწორების სურვილი? იქნებ ყური მოკარი შეგონებას: ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია? არ იცოდი, რომ მე მხოლოდ მამალ ლომს ვაძლევ უფლებას დამელაპარაკოს, და არა ფინიებს? აზროვნება ლომებისგან მისწავლია და მათზევე ვსწორდები ცხოვრებაში.

დაუკვირდი რუსთაველის სტრიქონს! ვერაფერი გაუგე? ესეც ხომ გალაქტიონი არაა? აქ ლომის ლეკვებზეა ლაპარაკი, და არა ძაღლისა!

ახლა დაჯექი მანდ სადმე, კუთხეში და ისე მომისმინე. შენს პასუხებს მე არასოდეს მოვისმენ! ეს შენ მოისმენ დღეს ჩემგან იმდენს, რამდენსაც ერთი საგაზეთო წერილი დაიტევს.

მე ჯერ არსად მსმენია, თუ უფროსმა რამე ვერ გააკეთა, უმცროსმა არ უნდა სცადოსო. მაგდაგვარი განწყობით არ შემოდიოდა მ.

# ოინბაზობა, „ამნეზია“




კვესელავა ჩვენთან ლექციაზე! ის ხვალი ლომი ბრძანდებოდა!

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თუ მე გალაქტიონის შეცნობა დავისახე მიზნად, მ. კვესელავას ან სხვა რომელიმე საკადრის მკვლევარს უნდა დავემორჩილო? მე უნდა მოვუსმინო მათ, ხოლო მივყვე გალაქტიონს, რადგან მისი წვდომა ალმა სვლისა და ფრენის გარეშე გამორიცხულია! შენ კი აქ იქექები და არც მიწისა ხარ, არც ცისა.

II. ინტეგრალებზე მსჯელობისას მ. კვესელავა წერდა: „ოიდიპოსიც რომ იყო, ამ პოეტური სფინქსის საიდუმლოებას მაინც ვერ ამოხსნი.“ იმასაც ამბობდა, „აბა თვითონ სცადეთ, თუ რამე გამოგივიდეთო“ (გვ. 302-303). მ. კვესელავას მიაჩნდა, რომ ენიგმების გახსნა ვერ მოხერხდებოდა, მაგრამ გაირკვა, რომ ეს შეცდომა იყო. არნოლდ ჩიქობავა ბრძანებდა, მეცნიერს შეცდომა შეიძლება მოუვიდეს, მაგრამ ტყუილი არ უნდა თქვას, რადგან ეს უკვე დანაშაულიაო! გალაქტიონმა ბევრი გამოცანა შემოგვთავაზა. გამოცანა ხომ იმისთვის იქმნება, რომ ჩასწვდე და გამოიცნო. ხელოვნებაში გამოცანა მარად გიზიდავს, რადგან თავად გამოცნობის პროცესია ესთეტურიც და ინტეგრალურიც. შედევრის ეფექტიც და ღირებულებაც ამ წვდომის ზეიმშია.

ხელოვნება, ეს ოქროა, მიწის გულში
დამარხული,
ხელოვნება მარგალიტს ჰგავს,
მას ზღვა ფარავს შეუცვლელი,
რას იშვიათ თუ მისწვდება კაცის გული,
კაცის ხელი.

მ. კვესელავამ ბრძანა, ოიდიპოსიც რომ იყო, ამ პოეტური სფინქსის საიდუმლოებას მაინც ვერ გახსნიო. მაგრამ ხომ არ უთქვამს, სფინქსის გამოცანა ოიდიპოსმაც ვერ გახსნაო. ვინც იცის მითოსი, იცის, რომ მითოლოგიურმა ოიდიპოსმა სფინქსის საიდუმლო გახსნა, ხოლო სასოწარკვეთილი სფინქსი უფსკრულში გადაეშვა.

რაო, დოი! ოიდიპოსის მითი არ წაგიკითხავს? გინდა გითხრა, ამ მითში მერე რა მოხდა? მადლიერმა თებელებმა ოიდიპოსი მეფედ აღიარეს!

თებელებმა თუ არა, შენ ხომ ნამდვილად მაღიარე, რადგან დაწერე: „ენიგმურ სახეებთან მიმართებაში არსებობს ორი, დაპირისპირებული პოზიცია: ძველი – მ. კვესელავასი და მისი მიმდევრებისა და ახალი, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ ი. მერაბიშვილი წარმოადგენს“.

„Ты цар – живи один!“ – ეს პუშკინმა თქვა. ქართული ხალხური სიბრძნე ასე ამბობს: გვრიტმა ერთი შვილი შვა და დედა ლორმა თვრამეტიო. დოი, შენ ხომ აძაგებდი მ. კვესელავას? მე კიდევ მისგან გამოწვევა მივიღე! ახლა იჩემებ, მ. კვესელავა ჩვენს გუნდშიაო. კარგი რა, გეყოფა ამდენი ხუმრობა! ბატონი მიხეილი ცოცხალი აღარ არის, რომ თავისი ადგილი თვითონ განსაზღვროს. დე, ეს საზოგადოებამ გააკეთოს.

მ. კვესელავასთან კავშირში, ჯერ შემედავა, რატომ იკვლევ იმას, რასაც ის უარყოფსო. მერე იქვე მომედავა, თქვენი კლასიფიკაციები ემთხვევაო.

ძალიან მაინტერესებს, საძლიდან სამსახურამდე გზას როგორ იკვლევ, ან შინ როგორ ბრუნდები? თუ მ. კვესელავამ გალაქტიონის ლექსის სამი სახეობა გამოყო და მესამეზე თქვა, არ აიხსნებაო, ხოლო მე სწორედ ამ მესამე სახის ლექსი შევისწავლე, ავხსენი და მისი კლასიფიკაცია მოვახდინე, რაც კვესელავას არანაირი ფორმით არ გაუკეთებია, კიდევ იტყვი, ემთხვევაო? **ინტეგრალები მან აუხსნელად გამოაცხადა, მე კი მათ შესწავლას წიგნი მივუძღვენი!** ეს წიგნი ხელში მოგეცი. ახსნაც შიგ არის და კლასიფიკაციაც. ამ მეთოდით მთელი მსოფლიო სარგებლობს. ყველგან ეტრფიან პოეზიას და მის ახსნას ტომებს უძღვნიან. **ყველა ერს ჰყავს თავისი დიდი პოეტი, მაგრამ აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ არც ერთ ქვეყანას დოიაშვილი არ ეყოლება.** რატომ ვერაფერი ვერ გაიგე? შვიდი წელია ამ წიგნს კითხულობენ და მადლობას მეუბნებიან. ახსნილი გალაქტიონი ვერ გაიგე, შენ აუხსნელ გალაქტიონს რანაირად გაიგებდი?

III: დოის ვერ გაუგია, რას ნიშნავს: „გრძნობდა, განიცდიდა და ვერ ამტკიცებდა.“ გალაქტიონმა ლექსების გამოქვეყნება ასი წლის წინათ დაიწყო. დაახლოებით ამ ხნისაა მისი ადრეული ენიგმური სტრიქონებიც, მაგრამ გალაქტიონის ლექსი იმთავითვე აიტაცა და იწამა ქართველმა ხალხმა, რომელსაც პოეტმა ნდობა შეჰფიცა:

ხალხის ნდობა აფიცეს,
და ვარდები ესროლეს
გალაქტიონ ტაბიძეს.
ღმერთო! რა ვარდებია,
რა სინათლე, რა ხალხი,
აქ მარად მთავარია
ხალხი, ხალხი და ხალხი.

ამ ხალხმა გალაქტიონი პოეტთა მეფედ აღიარა. მკითხველი განიცდიდა მის ლექსებში მოქცეულ ქარაგმებს, მაგრამ ბევრს ანალიზს ვერ უკეთებდა, ანუ ვერ ამტკიცებდა, თუ რატომ ახდენდნენ ეს სტრიქონები მათზე ასეთ ზემოქმედებას. ამის დამტკიცება შეუძლია სათანადო მეთოდოლოგიით შეიარაღებულ მეცნიერულ კვლევას, რომელსაც მ. კვესელავა, მსგავსად სხვა ლიტერატორებისა, იმ დროისათვის, როგორც ჩანს, არ ფლობდა. ეს საქმე მაშინ ფეხს იდგამდა და მიხეილ ბახტინიც ამიტომ მოძღვრავდა ლიტერატორებს, ლინგვისტიკას ნუ გადაახტებით, არამედ ფეხდაფეხ მიჰყევითო. მ. კვესელავას რომ დასცლოდა (ის 66 წლის გარდაიცვალაძ, იმედია, გაეცნობოდა.

IV: ბოდიშს მოვიხდი ლინგვისტი მკითხველის წინაშე და ფართო საზოგადოებისათვის ძალიან მოკლედ ვიტყვი, თუ როგორ მივედი გალაქტიონის ენიგმების გახსნამდე, უფრო ზუსტად კი, როგორ მივიდა მეცნიერება იმ კონდიციამდე, რომ ჩემს ხელთ ყოფილიყო ენიგმების გაშიფრის კოდი.

უძველესი დროიდან მოყოლებული, პოეტი თუ სიტყვაზე მიყურადებული მოაზროვნე, ყოველთვის გრძნობდა, თუ რა დიდი ძალა აქვს ორი სიტყვის მოულოდნელ შეკავშირებას, მაგრამ ამ პროცესის სისტემური მეცნიერული შესწავლა გაცილებით გვიან დაიწყო. იმ დროისათვის, როცა გალაქტიონი ქვეყანას მოევლინა, საფრანგეთში მიშელ ბრეალმა სიტყვა დაინახა არა როგორც ერთი მთლიანი მნიშვნელობის შემცველი, არამედ როგორც მცირე შინაარსობრივი ელემენტებისაგან შემდგარი ერთობა, რომელიც განიცდიდა სახეცვლილებას ამ ელემენტების ხვედრითი წონის ცვალებადობის შედეგად. სიტყვის მნიშვნელობის მცირედ ნაწილაკებს ბრეალმა სემები უწოდა. ასე გაჩნდა სემანტიკა და სემასიოლოგია, როგორც ლინგვისტიკის ახალი დარგი. სიტყვის დაშლა სემებად ისეთივე გადატრიალება იყო ენათმეცნიერებაში, როგორც ატომის დაშლა ფიზიკაში. წინა საუკუნის ოციან წლებში ეს ცოდნა რუსეთში აიტაცა და განავითარა ი. ტინიანოვმა. ი. ტინიანოვმა თავისი ნაშრომი პოეტურ ტექსტს მიუძღვნა. მოგვიანებით, ისევ რუსული პოეტური ტექსტის მაგალითზე, ეს თეორია მძლავრად განავითარა ი. ლევინმა და შთამბეჭდავი კლასიფიკაციაც შემოგვთავაზა. ეს ცოდნა და მეთოდი მთელს მსოფლიოს მოედო. ლინგვისტურ წრეებში კომპონენტური ანალიზი მაღალი გემოვნების მოდად იქცა. საქართველოში ამ ცოდნას განსაკუთრებით კარგად დაეუფლა უნივერსიტეტის პროფესორი მერი იანქოშვილი და მეც მაზიარა მას. აი ის „ჯადოსნური ლამპარი“, რომლის არსებობას ვერ იჯერებს დოიაშვილი. საკვირველი არაფერია, რომ დოიაშვილი გამოქვაბულში იჯდა და ამის შესახებ არაფერი იცოდა. ამ ლამპარმა მისი გონება ვერ გაანათა, მაგრამ დღეს ჩვენ მის თავის ქალას რენტგენით გავაშუქებთ.

სემური ანალიზის მეთოდი პირველ დისერტაციაში (1977ძ XX საუკუნის ინგლისური ენიგმების მაგალითზე გამოვცადე და მეთოდის გარკვეულ განვითარებასაც მივაღწიე, იქაც ი. ლევინისა და სხვათა მასალაზე დაყრდნობით. დისერტაციას ძალიან მაღალი შეფასება მისცა მოსკოვში საბჭოთა კავშირის ყველაზე დიდმა ანგლისტმა და ლექსიკოგრაფმა ილია გალპერინმა, რომელმაც შემომთავაზა სადოქტორო დისერტაცია ბაირონის ლექსის ანალიზზე დამეწერა მისი უშუალო ხელმძღვანელობით. ამავე დროს მირჩია, საქართველოში რომ დიდი პოეტი გყავთ, ის იკვლიეთ ნაცადი მეთოდითო. ვინც მიცნობს, მოეხსენება, რომ ორივე რჩევა გავითვალისწინე. თავად სადოქტორო დისერტაციამ (1997ძ კი ორივე პოეტის ანალიზი მოიცვა.

ახლა მოვისმინოთ, რას ამცნობს დოიაშვილი ჟურნალის მკითხველს: „მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ თეორია, მეთოდიკა და კლასიფიკაცია, რომელსაც ი. მერაბიშვილი იყენებს და ეყრდნობა, ი. ლევინის კუთვნილებაა“ (გვ. 47, I სვეტიძ. როგორ მიხვდი, დოი? ლევინის გვარი ხომ პირველად ჩემგან გაიგე, როცა თავზარდაცემულმა ჩემი წიგნის მხოლოდ პირველი თავი გადაფურცლე? მეორე თავიც გადაგეფურცლა. მე იქ ლევინის კონცეფცია ვ. გაკის კონცეფციით განვავითარე და ისეთი მაღალი შედეგი მივიღე, ლევინს არც დასიზმრებია. თუ ლევინის გვარი იცოდი, რატომ აქამდე არ გამოგიყენებია? ლევინმა რომ ეს კონცეფცია შექმნა და 1966 წელს გამოაქვეყნა, მე სკოლის მოსწავლე ვიყავი. შენ ხომ ბევრად უფროსი ხარ ჩემზე, წაგეკითხა და გესწავლა.

ალბათ მეტი იუმორი გვმართებს, თორემ უხერხულ მდგომარეობაში ვიგრძნობთ თავს. ისევ გავესაუბროთ დოის, ამჯერად „ლევინის კუთვნილებისა“ გამო.

დოი, მე გამოვიყენე ლევინის კლასიფიკაცია იმ აზრის საპირისპიროდ, რომ ენიგმების ახსნა შეუძლებელია.

ახლა გვიპასუხე! შენც ხომ „იყენებ“ ლევინს „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე, თან ვითომ ჩემს საწინააღმდეგოდ! უკეთებ ი. ლევინს ციტირებას, ისევ ჩემი წიგნის მიხედვით, სადაც მე ი. ლევინს 17-32 გვ. მიმოვიხილავ, ატრიალებ ამ ციტატებს და ა. შ. ამავე დროს ამბობ, რომ ლევინის გამოყენება არ შეიძლება იმიტომ, რომ მისი ნააზრევი მისი „კუთვნილებააო“.

დოი, თუ გაიაზრე, რა თქვი? რაც შენ თქვი, ნიშნავს იმას, რომ შენ სათანადო იურიდიული ნებართვა უნდა გქონოდა ი. ლევინისგან ან მისი წარმომადგენლისგან, ან უნდა გადაგეხადა ფულადი კომპენსაცია.

რატომ არ გამოაქვეყნე ჟურნალში „ჩვენი მწერლობა“ სტატიასთან ერთად ან იურიდიული ნებართვის დოკუმენტი ან ფულის გადახდის ქვითარი?

გიჩივლო სასამართლოში? შენი ცოდნის ამ-



ბავი რომ ვიცი, აიყვან ადვოკატს. ადვოკატი, იმედია, შენზე განათლებული იქნება და გეტყვის: „ბატონო თეიმურაზ, როგორ თქვით „კუთვნილებაა“? ეს სიტყვა ხომ ნივთიერ საკუთრებას ნიშნავს!“ ადვოკატი იმასაც გეტყვის: სწორი იქნებოდა, გეთქვათ „ეკუთვნის“, რადგან ქართულ ენაში გარდა ნივთიერი კუთვნილებისა ეს ზმნა აგრეთვე ნიშნავს გონებრივ პროდუქტს, მაგ., „მის კალამს ეკუთვნის“ და ა. შ. შენ არ შეგრცხვება და უპასუხებ, არცოდნა არცოდვააო. მაგრამ არცოდნა მეცნიერება ნამდვილად არაა, დოი!

მართალია, თავს ისულელებ, მაგრამ თანაბრად ცბიერიცა ხარ. თუ ეს ასე არაა, იმავე პრინციპით რატომ არ დავობ, ლევინმა ტინიანოვის იდეები – მისი „კუთვნილება“ რატომ გამოიყენა, ტინიანოვმა – ბრეალის და ა. შ. და ა. შ.?

რა გიხარია, ლევინის ციტატა რომ რუსულიდან თარგმნე? გინდა თქვა, რომ ახლოს დგას ჩემს ტექსტთან? ვერ ხვდები, რომ იმ ტექსტთან დგას ახლოს, რომლითაც ი. ლევინის აზრებს გადმოვცემ, რადგან მასზე ვაკეთებ მინიშნებას? მაგას ციტატა კი არა, პარაფრაზი ჰქვია. ეგ ის „პარაფრაზია“, შენს წიგნში რომ შეცდომით „პერიფრაზს“ უწოდებ (ორი რეპლიკა, დაკარგული გასაღების ძიებაში, 1985, გვ. 68ძ. ეს ორი სხვადასხვა რამ არის! მე ამდენი დრო არ მაქვს, ყველაფერი აგიხსნა. მოიკითხე სათანადო ლექსიკონები და დაძებნე. ქალაქურში არ იქნება.

მეცნიერული ინტერპრეტაცია, თუ ის ღირებულია, მრავალმნიშვნელიანობას გულისხმობს, მაგრამ გამორიცხავს მცდარ ილუზიებს, შენ რომ სამარცხვინოდ დაგეუფლა მ. კვესელავასთან შედავებაში: მ. კვესელავა ვერ ხსნის ინტეგრალებს, მაგრამ მე ვხსნიო. თავიც მაგრად მოიჭერი! ახსენი და რა ახსენი! ისიც „ოცნება, ნახაზი საგანთა უარით“ („კრიტიკა“, 1978, №4ძ. რატომ ახლა არ მოიტანე ეგ შენი სამარცხვინო ახსნა ამ სტრიქონისა ჩემი ახსნის საპირისპიროდ? შეგეშინდა? მაშინ ხომ ამბობდი, ფსიქოანალიტიკოსებს დავეკითხეო. სად არიან ახლა შენი ავად შთამაგონებელი ფსიქოანალიტიკოსები? ამ წერილში სიამოვნებით წარმოვადგენდი ცნობილ ენიგმათა ანალიზს, მაგრამ ამაზე ხომ უკვე იყო მასალა „ჩვენს მწერლობაში“. თუ მკითხველი დაინტერესდება, წიგნსაც წაიკითხავს.

მეცნიერის მიერ ახსნილი ლექსი გზას უხსნის განათლებულ მკითხველს, უკეთ შეიმეცნოს შედევრი. ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ თუ მეცნიერი მგრძნობიარე არ არის, გაწაფულ გონებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ვერც მეთოდს შექმნის და ვერც სხვისას გამოიყენებს. ცოდნა და მეთოდი იმისთვის გვჭირდება, რომ დავამტკიცოთ ის, რასაც ვგრძნობთ და განვიცდით. დოი, ეს შენ ვერ გრძნობ, ვერ განიცდი და ვერ ამტკიცებ! ეს ყველას, არ სჭირდება. ეს, პირველ ყოვლისა, სჭირდება თავად ფილოლოგიას, როგორც დარგს, სჭირდება გალაქტიონოლოგიას, რომლის მოვლა და პატრონობა გალაქტიონმა დაგვიბარა:

ვაშა მას, ვისაც ცოდნისთვის
ძალა არ დაუზოგია,
გაბრწყინდეს მეცნიერება –
გალაქტიონოლოგია.

ხომ ხედავ, დოი, მეცნიერებას ითხოვს გალაქტიონი, იმ მეცნიერებას, რომელსაც, როგორც თავად ბრძანებს, ალმაფრენა სჭირდება:

მეცნიერება,
როდესაც მას თან ახლავს ვნება –
თანაბრად არის პოეზიის ზეშთაგონება!

დოი, იცი, მეცნიერება კიდევ როდის ხდება ზეშთაგონების წყარო? როდესაც სრულდება პოეტური თარგმანი, რადგან პოეზიის თარგმნა ჯერ ფილოლოგიურ გამოკვლევას ნიშნავს, ხოლო შემდეგ – არტისტულ შესრულებას. გამოკვლევის გარეშე ტექსტის ინტერპრეტაცია ვერ მოხერხდება. ინტერპრეტაციის გარეშე თარგმანი ვერ შესრულდება.

იმასაც ხომ ამბობენ, გალაქტიონი არ ითარგმნებაო. აბა თავად გალაქტიონს მოვუსმინოთ:

„ძალიან ბევრს გაიძახიან, რომ გ. ტაბიძის მთარგმნელები არ ვარგანან და ამ ტრაფარეტულ წამოძახილს სისტემური ხასიათი ეძლევა, ვიღაც ძლიერ დაინტერესებულია არა იმით, რომ გაუმჯობესდეს თარგმანის საქმე, არამედ იმით, რომ დააშინონ მთარგმნელები, აქაოდა გალაქტიონ ტაბიძის თარგმნა ყოვლად შეუძლებელია, ის თითქოს ტალანტია და მთარგმნელიც გენია უნდა იყოსო...

*რა შუაშია აქ გენია და ან შეუძლებლობა თარგმანისა? არსად ასეთი გატაცებით არ გაიძახიან, რომ გ. ტაბიძის თარგმნა შეუძლებელია, როგორც ჩვენში...*“ (გ. ტაბიძე, უბის წიგნაკი, თბილისი, 1992, გვ. 113-115ძ.

დოი, ჩემს თარგმანებზე რა აზრისა ხარ? მერე რა, რომ ინგლისური ჯერ არ იცი. ქართული რომ იცი, რამე გაუგე გალაქტიონს?

წაიკითხე რ. ბაინდურაშვილის წერილში ჩემეულ თარგმანზე მაღალი რანგის ინგლისელებისა და ამერიკელების მიერ გამოთქმული მაღალი აზრები და ბოღმითა და შურით ალივსე? გალაქტიონის არ იყოს, ჩამოგაწვა „შური ბინდისა“? იმ ბინდისა, სინათლისა რომ შურს და ეშინია? მაინც ამახსნევინე ერთ-ერთი ენიგმა?!

მე რომ ლომების ჭკუაზე არ მევლო, გალაქტიონის ენიგმებს ხომ ვერაფერს გავუგებდი? ამდენად, ვერც ვთარგმნიდი. საუკეთესოა, როცა თარგმანში ენიგმა ენიგმით გადმოდის, ხატი – ხატით. ეს ჩემი მიგნებაა, აბა! კიდევ უკეთესი ისაა, როცა კონცეფციებსა და მიგნებებში სტუდენტები მოგყვებიან. იცი, როგორ ეწაფებიან ცოდნას? იყენებენ კიდეც საკუთარ თარგმანებში, აბა!

იხ. 12 გვ.

# დოიაშვილის ოინბაზობა, ანუ დოი-დოის „ამნეზია"

(მეთერთმეტე გვერდიდან)

ეს ყველაფერი, განსაკუთრებით ლინგვისტიკა, შენთვის უღრანი ტყეა, ჩემთვის კი — პროფესია. მე იქ ლაბირინთებშიც არ ვიკარგები, შენ კი „იქექები" და გზას ვერ პოულობ. ხომ ამბობ, ლიტერატორი ვარო. დატეულიყავი „ლიტერატურაში". ვის კარს ეჯაჯგურები? ლინგვისტიკისა? იმ კარის შიგნით იმიტომ ვდგავარ, რომ ამ დარგში ოთხი მონოგრაფია დამიწერია, მათ შორის „პოეტური თარგმანის ლინგვისტიკა" (2005ძ.

არავის აქვს უფლება გამოაცხადოს, გალაქტიონის წვდომა და ანალიზი შეუძლებელიაო. **ნებისმიერს აქვს უფლება თქვას, არ მესმის, ან ვერ ვხსნი, მაგრამ სხვების სახელით ნუ იტყვის, არ აიხსნებაო.** გაგიგიათ, კაცი იმ საქმეს უარყოფდეს, რასაც საქმედ იჩემებს? რად იჩემებ გალაქტიონოლოგობას, დოი, თუ გალაქტიონთან მიახლოვების გზებს წინ ელობები?

გალაქტიონოლოგიას დასაბამი პოეტმა სიცოცხლეშივე მისცა. თან ისიც უთქვამს, გალაქტიონოლოგია ისეთი დარგია, რომლითაც უნდა დაინტერესდეს მთელი მსოფლიოო, რადგან გულში მთელ მსოფლიოს იტევდა. იქიდან მოყოლებული დღემდე **გალაქტიონოლოგი არის ის, ვინც პოეტის კეთილსინდისიერ მეცნიერულ კვლევას აწარმოებს,** და არა ის, ვინც მისი სახელით სპეკულიანტობს, მას ცრუ ოვაციებით იხსენებს და ერს ანუგეშებს, ამ დიდ საქმეს მე და ჩემი „თანამოაზრეები" მივხედავთო, რაც თავად გალაქტიონს ასე ეზიზღება!

მოღალატის ცხარე ტაში
და ორპირის ნუგეში,
მეზიზღება, როგორც მაშინ,
როგორც სიჭაბუკეში.

ის საქმე, დოი, რასაც შენ იჩემებ, გალაქტიონოლოგიისგან ძალიან შორსაა და ამას უნდა ვუწოდოთ **დ ო ი ო ლ ო გ ი ა.** ასეა ეს, ასე!

ვინც ქართული წერა-კითხვა იცის, შეაფასოს თ. დოიაშვილის პირველივე წინადადება მის წამყვან საუბარში მისივე რედაქტორობით გამოცემულ პირველივე ტომში „გალაქტიონოლოგიისა" (2002ძ:

*„გალაქტიონზე საუბარი მოუწყინრად შეიძლება მიზეზითაც და უმიზეზოდაც, მიზანმიმართულადაც და სპონტანურადაც, მით უფრო იმ ცნობიერების ლიტერატორებისა, ვისთვისაც დიდი პოეტის სახელი ეპოქის კულტურული სიმბოლოა"* (გვ. 6ძ.

ეს იმან დაწერა, ძვირფასო მკითხველო, ვინც გ. ტაბიძეს ესთეტიკა დაუწუნა!!!

მინდა განვაცხადო, რომ აქ მოყვანილი მაგალითები მხოლოდ უმცირესი ნაწილია იმ სიბეციისა და სიცრუისა, რაც მის პუბლიკაციებშია აღბეჭდილი. დოი აგრეთვე თავს იწონებს რედაქტორობით. აქ კი საქმე ასეა: თუ დოიმ დაუშვა, რომ ღირებულმა ავტორმა მიაწოდოს სტატია, მაშინ საქმე კარგად არის. ყველა დანარჩენ შემთხვევაში „რედაქტორმა" ვერც ერთი ავტორი ვერ აარიდა კურიოზამდე მისულ შეცდომებს.

„ჩვენს მწერლობაში" დოიმ განაცხადა: „გალაქტიონოლოგია V"-ს ვამზადებ და მისი „ძირითადი კორპუსი მოიცავს გ. ტაბიძის სიმბოლისტური პერიოდის შემოქმედების ანალიზს". როგორ მოვიქცეთ? დაველოდოთ ამ ტომს, თუ ჯერ ისევ იმ აზრებით უნდა ვიკვებებოდეთ, დოი რომ ნაცარივით თვალში აყრიდა მკითხველს ათწლეულების მანძილზე?

დოიმ მ. კვესელავას საპირისპიროდ განაცხადა, რომ „სტრუქტურული თვალსაზრისით (? — ი. მ.ძ, „ინტეგრალსა" და სიმბოლისტურ სახეს შორის განსხვავება არაა. თუმცა მ. კვესელავა ასე არ ფიქრობსო." ამ დროს იქვე სხვა თქვა: „სიმბოლისტური სახე და გამოცნობა ერთმანეთს გამორიცხავს" (დაკარგული გასაღების ძიებაში, 1985, გვ. 9ძ.

დოი, დაგავიწყდა, რომ იმავე წერილში მოთქვამდი, ინტეგრალი ჩემთვის გასაგებიაო? თუ ინტეგრალი გასაგები მოვლენა იყო, ხოლო ინტეგრალსა და სიმბოლიზმს შორის განსხვავება არ იყო, მაშ სიმბოლისტური სახე და გამოცნობა ერთმანეთს როგორ გამორიცხავენ? ნახე, შენ საკუთარ ნათქვამში ვერ ერკვევი! გალაქტიონთან რა უნდა გაარკვიო?

რ. ბურჭულაძის საპირისპიროდ დაწერილ წერილში ისევ გამოაცხადა: *„...სიმბოლისტური ლექსის „ამოხსნა", მასში კონკრეტული შინაარსის ამოცნობა შეუძლებელია, ვერავითარი „კანონების ცოდნა" ამაში ვერ დაგვეხმარება. ამას გულისხმობს ვერჰარნი, როცა ამბობს, სიმბოლისტური ლექსის გასაღები დაკარგულია"* (იქვე გვ. 43ძ.

დოი, გულიანად კი ვიცინე, შენს ხელში რომ ვერჰარნი წარმოვიდგინე. გამახსენდა, წერა-კითხვის უცოდინარმა ტიკმა გაზეთი თავდაყირა რომ დაიჭირა. მაგრამ ამას აქ მაინც ავხსნი:

როდესაც ვერჰარნი კანონების ცოდნაზე საუბრობს, ის გულისხმობს სიმბოლოთა დეკოდირების საშუალებებს, როგორც მათი შემეცნების გზას. მისთვის ასეთი კოდი — გასაღებია. ვერჰარნი ამბობს, რომ ეს გასაღები დაკარგულია, რაც, ბუნებრივია, იმას ნიშნავს, რომ ის მოსაძებნია!!! ელიოტი ბრძანებდა: „სიბრძნე დავკარგეთ, რათა ცოდნა მოგვეპოვებინა, შემდეგ ეს ცოდნაც ცნობების ძიებაში დაიკარგაო".

ცრუ აზრის გასამყარებლად დოი არაერთხელ მოიხმობს ი. ტინიანოვის ციტატას, ისიც რუსულ ენაზე.

დოი, ან საერთოდ არ ხარ რუსულის გაგებაში, ან თავად ი. ტინიანოვის ნაწერს, როგორც გჩვევია, ვერ იგებ. ი. ტინიანოვი მხოლოდ შენს საპირისპიროს ლაპარაკობს. უფრო სწორად, შენ ლაპარაკობ მის საპირისპიროს, თორემ იური ტინიანოვის აზრი ემილ ვერჰარნისას ემთხვევა, რადგან რასაც ვერჰარნი განიცდის, იმას ტინიანოვი სამეცნიერო ენაზე გვთავაზობს. ამდენად, გზას უხსნის სემასიოლოგიას, როგორც მეცნიერებას, რათა სიმბოლისტური და ენიგმური სტრიქონების გახსნა მოხერხდეს, რაც ნიშნავს კიდეც გასაღების პოვნას! მოკლედ, იქ ყველაფერი რიგზეა, ისე როგორც პროგრესულმა სამეცნიერო წრეებმა გაიგეს და გამოიყენეს კიდეც. შენ კი ი. ტინიანოვიც უკუღმა წაიკითხე! ვერჰარნის გასაღებიც ხომ ისევ თავდაყირა, შენი აზრით ირონიულად, შენივე პაწაწინა წიგნის სათაურში გამოიტანე, ვითომდა მ. კვესელავა და სხვები დაკარგულ გასაღებს ასდევნებიანო. დოი, ვინც ეძებს, მხოლოდ ის პოულობს. ძებნას კი ნიჭი უნდა! ეს გალაქტიონმა ბრძანა.



„ოცნება, ნახაზი საგანთა უარით"

დოი, გახსოვს, „ცისკრელები" როგორ გაანაწყენე, როცა ხანდაზმულ პოეტებს, ისევ ირონიულად, ახალგაზრდა პოეტები უწოდე? ცინიზმი მათ არც საპასუხო წერილში დააკელი და ნაიარევზე მარილი აყარე: *„ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნუთუ თქვენც ფიქრობთ, რომ პოეტების შემოქმედებითი ბიოგრაფია მათი დაბადების დღიდან იწყება და არა ლიტერატურული მოღვაწეობის დაწყების თარიღიდან?!"* (დაკარგული გასაღების ძიებაში, თბ., 1985, გვ. 116ძ.

შენთან საქმე როგორაა? ის, რაც აქამდე უტიფრად გიწერია, ამას „ლიტერატურული მოღვაწეობა" არ ჰქვია. მაშ შენს ასაკს რაღა დავარქვათ? გიზო ნიშნიანიძის თქმისა არ იყოს, გეტყობა, ხანდაზმული ხარ, ხან არა!

დოი, სამწუხაროდ, შენი მსგავსი სხვაც არის დღევანდელ გარემოცვაში. ასე რომ არ იყოს, შენ ხომ ამდენს ვერ გაბედავდი. მაგრამ, ხომ ვთქვი ზემოთ, ამაზე ახლა არ ვაპირებ საუბარს-თქო და არც მისაუბრია. მემუარებს რომ დავწერ, იქ ვიტყვი სათქმელს. ვნახოთ, ლიტერატურული პროცესების ფონზე ვინ ღირებული მკვლევარი გამოჩნდება და ვინ სამარცხვინო. ამ უკანასკნელთ კი ნუ შეეშინდებათ, რომ ეს მალე მოხდება. ბაირონსაც როდი მივებაძები და ვიტყვი, ყველაფერი ჩემი ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ გამოაქვეყნეთ-თქო. არა ბატონებო, არამც და არამც! ეს ყოველივე გამოქვეყნდება მხოლოდ მაშინ, როცა უმეცრებაში მხილებული პირები თავად აღარ იქნებიან ცოცხლები (მე მათ დღეგრძელობას ვუსურვებ, ისევე როგორც საკუთარ თავსძ, რათა ჩემი შეფასებების გამო სიცოცხლეში იოტისოდენა უხერხულობა არ შეექმნათ.

მერე? მერე მომავალმა განსაჯოს! ისინიც ხომ მომავლისთვის წერენ.

„ჩვენს მწერლობას" დოიმ დააანონსებინა, ი. მერაბიშვილზე აქ ფრაგმენტს ვაქვეყნებთ და „გალაქტიონოლოგია V"-სთვის სრული მასალა მზად მაქვსო. როგორა გაქვს მზად, თუ ორმოცდაათ გვერდზე მეტი არ წაგიკითხავს? იქნებ დანარჩენი 250 ძალიან მოგწონს? ამას თაღლითობა ჰქვია, ოხუნჯობას რომ თავი დავანებოთ, რაც უკვე გითხრეს („მნათობი, 1979, №10, გვ. 161ძ. მაგრამ აქვე გეტყვი, ჩემი საქმიანობა შენი მოსაწონი რომ იყოს, საკუთარი თავი ნამდვილად აღარ მომეწონებოდა. ასეა ეს, ასე!

შენ გინდა სიცრუით ჩრდილი მომაყენო? დაგაგვიანდა! რაც ჩემს ათიოდე წიგნსა და მონოგრაფიაში ქართულად დამიწერია, დასავლეთში მრავალგზის მოწონებულია იქაური პუბლიკაციებისა და მოხსენებების წყალობით. ჰკითხე „ჩვენი მწერლობის" რედაქტორს, ჩემი სადოქტორო დისერტაციის მესამე ოპონენტს, ჯერ კიდევ მაშინ რამდენი წამყვანი ექსპერტის რეცენზია მოვიდა ოქსფორდის, კემბრიჯის, ჰარვარდისა და სხვა უნივერსიტეტებიდან? ეს ყველაფერი თავად მისი ინიციატივით გამოქვეყნდა კიდეც საქართველოში.

მოკლედ, დოი, მე არ ვიცი, დაჯექი, მოიკალი თავი და წაიკითხე წიგნი ბოლომდე, თუნდაც ისე, როგორც გალაქტიონი იტყოდა: „ფურცლე, მონიშნე, აღარე, ჩიჩქნე". რატომ? აი რატომ: მოვითხოვ, შენი შეხედულებების სრული სურათი გამოაქვეყნო ჩემზე, ისიც არა მხოლოდ „გალაქტიონის ენიგმების" მიხედვით, არამედ აგრეთვე ჩემი იმ სხვა მონოგრაფიების მიხედვითაც, რომლებშიც გალაქტიონის კვლევა გავაგრძელე, რადგან მე ერთიანად მინდა გაგებინო ყველაფერზე პასუხი. ამავე დროს, მე მოვითხოვ, რომ შენს ნაცოდვილართან ერთად, აუცილებლად იმავე ტომში, სრულად გამოქვეყნდეს წინამდებარე წერილი. იურიდიული განმარტება ამას აქ არ ჭირდება!

„გალაქტიონოლოგიის" პირველივე ტომის ბოლოს, ცალკე გვერდზე განცხადებაა, სადაც ითხოვ მოგაწოდონ ფოტოები და ცნობები გალაქტიონის შესახებ, — „ვინც პირადად იცნობდა ან გადმოცემით იცის რაიმე მასზე." ვიმეორებ! „გადმოცემით იცის რაიმე მასზე!" ე. ი. ჭორები, მონაგონები, დაჩემებები და ა. შ. და ა. შ., რაც ნიშნავს არაზუსტ და გადაუმოწმებელ ინფორმაციას. დოი, რატომ ერთი სიტყვაც არ დაგცდა ამ განცხადებაში პოეტის შემოქმედების მეცნიერულ გამოკვლევებზე? გაერთე შენს „ფუს-ფუსში" და დაგავიწყდა პოეტის შეგონება, რომ გალაქტიონოლოგია მეცნიერება უნდა იყოს?

სხვამ, ჩემსავით იუმორით აღსავსემ, რომ წაიკითხოს ეგ შენი განცხადება, „გალაქტიონის კვლევის ცენტრი" რომ მსხვილად აწერია, არ გეტყვის, იმ ერთი ქართული ფილმის არ იყოს, „მალიარი ხარ, ბიჭო?!"

აქედან გამომდინარე, კოლეგებთან ვიმსჯელე და მივედით იმ დასკვნამდე, რასაც ახლა ვაცხადებ საჯაროდ:

**შეიქმნა „დოის შემსწავლელი შტაბი". შტაბი გეგმავს ბროშურების სერიულ გამოცემას, რომლის მიზანია დოის მხილება! მსურველებს შეუძლიათ მოგვაწოდონ კრიტიკული წერილები, დოის ირგვლივ არსებული დოკუმენტაცია და ფოტო მასალა, აგრეთვე საკუთარი შთაბეჭდილებები, მაგრამ არავითარ შემთხვევაში სხვისი ნაამბობის მიხედვით. გამოცემის ხარჯებს შტაბი გაიღებს.**

დოი, კიდევ ერთი მარტივი შეკითხვა მაქვს: რაც თავი მახსოვს, გალაქტიონზე წერ. ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ რაღაც გესმის და ამიტომ წერ. ახლა ეს მითხარი, რაც შენ გესმის, სხვასაც ზუსტად ამდენი ესმის, თუ ეს შენ ითხოვ, რომ ყველას ერთი დონით უნდა გვესმოდეს გალაქტიონი, თან ზუსტად იმ დონით, შენ რომ გესმის? თუ ასეა საქმე, ხომ უნდა დაასაბუთო, თუნდაც მარტივი მსჯელობით. რატომ არ აკეთებ?

გალაქტიონს აქვს ასეთი სტრიქონები:

ან, როგორც ასომთავრულს,
მუდამ შევამჩნევ ცაზე,
სხვისთვის უხილავ-ფარულს,
მე რად გელოდი ასე.

თავად გალაქტიონისთვის ამ ცაზე უხილავის შემჩნევა „ძიება და გამოვლინება" იყო, თუმც გალაქტიონს არ უთქვამს, უხილავს მარტო მე ვამჩნევო. მან იცოდა, რომ ამას არაერთი დიდი ამჩნევდა და ყოველი მათგანი ახალ სამყაროს აღმოაჩენდა. გალაქტიონი არც იმას ამბობს, ყველასთვის უხილავ-ფარულს ვამჩნევო, არამედ „სხვისთვის უხილავ-ფარულსო" და ამ „სხვებში" აუცილებლად შენც იგულისხმები, მაგრამ არა მთელი საქართველო... ვაჟა ამას ასე იტყოდა: „ვისაც თვალები ხილვად აქვს და არა დასახუჭადაო".

რად დაგეხუჭა თვალები? ახლა რომც გაახილო, „იქნება გვიან", და ამდენად, ვის, თუ არა შენ, ანათემასავით აგდევნებია ეს სტრიქონები:

გაახელ თვალებს — იქნება გვიან,
დახუჭავ, მაინც ცა არ ენთება...
იარე, კაცი შენ აღარ გქვიან,
შენთვის არასდროს არ გათენდება.

დოი, რამდენჯერ მიფიქრია, ეს ზედმეტი სახელი „დოი-დოი" რატომ შეირქვათქო? სახელს მაგიური ძალა აქვს! ნომინაციის ფილოსოფიასა და თეორიაში წიგნებს არ წაიკითხავდი. როგორც ჩანს, არც არავინ გაგაფრთხილა.

ჰოდა, თუ გალაქტიონის „მიგნებები" არ გამოგდის, წადი და ის საქმე აკეთე, რაზეც შენი სახელი მიგანიშნებს. განა შინაური ფრინველის მოვლა-პატრონობა ურიგო საქმეა?! ი. გრიშაშვილს „ქალაქურ ლექსიკონში" ეგ არ ექნება, რადგან ძირითადად რურალური საქმიანობაა, მაგრამ არნოლდ ჩიქობავას რვატომეულის III ტომში (1953ძ 1203-ე გვერდზე წერია, რომ „დოი-დოი" — „ბატების დაძახებას" ნიშნავს და, ამდენად, საშიშიც არაფერია...

ისე, კაცმა რომ თქვას, რისთვის დაიტეხე ეს ქარიშხალი? შეგაწუხა ვინმემ? დავწერე სადმე შენზე აუგი? გამოვაცხადე სადმე, გალაქტიონის ცენტრს ვინც ხელმძღვანელობს, გალაქტიონის გაგებაში არ არისთქო? განა ასე როგორ შეგეშინდა, რომ შიშისგან პირდაპირ ხაფანგში შევარდი? ჩვეულება რჯულზე უარესიაო! რამდენი ათეული წელია ხალხს სდევნი და აზრის გამოთქმას უკრძალავ. ხომ ასეა, შე მშიშარა პატარა ტერორისტო?

რისთვის იწვალე და მოამზადე სამგვერდიანი წერილი? (ძირითადად მ. კვესელავასი და ჩემი ციტატებით გაჯერებული.ძ გაირკვა, რომ მე ვერაფერი მომიძებნე, შენ კი იმდენი, იმდენი შეცდომა დაუშვი, რომ ამხელა წერილშიც ვერ ჩავტიე.

რაც შეეხება ჩემთან შებრძოლებას, ამასაც აზრი დაკარგული აქვს, რადგან გასაღები ნაპოვნია!

გალაქტიონის ენიგმები გახსნილია!



**ინესა მერაბიშვილი,**
**ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ბაირონის საერთაშორისო ასოციაციის დირექტორთა საბჭოს ნამდვილი წევრი, საქართველოს ბაირონის საზოგადოების პრეზიდენტი, თბილისის ბაირონის სკოლის დირექტორი, საერთაშორისო ელჩის ორდენის კავალერი (HE)**

***P. S. ჟურნალ „ჩვენი მწერლობის" რედაქციას ნებას ვრთავ, წინამდებარე წერილი დაუყოვნებლივ გამოაქვეყნოს უცვლელად, რათა აღასრულოს თავისი მოვალეობა.***

***ი. მ.***

ფეხბურთი

# სასიამოვნო პარალელები

**უახლესი ქართული სპორტის მატიანეს ამშვენებს თარიღი, როცა ჩვენი ქვეყნის ეროვნულმა ნაკრებებმა თანამემამულენი წყვილი გამარჯვებებით გაახარეს. ესაა 1995 წლის 11 ოქტომბერი. მაშინ „ჯვაროსანმა“ კალათბურთელებმა თბილისის სპორტის სასახლეში ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო რაუნდის მატჩი ბოსნიელებს მოუგეს – 77:66, ხოლო ფეხბურ-**



**თელებმა „დინამოს“ სტადიონზე „მუნდიალის“ შესარჩევ შეხვედრაში წინა მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი ბულგარეთის გუნდი დაამარცხეს – 2:1.**

და აი, გამოხდა ხანი და ისტორია განმეორდა. ამჯერად დღესასწაული ახალგაზრდულმა და მთავარმა ნაკრებებმა გაგვითენეს, რომლებმაც ესტონელებს, შესაბამისად, „ევრო-2011“-ის წინასწარი ეტაპისა და ამხანაგურ ბრძოლებში სძლიეს – 2:0 (ბარაბაძე, ანანიძე) და 2:1 (კობიაშვილი – პენალტით, სირაძე; პიურეძ.

ამ გამარჯვებით ოთარ გაბელიას შეგირდებმა კონტინენტური ფორუმის ფინალურ ტურნირში გასვლის შანსი შეინარჩუნეს, რანგით უფროსებმა კი ახალ თავკაცს თემურ ქეცბაიას დებიუტი გაულამაზეს.

როცა ოთხშაბათის ბატალიებზე ვსაუბრობთ, ვფიქრობთ, ხაზგასასმელია რამდენიმე პარალელი. კერძოდ, თითქოს პირი შეკრესო, ორივე ნაკრებმა გოლები პირველი და მეორე ტაიმების უკანასკნელ წუთებზე გაიტანა, რაც, დაგვეთანხმებით, მათ ბრძოლისუნარიანობაზე მეტყველებს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბარაბაძემ და სირაძემ ზუსტი დარტყმები თავით შეასრულეს, ეს კი, მოგეხსენებათ, საიერიშო ოპერაციების ერთ-ერთი საკვანძო შემადგენელი კომპონენტია.

გასაგები მიზეზის გამო, ორიოდე სიტყვას დამატებით დიდუბეში თავსხმა წვიმაში გამართულ



ეროვნული გუნდების დუელს შევაწევთ. მიგვაჩნია, რომ ასათიანისა და გოგუას დაბრუნებით ჩვენებურთა პოტენციალი გაიზარდა, თუმცა ისიც შეინიშნებოდა, რომ ბიჭები ტაქტიკურად გაუმჯობესებული სქემით ირჯებოდნენ და თანდათან მაშინ მოუმატებენ, როცა უცხოურ კლუბებში ოპტიმალურ კონდიციებს მიაღწევენ.

ამავე დროს, არის დამაფიქრებელი გარემოებაც. ვგულისხმობთ მსაჯის მასპინძლებისადმი გამჟღავნებულ სიმპათიებს და რიცხვნაკლული ბალტიისპირელი მეტოქეების სამაღლო ძლევას.

ვიმედოვნებთ, თემური და მისი რაზმი მომავალში უფრო მეტად მოუფრთხილდებიან მრავალრიცხოვან გულშემატკივართა ნერვულ სისტემას.

**აქვე გაუწყებთ იმავე დღეს გამართული საინტერესო ამხანაგური მატჩების შედეგებსაც:** გერმანია – არგენტინა 0:1, ბრაზილია – ირლანდია 2:0, საფრანგეთი – ესპანეთი 0:2, ინგლისი – ეგვიპტე 3:1, იტალია – კამერუნი 0:0, ჰოლანდია – აშშ 2:1, უნგრეთი – რუსეთი 1:1, თურქეთი – ჰონდურასი 2:0.

კალათბურთი

# გასროლა ზაგრებში

**ზაგრების „ციბონამ“, „პანათინაიკოსის“ მსგავსად, ევროლიგის II ჯგუფური ეტაპი ოთხი წაგებით დაიწყო და პლეი-ოფში გასვლაზე ოცნებას დაემშვიდობა.**

ასეთმა ფიასკომ ხორვატთა თავმოყვარეობა, ეტყობა, მეტისმეტად შელახა. სხვა რამეს ძნელია მივაწეროთ ის თავგანწირვა, რომლითაც ბალკანელებმა საკუთარ დარბაზში მოსკოვის ოლქის „ხიმკისთან“ იბრძოლეს. შეხვედრის შედეგი – 82:63 მასპინძელთა სასარგებლოდ, დაგვეთანხმებით, მრავლისმეტყველია, ამან კი, უპირველესად, რუსული კლუბი დააზარალა – მან მორიგ ეტაპზე გაღწევის ყველა შანსი დაკარგა.

მერვედფინალში ომახიანად შეაბიჯა კატალონიის „ბარსელონამ“, რომელმაც საბერძნეთში სეზონის აღმოჩენას – „მარუსის“ გამოუყვანა წირვა – 85:58. შედარებით გაუჭირდა ცსკას, თუმცა ესპანეთში „უნიკახასთან“ უმნიშვნელოვანესი შეხვედრის მოგება არმიელებმა მაინც მოახერხეს – 76:70. რაც შეეხება „;ჟალგირისისა“ და „პროკომის“ მატჩს, ლიტველებმა ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვეს – 93:88 და ტოპ – 16-ში მოხვედრის მინიმალური შანსი შეინარჩუნეს.

**V ტურის დანარჩენი თამაშები წუხელ გვიან ღამით დასრულდა.**



ჭადრაკი

# რიეკაში გამგზავრების წინ

**ხვალ ხორვატეთის ქალაქ რიეკაში მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა ევროპის ჩემპიონატები იწყება, რომლებშიც საქართველოს 25 წარმომადგენელი იასპარეზებს. შეჯიბრებაზე გამგზავრების წინ მანდილოსნებმა თბილისის ჭადრაკის სასახლეში დედის დღისადმი მიძღვნილ ბლიცტურნირში მოსინჯეს ძალები. საპრიზო ადგილებზე გასასვლელად სულ 38 ქალბატონი იბრძოდა.** 9 შესაძლებლიდან 7 ქულით პირველი ადგილი 16 წლის საერთაშორისო ოსტატმა მარიამ დანელიამ დაიკავა. ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მეორე იყო დიდოსტატი ბელა ხოტენაშვილი. 6,5-6,5 ქულით მესამე-მეხუთე ადგილებიც დიდოსტატებმა – სოფიო გვეტაძემ, სოფიო გურამიშვილმა და ინგა ჭარხალაშვილმა გაიყვეს. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ ხუთივეს ფულადი პრიზები გადასცა.



დაფასება

# ანანიძე — ქომაგთა რჩეული

**გაზეთი „მსოფლიო სპორტი“ საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად SMS-გამოკითხვას 2006 წლიდან ატარებს. მაშინ საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა ლევან ცქიტიშვილმა გაიმარჯვა. მომდევნო ორი წლის განმავლობაში პირველი იყო ეროვნული გუნდისა და სერბეთის „ვოივოდინას“ ფეხბურთელი გიორგი მერებაშვილი.** 2009 წლის რეფერენდუმის შედეგებით ყველას მოსკოვის „სპარტაკის“ ნახევარმცველმა ჯანო ანანიძემ აჯობა. ოთხშაბათს მან საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების შემადგენლობაში ესტონელ თანატოლთა წინააღმდეგ ითამაშა და გოლიც გაიტანა. მატჩის შემდეგ „მსოფლიო სპორტის“ რედაქციაში მიიწვიეს და სპეციალური პრიზიც გადასცეს. ჩვენი გაზეთის მკითხველებისთვის ჯანო ანანიძესთან საუბრის შემოთავაზებაც გვინდოდა, მაგრამ ქართველი ფეხბურთელი ჯერ 18 წლის არ არის და კლუბის ხელმძღვანელობისგან მასმედიისთვის ინტერვიუს მიცემა აკრძალული აქვს.

საგულისხმოა ისიც, რომ ანანიძის პირველ მწვრთნელს მერაბ მჟავანაძეს „მსოფლიო სპორტმა“ ერთი წლის განმავლობაში 150 ლარის ოდენობის ყოველთვიური სტიპენდია დაუნიშნა.



**სურათზე: ჯანო ანანიძე „მსოფლიო სპორტის“ პრიზით.**
**ვაჟა დანელიას ფოტო.**

ოლიმპიადის ექო

# ყველაზე ტიტულოვანნი

**ვანკუვერში ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ყველაზე ტიტულოვანი ათლეტები გახდნენ ნორვეგიელი მარიტ ბიორგენი (სათხილამურო რბოლაძ და ჩინელი ვან მენი (შორტ-ტრეკიძ. ორივე ქალბატონმა სამ-სამი ოქროს მედალი მოიპოვა.**

ჩინელმა გაიმარჯვა 500-მეტრიან და 1000-მეტრიან დისტანციებზე, აგრეთვე ესტაფეტაში. ნორვეგიელი კი პირველი იყო ინდივიდუალურ სპრინტში, დუატლონში 15 კილომეტრზე და ესტაფეტაში 4X5 კმ. ბიორგენის აქტივშია აგრეთვე თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებიც. სულ 5 მედალი.

ორ-ორი ოქროს მედალი კანადიდან წაიღეს ნორვეგიელებმა პეტერ ნორტიუნგმა (სათხილამურო რბოლა. მას „ვერცხლიც“ და „ბრინჯაოც“ აქვსძ და ემილ ჰაგლე სვენდსენმა (ბიატლონიძ, გერმანელებმა მარია რიშმა (სამთო-სათხილამურო სპორტიძ და მაგდალინა ნოირესმა (ბიატლონიძ, კანადელმა ჩარლზ ჰემლინმა (შორტ-ტრეკიძ, შვეიცარიელმა სიმონ ამანმა (ტრამპლინიდან ხტომაძ, ჩეხმა მარტინა საბლიკოვამ (საციგურაო სპორტიძ, სამხრეთ კორეელმა ჯუნ სუ ლიმ (შორტ-ტრეკიძ.



ასე რომ, მედლების საერთო რაოდენობით ლიდერები არიან ნორვეგიელი მოთხილამურეები პეტერ ნორტუნგი (4ძ და მარიტ ბიორგენი (5ძ.

ინტერნეტიდან

## ფეხბურთის ფორმა ბოთლებიდან?

**ლონდონში კომპანიამ Nike წარადგინა ფეხბურთში 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილე ეროვნული ნაკრებების ფორმა, რაც დამზადებულია პლასტმასის ბოთლებიდან. ასე რომ, ამ ზაფხულს ბრაზილიის, პორტუგალიის, ჰოლანდიის, აშშ, სამხრეთ კორეის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, სერბეთისა და სლოვენიის ნაკრებები სამხრეთ აფრიკის სტადიონებზე გავლენ ეკოლოგიურად ყველაზე სუფთა ფორმებით ფეხბურთის მთელს ისტორიაში.**



ფეხბურთის ფორმების საწარმოო პროცესში შედის სანაგვეებზე ბოთლების შეგროვება, მათი გარეცხვა-გასუფთავება, ეტიკეტების მოშორება და დამსხვრევა. მიღებულ მასას ადნობენ, ძაფად გარდაქმნიან, რომლისგანაც შემდეგ ამზადებენ მაისურებს. გაუხსნადი მასალის გადამუშავება ზოგავს ძვირფას ნედლეულს და ამცირებს გამოყენებულ ენერგიას.

კომპანიის შეფასებით, ეროვნული ნაკრებების მაისურების ახალი ხაზისთვის საჭიროა მეორედ გადასამუშავებელი 13 მილიონი პლასტმასის ბოთლი (დაახლოებით 254 ტონა პოლიესტერის ნარჩენიძ.

ფორმას გააჩნია ბევრი თავისებურება, – ამტკიცებენ დამამზადებლები, ის შთანთქავს მეტ ნესტს, ატარებს მეტ ჰაერს, უზრუნველყოფს მეტ კომფორტს და იწონის 13 პროცენტით ნაკლებს. ეს მასალა ნესტს აძლევს სწრაფი აორთქლების საშუალებას, მაისურებსა და შორტებზე გვერდითი სავენტილაციო ზონები არსებითად ზრდიან ჰაერის ცირკულაციას და აგრილებენ მოთამაშეებს.

დანარჩენი კი ალბათ მინდორზე გამოჩნდება.

## მთელი ცხოვრება ეყვარება?

**ახალი საყვარელი გაიჩინა რუმინეთის ნაკრებისა და კლუბ „შტუტგარტის“ ფეხბურთელმა ჩიპრიან მარიკამ – მოდელი ილინკა ვანდიჩი.**

ადრე ხმამაღლა ლაპარაკობდნენ ფეხბურთელისა და პორნოვარსკვლავის ჯინა პისტოლის ურთიერთობაზე, მაგრამ, როგორც რუმინული პრესა იტყობინება, ისინი ახლახან დაშორდნენ ერთმანეთს.

ფეხბურთელის ახალ საყვარელზე ბევრი რამ როდია ცნობილი, თუმცა მას ილებდნენ ბევრი გამოცემისთვის, მაგრამ ძალზე მორიდებულობით გამოირჩევა ჯინასთან შედარებით. თუმცა მასთან შედარებით ლამაზმანი ძალზე სანდომიანად გამოიყურება.

„იმედი მაქვს, რომ მარიკა მთელი ჩემი სიცოცხლის სიყვარული იქნება“, – განაცხადა ილინკამ.

თავად ფეხბურთელს კი მათ ურთიერთობაზე კომენტარი არ გაუკეთებია.



## ორი ახალი წიგნის ხიბლი

### გიორგი ნაჭყებია — „ჩემი ცხოვრების ქრონიკები“

**მისი თაობის ადამიანები, „კომუნიზმის მშენებლები“, აქა-იქ შემორჩნენ... მიდის თაობა, რომელსაც გულზე ეხატა ენთუზიაზმი, პარტიის დაძახილზე — დაუღლელი შემართება და მასების აყოლიებაც, იმ დრომ, სხვათა შორის, ყველა წარმოაჩინა, ზოგი პატრიოტად, ზოგი მედროვედ...**

მაგალითად, ბატონი **გიორგი ნაჭყებია,** ავტორი ახლახან გამოსული მოგონებების წიგნისა **„ჩემი ცხოვრების ქრონიკები“** იმ პიროვნებად დატოვა, როგორიც ის წამოვიდა მშობლიური წალენჯიხის რაიონიდან, როგორიც შვა და აღზარდა თავისმა დედ-მამამ (თუმცა, რეპრესირებულმა მშობლებმა ხეირიანად ვერც მოასწრეს მისი აღზრდაძ, მერე კი შეეჭიდა ცხოვრების ქარტეხილებს და, რაც შეძლო, თავისი სწავლა-განათლება, ცხოვრებისეული გამოცდილება საბჭოთა საქართველოს უკეთესი დღეების გათენებას მოახმარა.




...ბატონი გიორგის ეს 600-გვერდიანი წიგნი უზარმაზარი პანორამაა საბჭოთა საქართველოს 50-იანი, 60-იანი, 70-იანი წლებისა... აქ ილანდება ბავშვობა — ლაღი, მაგრამ ნაღვლიანი, აქ ვეცნობით მის პირველ ნაბიჯებს დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე — წალენჯიხის რაიონული გაზეთის რედაქციაში მუშაობა, პირველი ლექსები, ოცნებები...

მერე კომკავშირის რაიკომში დაწინაურება, მერე სწავლა უმაღლეს პარტიულ სკოლაში... ასე ნაბიჯ-ნაბიჯ ჩაბმა ცხოვრების ფერხულში... მერე პარტია, მერე პარტიის ცეკას გაზეთი „კომუნისტი“...

...მე სწორედ ამ გაზეთში გავიცანი გიორგი ნაჭყებია. იგი მაშინ იყო მარქსისტულ-ლენინური პროპაგანდის განყოფილების გამგე. როგორც ხედავთ, ასეთ კაცს სულ „თქვენობით“ უნდა დავლაპარაკებოდით კოლეგები, მაგრამ ბატონი გიორგი სხვა კაცი იყო — შესანიშნავ გარეგნობას შესაშური სულიერი თვისებები შეერწყმოდა და იგი მაგალითსაც კი იძლეოდა უბრალო ადამიანური ურთიერთობებისთვის. მერე მშობლიურ რაიონში რაიკომის პირველ მდივნად გაუშვეს ბატონი გიორგი. ეს ის დროა, ენგურჰესის მშენებლობა ძალას რომ იკრებს და ეს ყოველივე მოსკოვის ყურადღების ცენტრშიც კია.

მოგონებათა წიგნში დაწვრილებით მოგვითხრობს ბატონი გიორგი ენგურჰესის მშენებლობის პერიპეტიებზე, იმ ადამიანებზე, რომლებიც შრომითი გმირობის მაგალითებს იძლეოდნენ...

წავიკითხე წიგნი და უცებ რამაც გამაკვირვა ეგ იყო, საიდან დაამახსოვრდა ეს ყოველივე 80-ს გადაცილებულ კაცს. იქნებ, ინიშნავდა?.. იქნებ, დღიურებს წერდა?.. არა და, არაო, ბატონმა გიორგიმ. იმ ადამიანებს, იმ მოვლენებს, იმ სიხარულსა და ჭირ-ვარამს, რაც ჩვეულებრივი მოკვდავის თავზე ტრიალებს ხოლმე, რა ჩამოთვლის, გიორგი ნაჭყებიას ყველასთვის და ყველაფრისთვის მისაგებელი მიუგია და საბჭოთა საქართველოს ისტორიის ქარტეხილებში ჩაბმულ მესიტყვეს, „პარტიულ მუშაკს“, სამაგალითო მეუღლეს, მამას, ბაბუას, გაბედულად მოუხედავს უკან, რამეთუ მას არც წარსულის, არც მომავლის არ ეშინია...

### ნუგზარ წერეთელი — „ქვების სროლის ჟამი“

**იყო დრო, მკითხველი პოეტ ნუგზარ წერეთელს იცნობდა — მის ლექსს, მის ნიჭიერებას აქებდა, მერე, ნელ-ნელა ნუგზარი პროზაშიც გადავიდა — დაწერა შესანიშნავი მოგონება თავისი ნაადრევად დაღუპული ძმაკაცის გურამ რჩეულიშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე — „მე დღესაც ოცდაექვსი წლისა ვარ“, ხოლო, ავკაცების თავდასხმისგან რომ კინაღამ საწუთროს გამოესალმა, ავადმყოფს საწოლში დრო ბევრი ჰქონდა და პროზას „შეეჩვია“ — ავტობიოგრაფიული — „სიკვდლი ოცდაათ ლარად“ დაწერა, მას კი თითქმის ექვსასგვერდიანი რომანი „დაუსრულებელი ზამთარი“ მიაყოლა და მისი ნიჭის თაყვანისმცემლებს სასიამოვნო მოულოდნელობად ალაქმევინა...**




და აი, ახლახან, გამოვიდა ნუგზარ წერეთლის ახალი რომანი **„ქვების სროლის ჟამი“,** რომელიც გაგრძელებაა „დაუსრულებელი ზამთრისა“ და უფრო სრულყოფილად გვაცნობს რომანის მთავარი გმირის ირგვლივ დატრიალებულ ცხოვრებისეულ პერიპეტიებს. რომანი „ქვების სროლის ჟამი“ ჩვენი უმძიმესი ისტორიის, საბჭოთა კავშირის, ანუ უნაპიროდ არეულ-დარეული რუსეთის ბატონობის ბოლო სამ-ოთხ ათეულ წელსა და მასში მთავარი მოქმედი გმირის გიგა მაჩაბლის დაუდგრომელ ცხოვრებაზე მოგვითხრობს, და, როგორც ბოლო სიტყვაში, მწერალი გვპირდება, ამ თემას რომანის მესამე წიგნში გააგრძელებს.

ღმერთმა ხელი მოუმართოს ბატონ ნუგზარ წერეთელს, რომელსაც ახლახან 75 წელი შეუსრულდა და მისგან კვლავაც ახალ-ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს მოველით.

— ლექსი ხომ არ დაივიწყე, წერეთელო? — ვეკითხები.

— გეკადრება?.. მალე ლექსების ახალ წიგნსაც მოგაწვდით.

**ვილენ მარდალეიშვილი**


## ა უ ქ ც ი ო ნ ი

## მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობებზე 36 ლოტად

**I. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 200 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი № 72.08.21.859).

**II. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 250 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი № 72.08.21.860).

**III. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 200 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი № 72.08.21.861).

**IV. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 250 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი № 72.08.21.862).

**V. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 250 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი № 72.08.21.863).

**VI. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 200 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი № 72.08.21.864).

**VII. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 74987 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი № 72.08.21.865).

**VIII. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 150 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი № 72.08.21.866).

**IX. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 200 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი № 72.08.21.867).

**X. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 311 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი № 72.08.21.824).

**XI. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 350 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი № 72.08.21.825).

**XII. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 155 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი № 72.08.21.826).

**XIII. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 246 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი № 72.08.21.827).

**XIV. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 111 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი № 72.08.21.828).

**XV. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 111 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი № 72.08.21.829).

**XVI. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 105 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი № 72.08.21.830).

**XVII. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 105 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი № 72.08.21.831).

**XVIII. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 102 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი № 72.08.21.832).

**XIX. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 108 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი № 72.08.21.834).

**XX. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 303 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი № 72.08.21.835).

**XXI. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 305 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი № 72.08.21.836).

**XXII. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 178 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი № 72.08.21.837).

**XXIII. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 155 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი № 72.08.21.838).

**XXIV. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 259 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი № 72.08.21.841).

**XXV. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 347 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი № 72.08.21.842).

**XXVI. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 366 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი № 72.08.21.844).

**XXVII. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 366 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი № 72.08.21.845).

**XXVIII. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 351 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი № 72.08.21.847).

**XXIX. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 305 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი № 72.08.21.848).

**XXX. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 320 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი № 72.08.21.849).

**XXXI. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 178 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი № 72.08.21.850).

**XXXII. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 259 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი № 72.08.21.851).

**XXXIII. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 246 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი № 72.08.21.852).

**XXXIV. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 347 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი № 72.08.21.853).

**XXXV. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 365 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი № 72.08.21.854).

**XXXVI. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 320 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი № 72.08.21.856).

**საწყისი გასაყიდი ფასია: 1 $მ^2$ – 8,60 (რვა ლარი და 60 თეთრი) ლარი.**

**აუქციონის ბიჯი შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის – 10%-ს**
**აუქციონის მონაწილის ბილეთის ფასი შეადგენს – 50 ლარს**
**აუქციონის „ბე“ შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის - 20 %-ს.**

აუქციონი ჩატარდება გამოცხადების დღიდან ოცდამეათე კალენდარულ დღეს, დღის 12 საათზე მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, მისამართი: ქ. მცხეთა, დ.აღმაშენებლის ქ. № 73.□აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწყება გაზეთში გამოქვეყნების დღიდან და გრძელდება 30-ე კალენდარული დღის 12 საათამდე. თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადებების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს იმავე საათზე.

ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ, ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს აუქციონით გამოცხადებულ გასაყიდ ქონებას.

აუქციონში მონაწილეობის მიღებისათვის, საჭიროა ფიზიკურმა პირმა პირადობის მოწმობასთან ერთად წარმოადგინოს „ბე“-ს და ბილეთის გადახდის ქვითარი, ხოლო იურიდიულმა პირმა მასთან ერთად სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, მყიდველი მიიღებს მონაწილის ბილეთს და მხოლოდ ამის შემდეგ მიენიჭება მონაწილის სტატუსი..

„ბე“-ს და ბილეთის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე: მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საიდ.კოდი 236094196 ანგ. № 33030024 სახალხო ბანკი, ბანკის კოდი 220101415

**მისამართი და საკონტაქტო ტელეფონები: ქ.მცხეთა, დ.აღმაშენებლის ქ.№ 73. ტელ 8(27-32) 51-27-27, 899 22-65-33, 899 34-50-85.**

**მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.**

## ა უ ქ ც ი ო ნ ი

### მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ მიწის ფართობებზე 23 ლოტად

1. მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ნატახტარში მდებარე 715.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №72.03.26.333.) საწყისი გასაყიდი ფასი 1 კვ.მ. – 23,10 (ოცდასამი ლარი და 10 თეთრი) ლარი;

2. მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ნატახტარში მდებარე 380.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №72.03.26.334.) საწყისი გასაყიდი ფასი 1 კვ.მ. – 23,10 (ოცდასამი ლარი და 10 თეთრი) ლარი;

3. მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ნატახტარში მდებარე 559.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №72.03.26.335.) საწყისი გასაყიდი ფასი 1 კვ.მ. – 23,10 (ოცდასამი ლარი და 10 თეთრი) ლარი;

4. მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ნატახტარში მდებარე 1059.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №72.03.26.336.) საწყისი გასაყიდი ფასი 1 კვ.მ. – 23,10 (ოცდასამი ლარი და 10 თეთრი) ლარი;

5. მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ნაოზაში მდებარე 1551.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №72.03.10.313.) საწყისი გასაყიდი ფასი 1 კვ.მ. – 23,10 (ოცდასამი ლარი და 10 თეთრი) ლარი;

6. მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ნაოზაში მდებარე 3873.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №72.03.10.312.) საწყისი გასაყიდი ფასი 1 კვ.მ. – 23,10 (ოცდასამი ლარი და 10 თეთრი) ლარი;

7. მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ნაოზაში მდებარე 7019.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №72.03.10.311.) საწყისი გასაყიდი ფასი 1 კვ.მ. – 23,10 (ოცდასამი ლარი და 10 თეთრი) ლარი;

8. მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ნაოზაში მდებარე 10042.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №72.03.12.314.) საწყისი გასაყიდი ფასი 1 კვ.მ. – 23,10 (ოცდასამი ლარი და 10 თეთრი) ლარი;

9. მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ნაოზაში მდებარე 2586.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №72.03.10.310.) საწყისი გასაყიდი ფასი 1 კვ.მ. – 23,10 (ოცდასამი ლარი და 10 თეთრი) ლარი;

10. მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ნაოზაში მდებარე 17704.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №72.03.10.309.) საწყისი გასაყიდი ფასი 1 კვ.მ. – 23,10 (ოცდასამი ლარი და 10 თეთრი) ლარი;

11. მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ მისაქციელში მდებარე 1741.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №72.03.22.338.) საწყისი გასაყიდი ფასი 1 კვ.მ. – 23,10 (ოცდასამი ლარი და 10 თეთრი) ლარი;

12. მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ მისაქციელში მდებარე 2498.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №72.03.21.335.) საწყისი გასაყიდი ფასი 1 კვ.მ. – 23,10 (ოცდასამი ლარი და 10 თეთრი) ლარი;

13. მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ მისაქციელში მდებარე 5893.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №72.03.19.323.) საწყისი გასაყიდი ფასი 1 კვ.მ. – 23,10 (ოცდასამი ლარი და 10 თეთრი) ლარი;

14. მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ მისაქციელში მდებარე 6104.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №72.03.22.339.) საწყისი გასაყიდი ფასი 1 კვ.მ. – 23,10 (ოცდასამი ლარი და 10 თეთრი) ლარი;

15. მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ნატახტარში მდებარე 485.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №72.03.26.341.) საწყისი გასაყიდი ფასი 1 კვ.მ. – 23,10 (ოცდასამი ლარი და 10 თეთრი) ლარი;

16. მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ნატახტარში მდებარე 859.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №72.03.26.340.) საწყისი გასაყიდი ფასი 1 კვ.მ. – 23,10 (ოცდასამი ლარი და 10 თეთრი) ლარი;

17. მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ნატახტარში მდებარე 1270.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №72.03.26.339.) საწყისი გასაყიდი ფასი 1 კვ.მ. – 23,10 (ოცდასამი ლარი და 10 თეთრი) ლარი;

18. მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ნატახტარში მდებარე 2183.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №72.03.26.338.) საწყისი გასაყიდი ფასი 1კვ.მ. – 23,10 (ოცდასამი ლარი და 10 თეთრი) ლარი;

19. მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ნატახტარში მდებარე 269.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №72.03.26.337.) საწყისი გასაყიდი ფასი 1 კვ.მ. – 23,10 (ოცდასამი ლარი და 10 თეთრი) ლარი;

20. მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანში მდებარე 250.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი (საკადასტრო კოდი: №72.08.21.881) საწყისი გასაყიდი ფასი 1 კვ.მ. – 8,60 (რვა ლარი და 60 თეთრი) ლარი;

21. მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. მცხეთაში, სამხედროს ქუჩაზე მდებარე 132.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი (საკადასტრო კოდი: №72.07.04.750) საწყისი გასაყიდი ფასი 1 კვ.მ. – 27,2 (ოცდაშვიდი ლარი და 20 თეთრი) ლარი;

22. მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. მცხეთაში, გამსახურდიას ქუჩის მიმდებარედ მდებარე 62.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი (საკადასტრო კოდი: №72.07.07.731) საწყისი გასაყიდი ფასი 1 კვ.მ. – 30 (ოცდაათი ლარი) ლარი;

23. მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. მცხეთაში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე 16.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი (საკადასტრო კოდი: №72.07.08.732) საწყისი გასაყიდი ფასი 1 კვ.მ. – 27,20 (ოცდაშვიდი ლარი 20 თეთრი) ლარი.;

**აუქციონის ბიჯი შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის – 10%-ს**

**აუქციონის მონაწილის ბილეთის ფასი შეადგენს – 50 ლარს**

**აუქციონის „ბე“ შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის – 20 %-ს.**

აუქციონი ჩატარდება გამოცხადების დღიდან ოცდამეათე კალენდარულ დღეს, დღის 12 საათზე მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, მისამართი: ქ. მცხეთა, დ.აღმაშენებლის ქ. №73. აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწყება გაზეთში გამოქვეყნების დღიდან და გრძელდება 30-ე კალენდარული დღის 12 საათამდე. თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადებების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს იმავე საათზე.

ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ, ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს აუქციონით გამოცხადებულ გასაყიდ ქონებას.

აუქციონში მონაწილეობის მიღებისათვის, საჭიროა ფიზიკურმა პირმა პირადობის მოწმობასთან ერთად წარმოადგინოს „ბე“-ს და ბილეთის გადახდის ქვითარი, ხოლო იურიდიულმა პირმა მასთან ერთად სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, მყიდველი მიიღებს მონაწილის ბილეთს და მხოლოდ ამის შემდეგ მიენიჭება მონაწილის სტატუსი.

„ბე“-ს და ბილეთის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე: მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საიდ.კოდი 236094196 ანგ. №33030024 სახალხო ბანკი, ბანკის კოდი 220101415.

**მისამართი და საკონტაქტო ტელეფონებია: ქ.მცხეთა, დ.აღმაშენებლის ქ.№73. ტელ 8(27-32) 51-27-27, 899 22-65-33, 899 34-50-85.**

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა

## ხსოვნა

# კახი პოპიაშვილი



ჩვენო ძვირფასო მეგობარო, დღეს, 5 მარტს, 56 წელი შეგისრულდებოდა, ბოლო 10 წელი, რაც ჩვენი სამეგობროს კლუბის წევრი გახდი, შენს შესანიშნავ დათუნასა და ლუკასთან ერთად შენთან გატარებული ყოველი კვირადღე საოცარი თბილი და კეთილი იყო, მით უმეტეს ლამაზ დღესასწაულებს აწყობდი შენი დაბადების დღის აღსანიშნავად. ბოლო შეხვედრისას – 28 თებერვალს გულისტკივილით წარმოსთქვი, რომ ამჯერად ამ თარიღის აღნიშვნას ვერ შეძლებდი, რადგან 10 დღის წინათ მიწას მივაბარეთ ჩვენი გამორჩეული უფროსი მეგობარი ვახტანგ ჟორდანია.

ორშაბათ ღამეს შენი გული – ბოლო ოცი წელი საქართველოს ყველა უბედურებისა და ტრაგედიის მგზნებარედ მატარებელი, მიუხედავად შენი მეგობარი ექიმების დიდი მცდელობისა, სამუდამოდ გაჩერდა, თითქოსდა პროტესტი გამოხატაო, არც ერთ საექიმო-სამკურნალო პროცედურას არ დაემორჩილა. ჩვენ კი გაოგნებულები ვუყურებთ შენ ლამაზ, მაგრამ გაქვავებულ სახეს და ვერ გაგვიგია, რატომ? შენზე უფრო ერის საქმის გამკეთებელი, ქვეყნის შენზე უფრო გულშემატკივარი, შენზე უფრო მოწესრიგებული ჩვენ ხომ არც ერთი არა ვართ, რატომ უნდა წასულიყავი? პასუხი ალბათ მხოლოდ ერთია, განგებამ ასე ინება, მის სურვილს წინ ვერავინ დაუდგება და ამიტომ ხვალ – შაბათს, 6 მარტს ულრმესი გულისტკივილით და გამორჩეული კაცური სიყვარულის გრძნობით გაგაცილებთ უკანასკნელ გზაზე და მიგაბარებთ ქართულ მიწას. შენს დიდ ოჯახს და განსაკუთრებით შენს უსაყვარლეს დედას ვუცხადებთ თანაგრძნობას და ვარწმუნებთ, რომ სანამ ჩვენ და ჩვენი შვილები იცოცხლებენ ამ ქვეყანაზე, შენი სპეტაკი ხსოვნა მუდამ იქნება ჩვენს გულებსა და გრძნობებში. მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა. მშვიდობით ჩვენო საამაყო და ძვირფასო მეგობარო.

მურად და ჯიმშერ ანჯაფარიძეები, მურმან არაბიძე, კახა არდია, გია გვაზავა, შოთა გვასალია, ნუგზარ კახიშვილი, ედიშერ და ნიკა მაჩაიძეები, მამუკა ოზოლაძე, ჯონი ყიფიანი, კოტე შენგელია, გია შერაძე, ზურაბ ჩიქოვანი, ოთარ ჭითანავა, იოსებ ხარებავა, რეზო რუხაძე, თემურ ჯანაშია.

# კახი პოპიაშვილი



სს „ინჟმშენის“ კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება კახი პოპიაშვილის გარდაცვალებას.

წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი ღირსეული, გულისხმიერი, ერუდირებული, სიკეთით სავსე, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე და მეგობრების უსაზღვრო მოყვარული, ულალატო პიროვნება.

კახი პოპიაშვილის უეცარი გარდაცვალება დიდი დანაკლისია ოჯახისთვის, საზოგადოებისა და მისი მეგობრებისთვის.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა მისი სული.

მეგობრები

---

ედუარდ შევარდნაძე მწუხარებით იუწყება სახელგანთქმული მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის ბატონ

ალეკო თავხელიძის

გარდაცვალებას.

*ე. შევარდნაძე. 3.03.2010 წელი.*

---

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ყოფილი პრეზიდენტი, აკადემიკოსი

ალბერტ (ალეკო) თავხელიძე

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახსა და ახლობლებს.

---

ზ. ფალიაშვილის სახელობის №1 ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი

თინა ზაუტაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

შვილები თამარ, ზურაბ, მამუკა ჩხაიძეები, რძალი ნათელა ბარბაქაძე, სიძე რეზო სანიკიძე, შვილიშვილები ირაკლი, ზურაბ ჩხაიძეები, მაია, ნინო სანიკიძეები, შვილთაშვილები, ცოლის ძმა ამირან გოგუაძე, დისწულები ლამარა, ციცო ანდღულაძეები, თემურ მშველიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ირაკლი კვიროსის ძე ჩხაიძე

პანაშვიდი 5, 6 III, 16 სთ. დაკრძალვა 7 III, 14 სთ. მისამართი: ნუცუბიძის II მკ/რ, III კვარტალი, 6 კორპუსი, ბ. 1.

---

შალვა ნაჭყებია და ანზორ კვარაცხელია ოჯახებით დიდი გულისტკივილით იუწყებიან სახელოვანი მამულიშვილისა და უახლოესი მეგობრის

რამაზ აბაშიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ეგული და გოგი თევდორაშვილები ოჯახებით იუწყებიან ძვირფასი ძმის

დემერ თევდორაშვილის

გარდაცვალებას.

---

სსიპ იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოხატავს ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომლის

ნანული ვაშაკიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

## გახსენება

# სერგო იასონის ძე კუპატაძე



ჩვენო ძვირფასო და საამაყო მამა! ღვთისმშობლობის დღეს დაბადებულმა წმინდა ნინოს ხსენების დღეს დაგვტოვე. ჩვენში უსაზღვრო მწუხარებამ, ხოლო სახლ-კარსა და ეზო-კარმიდამოში სიცარიელემ დაისადგურა.

ადრე გარდაცვლილი დედის მწუხარებას შენი სიცოცხლე გვიმსუბუქებდა... ამიერიდან დედაჩვენთან ერთად ზეციურ სამყაროში დამკვიდრდები.

ნათელში ამყოფოს შენი ვაჟკაცური სული ღმერთმა!

ამინ!

შენი შვილები

ელვერი, თორნიკე, რობერტი და ელზა კუპატაძეები ოჯახებით.

## მადლიერება

# მადლობა გულის გულით მკურნალებს

მიმდინარე წლის 1 თებერვალს გულის მწვავე სტენოკარდიული შეტევით მომათავსეს აკადემიკოს ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციულ ცენტრში (ქ. ქუთაისი), სადაც სასწრაფოდ, თანხის წინასწარი გადახდის გარეშე, მაღალკვალიფიციურად გამიკეთეს გულის სისხლძარღვთა სტენდირება და იხსნეს ჩემი სიცოცხლე.

გამოჩენილი გულისხმიერებისა და კეთილშობილებისთვის მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ინტერვენციონისტ-კარდიოლოგს ალექსანდრე ჩხოლარიას, ასისტენტს სპარტაკ ლეკვეიშვილს, საოპერაციო მედდას მაია დვალს, რეანიმაციის მორიგე ექიმს პეტრე სადათიერაშვილს, რეანიმაციის მორიგე ბრიგადის წევრებს ვიქტორია (ვიკა) ჩიკვილაძეს, იოლანტა კერშიტეს, ნატო ხანთაძეს, აგრეთვე ყველას, ვინც წვლილი შეიტანა ჩემი სიცოცხლის გადარჩენაში.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ, გულის გულით მკურნალებო!

**ბუთხუზ ცომაია,**
**ქ. აბაშა**

## ყველაფერი ყველაფერზე

### „თქვენ იმ მამაცის შვილი არა ხართ...?“

**ჭაბუკი დიუმა ორლეანის ჰერცოგთან (მომავალ მეფე ლუი-ფილიპესთან) მიიყვანეს, იქნებ მუშაობა დააწყებინოსო. ჰერცოგმა ორლეანელმა ჰკითხა:**

– თქვენ იმ მამაცის შვილი არა ხართ, ბონაპარტმა შიმშილით რომ მოკლა?



ჭაბუკისთვის ეს სიტყვები მოულოდნელი არა ყოფილა: მის მამას, ცნობილ გენერალს, რომელიც დაჭრილიც იყო და ტყვეობაში ნამყოფიც, ნაპოლეონი არაფრით არ დაეხმარა, პენსიაც კი არ აღირსა, რათა ოჯახს საჭმელი მაინც ჰქონოდა. ამის მიზეზი გენერლის მწარე საყვედური იყო, აქ ეგვიპტეში რატომ გადაგვკარგეო. ეს სიტყვები ნაპოლეონმა არ დაივიწყა.

ამიტომაც იყო, რომ დიუმას დამოკიდებულება იმპერატორისადმი ყოველთვის თავისებურ ხასიათს ატარებდა: თან უზარმაზარი წიგნი მიუძღვნა (რაც სულ ახლახან მიიღო ქართველმა მკითხველმაც), და ამ დროს არც თავისი გმირი, შემდეგ გასაცოდავებული მამა ავიწყდებოდა.

### ეს ადოლფ დიუმა ვილა იყო?

**თავის „ისტორიულ თეატრში“, რომელმაც რამდენიმე წელი იარსება, დიუმა დგამდა არა მარტო საკუთარ პიესებს, არამედ იმ ავტორთა ნაწარმოებებს, რომლებიც მოეწონებოდა. და აი „დედოფალ მარგოს“ დიდი წარმატების შემდეგ, რომელიღაც ავტორმა მოიტანა პიესა „ოჯახების სკოლა“, რომელსაც დიუმამ გადახედ-გადმოხედა და დადგა კიდეც.**

„ამ რომელიღაც ავტორს“, რომელსაც არავინ იცნობდა, ადოლფ დიუმა ერქვა. თავისი ნაწარმოების წარმატებამ ახალგაზრდა ავტორი ძალიან გააამაყა და რეპეტიციის დროს მან საკმაოდ გამომწვევად თქვა: „ლიტერატურის ისტორიაში დარჩება ორი დიუმა, ისევე, როგორც დარჩა ორი კორნელი“. მცირეოდენი განმარტება: 1) დიუმას შვილს, შემდეგში განთქმულ მწერალს, ამ დროისათვის არავინ იცნობდა, მამამ ისიც კი არ იცოდა, რომ იგი წერდა; 2) დიდ პიერ კორნელთან ერთად, რომელსაც „ფრანგული ტრაგედიის მამას“ უწოდებდნენ, იყო სრულიად უმნიშვნელო მწერალი, ტომა კორნელიც (1625-1709), რომლის სახელიც არავის ახსოვდა, კირკიტა ლიტერატურისმცოდნეების გარდა.

დიდ ალექსანდრე დიუმას ძალიან არ ესიამოვნა გამომწვევი რეპლიკა „ორი დიუმას“ შესახებ, მაგრამ რეპეტიციის დამთავრების შემდეგ, ადოლფ დიუმას რომ გამოეთხოვა, თითქმის თავაზიანად, მაგრამ დამცინავად უთხრა: „ნახვამდის, ტომა“. საინტერესოა, რომ ეს „ტომა“, ანუ ადოლფ დიუმაც მალე ყველამ დაივიწყა.

### არც „მაკბეტი“, არც „ჰამლეტი“

**ძნელი დასადგენიც კია, თუ რამდენი დრამატული ნაწარმოები შესთავაზა ახალგაზრდა ალექსანდრე დიუმამ (მამამ) ფრანგულ თეატრებს. ისინი იდგმებოდა ქვეყნის უმთავრეს თეატრ „კომედი ფრანსეზში“, აგრეთვე „პორტ-სენტ-მარტენში“, ლიონისა და სხვა პროვინციული ქალაქების სცენებზე და ავტორს დიდი შემოსავალიც მოუტანა. გარდა ამ პირდაპირი და უდავო წარმატებებისა, იყო ასეთი თავისებური მომენტიც: სახელოვან ავტორს „თავზე ადგებოდნენ“ ახალგაზრდა მწერლები. მათ მზამზარეული პიესები მიჰქონდათ, დიუმას თანაავტორობას სთხოვდნენ, ზოგს კი, უბრალოდ, აფიშაზე თავისი გვარის ხსენებასთან ერთად დიუმას გამოჩენაც აძლევდა ხელს. პიესების გადაკეთებაზე დიუმა კი თანხმდებოდა, თუმცა თავისი გვარის ხსენება არ უნდოდა: მას საფრანგეთის აკადემიის წევრობა სურდა და შემთხვევით თანამოკალმეებს, სადაც შეეძლო, ერიდებოდა.**

იყო მომენტიც, როცა სხვადასხვა მიზეზის გამო დიუმას საფრანგეთის თეატრებში „წყალი შეუდგა“. მაშინ მან მოინდომა „მაკბეტისა“ და „ჰამლეტის“ ადაპტაცია წარმოედგინა, ასე ვთქვათ, შექსპირის ავტორიტეტს ამოეფარა. ამას სრული მარცხი მოჰყვა: მისეული „მაკბეტისა“ და „ჰამლეტის“ ყურება არავინ ისურვა.

**მოამზადა**
**გივი გამრეკელმა**

## ინფორმაცია

### ურთიერთშელაპარაკებისას დანით დაჭრა

**სამართალდამცველებმა ადამიანის დაჭრის ფაქტზე 19 წლის გიორგი თამარაშვილი დააკავეს.**

შსს-ის ინფორმაციით, ეჭვმიტანილმა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღით ნუგზარ შერმადინი დაჭრა. შემთხვევა კასპში მოხდა. დაჭრილი რაიონის საავადმყოფოშია მოთავსებული.

დაკავებულმა დანაშაული უკვე აღიარა. საქმეს შიდა ქართლის სამხარეო პოლიცია იძიებს.

ჯი-ეიჩ-ენი

## ანეკდოტები

პარლამენტის გუშინდელი სესიის მსვლელობისას სხდომათა დარბაზში ორი შეიარაღებული ბანდიტი შეიჭრა. მათ დაგვიანებისთვის მოიბოდიშეს და თავიანთი ადგილები დაიკავეს.

* * *

თუ თავში ორი ნახევარსფერო გაქვთ, სულაც არ არის სავალდებულო, რომ ეს ტვინი იყოს.



* * *

– ტარაკნები გაწუხებთ?

– არა, ძალიან წყნარად და დელიკატურადაც კი იქცევიან.

* * *

კორუფციის მთლიანად დამარცხებას მანამ ვერ დავიჯერებ, სანამ ქვეყანაში გაყიდული კონვერტების რაოდენობა სრულად არ დაემთხვევა გაგზავნილი წერილების რაოდენობას.

## დღის კალენდარი

### 5 მარტი

ღირსისა ლეონისა, კატანელი ეპისკოპოსისა, სასწაულმოქმედისა (785); მღვდელმოწამისა სადოკისა, სპარსელი ეპისკოპოსისა, და მისთანა 128-თა მოწამეთა (330); ღირსისა აღათონ რომის პაპისა (682); ღირსისა ბესარიონ ეგვიპტელისა, სასწაულმოქმედისა (IV-V); ღირსისა პლოტინესი; ღირსისა კინდეოსისა, პისიდიის ეპისკოპოსისა; ღირსისა დედისა მილდრედისა ბრიტანეთიდან (700).



ამოდის 06.30
ჩადის 17.56



ამოდის 13.59
ჩადის 08.37

### დაიბადნენ:

**1512 – ჰერარდ მერკატორი,** ფლამანდიელი კარტოგრაფი, ყველაზე გავრცელებული კარტოგრაფიული პროექციის ავტორი. გარდაიცვალა 1594 წელს.

**1856 – მიხაილ ვრუბელი,** რუსი მხატვარი. გარდაიცვალა 1910 წელს.

**1922 – პიერ პაოლო პაზოლინი,** იტალიელი კინორეჟისორი, სცენარისტი. მოკლეს 1975 წელს.

**1928 – გაბრიელ გარსია მარკესი,** კოლუმბიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

**1931 – თამაზ ჭილაძე,** მწერალი, რუსთაველისა და ილია ჭავჭავაძის პრემიების ლაურეატი.

**1932 – ნოდარ წულეისკირი,** მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

### გარდაიცვალნენ:

**1534 – ანტონიო კორეჯო,** იტალიელი ფერმწერი.

**1827 – ალესანდრო ვოლტა,** იტალიელი ფიზიკოსი.

**1859 – პიერ სიმონ ლაპლასი,** ასტრონომი, ფიზიკოს-მათემატიკოსი.

**1895 – ნიკოლაი ლესკოვი,** რუსი მწერალი.

**1953 – იოსებ სტალინი,** საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი.

**1966 – ანა ახმატოვა,** გამოჩენილი რუსი პოეტი.

### მოვლენები:

**1946 წელი** – უინსტონ ჩერჩილმა, როცა შეერთებული შტატების ქალაქ ფულტონში სიტყვით გამოვიდა, წარმოთქვა ისტორიული სიტყვები ევროპის გამყოფ „რკინის ფარდაზე“. დაიწყო „ცივი ომი“.

**1956 წელი** – თბილისში სტალინის მხარდამჭერი დემონსტრაციები გაიმართა.

**1961 წელი** – ალან შეპარდი პირველი ამერიკელია, ვინც კოსმოსში 15-წუთიანი ფრენა განახორციელა დედამიწიდან 115 კილომეტრ სიმაღლეზე.

**1970 წელი** – ძალაში შევიდა შეთანხმება ატომური იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ.

**მედიანიუსი**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.